საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



# დანდობა არ იქნება!

მირჩევნია, ერთი სეზონი წესრიგის დამყარებას შევწირო

გვ. 10



# ვიტესმა ბოსი მოიშორა

გვ. 5

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 ოქტომბერი პარასკევი 2010

№ 249 (13 237) ფასი 60 თეთრი



გვ. 2

მარცხნივ თენგიზ ჩიკვილაძე

# ჩიკვილაძე და კიდევ შვიდი ზესტაფონელი

# დვალიშვილი კუპერთან...



გვ. 2



# მოსატყუებელი კიდევ ბევრია!

გვ. 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● სლოვენია-საქართველო

# შვიდნი ზესტაფონიდან

## ნაკრებს კანკავაც უბრუნდება?

როგორც ცნობილია, საქართველოს ნაკრები 17 ნოემბერს სლოვენიას ამხანაგური შეხვედრის გასამართად ესტუმრება. ეროვნულის მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** თბილისში ერთკვირიან შეკრებას გეგმავს, მანამდე კი 40-კაციანი სია შეადგინა და უახლოეს დღეებში გამოაცხადებს, მათგან რომელ 30 ფეხბურთელს გამოიძახებს. საბოლოოდ კი სლოვენიაში მხოლოდ 22 მოთამაშე გაემგზავრება.

შესაძლოა, ქეცბაიამ „ზესტაფონიდან" შვიდი ფეხბურთელი გამოიძახოს - ეს კლუბის პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** გვითხრა. როგორც დავაზუსტეთ, ესენი არიან მეკარე **როინ კვასხვაძე,** მცველები - **გიორგი ხიდეშელი, გიორგი ონიანი** და **ზაალ ელიავა,** ნახევარმცველი **ბუბა დაუშვილი** და თავდამსხმელები, **ნიკა გელაშვილი** და **ჯაბა დვალი.**

მათ გარდა, ჩვენთვის კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გვარი გახდა ცნობილი: თბილისის „დინამოს" მეკარე **გიორგი ლორია** და მცველი **ლევან კაკუბავა,** რუსთავის „ოლიმპის" მცველი **გიორგი რეხვიაშვილი,** „ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველი **ირაკლი კლიმიაშვილი,** ზუგდიდის „ბაიას" მცველი **ნიკა კვეკვესკირი** და ქუთაისის „ტორპედოს" მარცხენა მცველი **თენგიზ ჩიკვილაძე.**

არაა გამორიცხული, დნეპროპეტროვსკის „დნეპრიდან" **ჯაბა კანკავა** გამოიძახონ, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და დნეპრის" დუბლშემადგენლობაში გოლის გატანაც მოახერხა. ჯაბამ ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი 19 წლის ასაკში დაიმკვიდრა და ცხადია, ნაკრების მწვრთნელებს მისი მდგომარეობა აინტერესებთ. თუმცა, კანკავას მიწვევა მის მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული - რამდენად მოახერხებს რეაბილიტაციასა და ფორმის აღდგენას.

სიაშია რუმინულ კლუბ „გაზ-მეტან მედიაშის" მცველი **აკაკი ხუბუტია.** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი რუმინეთის ჩემპიონატში საკმაოდ სტაბილურად გამოდის და გუნდის შემადგენლობაში 11-ვე ტურის შეხვედრა ჩაატარა. ქეცბაიას აინტერესებს, მისი კლასი სანაკრებო დონეს შეეფერება თუ არა.

სიაში არნემის „ვიტესის" მცველი **გურამ კაშიაც** მოხვდა. მან დაგვიდასტურა, რომ გამოძახების შესახებ აცნობეს, თუმცა, ჯერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ჰოლანდიურ კლუბში ოფიციალური მიწვევა არ გამოუგზავნიათ.

დანამდვილებით შევიტყვეთ, რომ ეროვნული ნაკრების თავკაცი ექვსი გამოცდილი ლეგიონერის მიწვევას აპირებს, სლოვენიასთან გუნდმა უფრო თავდაჯერებულად რომ ითამაშოს - ლაპარაკია **მალხაზ ასათიანზე, ლევან კობიაშვილზე, ალექსანდრე იაშვილზე** და ასე შემდეგ.

**მერაბ მამულაშვილი**



# ვთამაშობთ კოპერში

## სლოვენიამ ტური გადმოიტანა

ეროვნული ნაკრების თავკაცმა **თემურ ქეცბაიამ** ლატვიასთან მატჩის შემდეგ აღნიშნა, რომ სლოვენიასთან 17 ნოემბრის გასვლით ამხანაგურ მატჩს ახალი ფეხბურთელების გამოსაცდელად გამოიყენებდა. შესაბამისად, ბალკანეთზე ჩვენი ეროვნული გუნდი გადახალისებული შემადგენლობით გაემგზავრება. როგორც გავიგეთ, ხსენებული სპარინგისთვის ქეცბაია, სავარაუდოდ, 30 ფეხბურთელს გამოიძახებს, რომელთაგან სლოვენიაში 22-ს წაიყვანს. შეკრების დაწყება 11 ნოემბრისთვისაა დაგეგმილი. არადა, 13-14 ნოემბერს, წესით, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მორიგი ტურის მატჩები უნდა გაიმართოს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პროფლიგა ამ ტურის გადმოტანას 27 ოქტომბრისთვის (ამ დღეს საქართველოს სუპერთასი გათამაშდება) აპირებს, ყოველ შემთხვევაში, ასეთია ჩანაფიქრი.

სლოვენიასა და საქართველოს ნაკრებთა ამხანაგური მატჩი არა დედაქალაქ ლუბლიანაში, არამედ ქვეყნის ჩემპიონ „კოპერის" მშობლიურ, ამავე სახელწოდების ქალაქში, „ბონიფიკაზე" გაიმართება. ეს სტადიონი მხოლოდ 4 ათასს იტევს. აქამდე, სლოვენიის ნაკრებმა „ბონიფიკაზე" მხოლოდ ერთხელ ითამაშა - 2001 წლის 28 თებერვალს ურუგვაის ამხანაგურად გაეჯიბრა და 0:2 დამარცხდა.

დაბოლოს, ვნახოთ, თუ რა დონის გუნდი გვეყოლება სპარინგპარტნიორად ნოემბრის ამხანაგურ შეხვედრაში. 2007 წლიდან მოყოლებული, სლოვენიის ნაკრებს 49 წლის ადგილობრივი სპეციალისტი **მატიაჟ კეკი** წვრთნის. მანამდე ის 6 წლის განმავლობაში ჯერ „მარიბორს", ხოლო შემდეგ 15 და 16-წლამდელთა ნაკრებებს თავკაცობდა.

ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვენიის შედეგებსაც გადავავლოთ თვალი. მათიას კეკის გუნდმა ფარერები (5:1) და ესტონეთი დაამარცხა (1:0), სერბეთთან სტუმრად ფრე (1:1) ითამაშა... მანამდე კი სასტარტო შეხვედრაში ჩრდილოეთ ირლანდიასთან შინ დამარცხდა (0:1). სლოვენიელებს იტალიის მსგავსად 7 ქულა აქვთ და ჯგუფში მეორე ადგილზე არიან. ფიფას რეიტინგში სლოვენიამ ბოლოს 4 საფეხურით წინ წაიწია და ამჟამად მე-15 ადგილზეა.

**დავით ცაბაძე**

● სავარაუდო ტრანსფერი



# დონეცკში ან საბერძნეთში კუპერთან...

## დვალიშვილი ისრაელს დატოვებსო

წელიწადზე ცოტა მეტია, რაც ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ლადო დვალიშვილი ებრაელ ლიგაში, ჰაიფას „მაქაბიში" ასპარეზობს და უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს... თანაც არა მარტო ისრაელში, კარგი თამაშით ჩემპიონთა ლიგაზეც ბევრს დაამახსოვრა თავი. ლადო გასული ზამთრისა და ზაფხულის სატრანსფერო პაუზისას არაერთი წამყვანი კლუბის ინტერესის სფეროში მოექცა. მათ შორის ისეთი კლუბებიც იყვნენ, როგორებიცაა იტალიური „პარმა" და „ლაციო", ასევე ბელგიური „ანდერლეხტი". მიმდინარე სეზონის დაწყებამდე კი სატრანსფერო სპეკულაციების მიხედვით, დვალიშვილის გვარი ინგლისურ „ვესტ ჰემსა" და შოთა არველაძის „ქაისერისფორსაც" დაუკავშირეს. ჩვენი ინფორმაციით, „პარმას" ვარიანტი რეალურად განიხილებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში იტალიელებმა ებრაელების მიერ ქართველის სანაცვლოდ მოთხოვნილი თანხა არარეალურად მიიჩნიეს და გარიგებაც არ შედგა. მას მერე ჩვენებურის სატრანსფერო ფასი გაიზარდა და დღეს დვალიშვილი 1.2 მილიონ ევროდ არის შეფასებული. როგორც გავიგეთ, დონეცკის „მეტალურგი" მზად არის ლადო დვალიშვილის სანაცვლოდ ეს თანხა გადაიხადოს და ჩვენი ნაკრების თავდამსხმელთან ზამთარში კონტრაქტი გააფორმოს. გავიგეთ ისიც, რომ სხვა ვარიანტებიც სახელდება, კერძოდ ბერძნული პაოკ-ი და ჩვენთვის კარგად ნაცნობი ექტორ კუპერის „არისი".

ინფორმაცია დონეცკის „მეტალურგის" დვალიშვილით დაინტერესების შესახებ, უკრაინულ და რუსულ ვებგვერდებზეც გამოჩნდა. თუმცა ბერძნულ ვარიანტებზე იქ არაერთია ნახსენები. ბუნებრივია, ვითარებაში გარკვევა გადავწყვიტეთ და ლადოს ისრაელში დავუკავშირდით.

**- ლადო, ბოლო ტურებში დაკარგული ქულების შემდეგ, გასულ უქმეებზე მოიგეთ...**

- დიახ, „ბნეი სახნინი" სტუმრად 2:1 დავამარცხეთ. ამ მატჩამდე 4 შეხვედრიდან მხოლოდ ერთში ავიღეთ 3 ქულა. მეორე ადგილზე ვართ და 2 ქულით ჩამოვრჩებით ცხრილის ლიდერ „ირონს".

**- გუნდის საქმეები გასაგებია, თქვენზეც კარგი ამბები გავიგეთ მოსალოდნელ თუ სავარაუდო ტრანსფერზე. ჩვენი ინფორმაციით, დონეცკის „მეტალურგს" უნდა თქვენი გადაბირება...**

- რა გითხრათ... ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

**- როგორც ჩანს, დონეცკელთა ინტერესის შესახებ თქვენც გესაუბრნენ...**

- არა, ამაზე ჩემთან კონკრეტულად არავის ულაპარაკია. თუმცა ეს ამბავი ჩემამდეც მოვიდა. მხოლოდ ის ვიცი, რომ დონეცკის „მეტალურგი" ჩემით არის დაინტერესებული და ზამთრის სატრანსფერო პაუზისას შესაძლოა კლუბებს შორის მოლაპარაკებებიც კი გაიმართოს.

**- შესაძლოა იცით კიდეც, ჩვენი ინფორმაციით, დონეცკელები მზად არიან თქვენს სანაცვლოდ „მაქაბის" 1.2 მილიონი ევრო გადაუხადონ...**

- ეს ნამდვილად არ ვიცოდი. შესაძლოა, ეს ინფორმაცია რეალური იყოს... თანხის თაობაზე მართლა არაფერი ვიცი.

**- ზამთარში „პარმაში" თქვენი ტრანსფერი სწორედ თანხის გამო არ შედგა, იტალიელებმა „მაქაბის" მიერ თქვენს სანაცვლოდ მოთხოვნილი თანხა არარეალურად მიიჩნიეს. როგორ ფიქრობთ, 1.2 მილიონ ევროდ „მაქაბი" შეგელევათ?**

- „მაქაბისთან" მომდევნო სეზონის ბოლოს მიმთავრდება საკონტრაქტო ვადა. შესაბამისად,ზამთარში კიდევ წლინახევარი დამრჩება კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე. რაც შეეხება თანხის ოდენობას, ვერაფერს გეტყვით. თავად კლუბში გადაწყვეტენ, თუ რამდენს მოითხოვენ ჩემს სანაცვლოდ. შესაძლოა, „მაქაბი" ამ თანხაზე თანახმა იყოს, ან უბრალოდ კლუბები სხვა ფასზე მორიგდნენ. ვნახოთ, ზამთრის სატრანსფერო პაუზა გაიხსნება და ყველაფერი გაირკვევა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ისრაელში დავრჩე და არ გამიშვან.

**- დავუშვათ, კლუბები ფინანსურ პირობებზე მორიგდნენ და თქვენთვისაც მისაღებია პირობები. უკრაინულ ლიგაში, დონეცკის „მეტალურგში" გადასვლის პერსპექტივა რამდენად გხიბლავთ?**

- უკრაინის უმაღლესი ლიგა კარგი დონისაა. დონეცკის „მეტალურგიც" სტაბილურად მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. რამდენადაც მახსოვს, ამ კლუბში გიორგი დემეტრაძე და გოჩა ჯამარაული თამაშობდნენ. მას მერე უკრაინის პირველობის დონემ კიდევ მოიმატა და თუ ყველა მხარე კმაყოფილი იქნება და სხვა უკეთესი ვარიანტი არ იქნება, ყველაფერს ავწონ-დავწონი და გადაწყვეტილებასაც მივიღებ.

**- თქვენზე სხვა ვარიანტიც გავიგეთ. ბერძნული კლუბების ინტერესის სფეროშიც ყოფილხართ. როგორც გავიგეთ, ზამთარში პაოკ-ი და ექტორ კუპერის „არისი" შეეცდებიან თქვენს გადაბირებას...**

- დონეცკის „მეტალურგზე" ვიცოდი, მაგრამ ბერძნულ ვარიანტებზე მართლა არაფერი მსმენია. ბერძნულ ლიგაში თამაშიც კარგია, მაგრამ ჯერ ადრეა ამაზე საუბარი.

**- კუპერმა კარგად იცის თქვენი შესაძლებლობები...**

- კი, კარგად მიცნობს, მაგრამ ნამდვილად არავინ შემხმიანებია ბერძნულ ვარიანტზე. ზამთრის სატრანსფერო პაუზამდე ორ თვეზე მეტია და ვნახოთ, შესაძლოა ამას სხვა ვარიანტებიც დაემატოს. უკეთეს გუნდსა და ლიგაში თამაშს ყველა ფეხბურთელი ესწრაფვის, მაგრამ კლუბის შესაცვლელად ნამდვილად არ მაქვს საქმე. ჰაიფას „მაქაბიში" თავს კარგად ვგრძნობ, კონტრაქტიც არ მაქვს ხანმოკლე, გაქცევაზეც არ ვარ. თუ კარგი ვარიანტი გამოჩნდება და პირობები, როგორც კლუბისთვის, ასევე ჩემთვისაც მისაღები იქნება, მაშინ მოლაპარაკებები გაიმართება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ ეტაპზე ჩემი გაშვება, არც კი შედიოდეს კლუბის გეგმებში. ასე რომ, ვნახოთ...

**- ნაკრებზეც გკითხავთ. ჩვენმა ეროვნულმა შესარჩევის მატჩები წელს დაასრულა. მონაგარს როგორ შეაფასებდით?**

- ვფიქრობ, კარგი შედეგი გვაქვს. მართალია 4 მატჩში 6-ზე მეტი ქულის მოპოვებაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. გულშემატკივარი ჩვენი ნაკრებისგან ბრძოლას და შედეგიან თამაშს იყო მონატრებული. 7 მატჩია გუნდს არ წაუგია, ნაკრები უფრო გამართულად თამაშობს. წელიწადიც არ არის, რაც თემურ ქეცბაია ეროვნულს ხელმძღვანელობს და ვფიქრობ, მოკლე ხანში მან მაინც ბევრი რამ მოასწრო. გაისად უკეთესი შედეგები გვექნება და ამისი ღრმად მწამს.

**- ბოლო სანაკრებო მატჩებში თქვენგანაც ველოდით გოლს, მაგრამ...**

- ყველა მატჩში გოლის გატანაზე ვარ ორიენტირებული. ეს ყოველთვის არ გამოგდის. ალალად გეუბნებით, ნაკრებში თამაშსა და მით უმეტეს, გოლის გატანას არაფერი სჯობს. ეს ბედნიერი წუთი მეც მომენატრა და ყველანაირად შევეცდები ეროვნულის მაისურით გოლი მალე ვიზეიმო.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცრუის დეტექტორი 5

# მოსატყუებელი კიდევ ბევრია!

**ამა წლის იანვარი იყო, მეტისმეტად მომრავლებულმა ქართულმა სატრანსფერო ზღაპრებმა ახალი რუბრიკის "შემოღება-დაარსებისკენ" რომ გვიბიძგა; „სიცრუის დეტექტორი" - აი, ასე ვუწოდეთ ამ რუბრიკას და ვივარაუდეთ, რომ სულ მცირე, ყოველ ექვს თვეში ერთხელ (ანუ, „სატრანსფერო ფანჯრის" პერიოდში) მაინც მოგვიწევდა „მეზღაპრე" ქართველ ფეხბურთელებზე საუბარი...**

ჰო, იმ „ზღაპრებზე" მოგახსენებთ, უცხოურ გუნდებში ვერმოხვედრილი ქართველი ფეხბურთელები სამშობლოში ჩამოსვლისთანავე უკვე წლებია, რომ გვიყვებიან და გვიყვებიან. ოღონდ, როგორც თანამედროვე ფეხბურთი ვითარდება და წლიდან წლამდე ევოლუციას განიცდის, ასევე იცვლება და უფრო... „მრავალფეროვანი" ხდება უცხოურ გუნდებში დაწუნებულ ქართველ ფეხბურთელთა სატრანსფერო ზღაპრებიც.

მაგალითად, ადრე, თითქმის ერთი და იგივე სიტყვებს ვისმენდით-ხოლმე: „ესა თუ ის ცნობილი უცხოური კლუბი მიწვევდა, მეც ყველაფერი ავწონ-დავწონე (ანუ, კარიერაში უკან გადადგმულ ნაბიჯად არავინ ჩამითვალოსო), ჩავედი ადგილზე და ვარჯიშებზე, ორმხრივ თამაშებსა თუ საკონტროლო მატჩებში ისეთი ჩინებული შთაბეჭდილება დავტოვე, მწვრთნელ-პრეზიდენტ-გულშემატკივრები სიხარულისგან ლამის „მეცხრე ცაზე" იყვნენ - უნიჭიერესი ქართველი ფეხბურთელის დამატებით ანი ჩვენი შემჩერებელი ვერც ერთი გუნდი იქნებაო! მაგრამ, სამწუხაროდ, ტრანსფერი მაინც არ შედგა - პირობებმა არ დამაკმაყოფილა"...

აი, ასეთ ზღაპრებს ვისმენთ ხოლმე თითქმის ყოველი სატრანსფერო პერიოდის დადგომის დროს; თუმცა, შესაძლოა, ვინმე შემოგვედავოს კიდეც: მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა ფეხბურთსაც გვარიანი დაღი დაასვა და „უნიჭიერესი" ქართველი მოთამაშეების შესაძენი თანხაც ხომ შეიძლება, ამა თუ იმ... სოლიდურ უცხოურ კლუბს არც ჰქონდესო?

ვინ იცის - იქნებ, მართლაც ასეა სინამდვილეში და ჩვენ კი ტყუილუბრალოდ ვაქილიკებთ სოლიდურ უცხოურ კლუბებში ვერმოხვედრილ „უნიჭიერეს" ქართველ ფეხბურთელებს; თანაც ამ შემთხვევაში ალბათ იღბალმაც უნდა გადმოგხედოს: ეს „ოხერი" მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი, სოლიდურ უცხოურ კლუბებს მაინცდამაინც... ქართველი ფეხბურთელების შეძენაში აბრკოლებს; თორემ აგერ, მშვენიერი მაგალითის მოყვანაც შეგვიძლია ჩვენი „კარის მეზობლებიდან": სომხეთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი **ჰენრიხ მხითარიანი** უკრაინის საშუალო დონის გუნდში (დონეცკის „მეტალურგში") ასპარეზობდა და როცა მისი შეძენა ამავე ქალაქის ბევრად უფრო სოლიდურმა და საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთმა უმდიდრესმა კლუბმა „შახტარმა" გადაწყვიტა, პრობლემაც არ შექმნილა.

თანაც, „შახტარის" ხელმძღვანელობამ თანამოქალაქეებს სოლიდურზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი თანხა გადაუხადა და ის მართლაც ნიჭიერი შემტევი მაშინათვე ჩემპიონთა ლიგის განაცხადშიც შეიყვანა! აბა, „უნიჭიერესი" ქართველი ფეხბურთელებივით კი არ მოუვიდა მხითარიანს - ეტყობა, პირობებმაც დააკმაყოფილა და ევროპული საწვრთნელო სკოლის ერთ-ერთი ვეტერანისგან, რუმინელი **მირჩა ლუჩესკუსგანაც** სრული ნდობა დაიმსახურა...

ჩემპიონთა ლიგაც შემთხვევით არ გვიხსენებია: ფეხბურთის ქართველი ქომაგები ამ უპრესტიჟულესი ტურნირის წლევანდელი გათამაშების დაწყებას დიდი ინტერესით ველოდით. ბოლოს და ბოლოს, ნამდვილად არ იყო პატარა ამბავია, რომ ჩემპიონთა ლიგის 2001-11 წლების სეზონში ერთდროულად ხუთ ქართველ ფეხბურთელს უნდა ესასპარეზა! სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ხუთის ნაცვლად, დღესდღეობით ჩემპიონთა ლიგაზე მხოლოდ 2 ქართველის ასპარეზობას ვადევნებთ თვალს: **ლაშა სალუქვაძის** („რუბინი") და **ჯანო ანანიძის** („სპარტაკი").

**კახა კალაძემ** ზედ სეზონის დაწყების წინ დატოვა „მილანი" და „ჯენოაში" გადავიდა; **დავით კვირკველია** კვლავაც „რუბინის" წევრად ითვლება, მაგრამ კლუბს ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეუყვანია; **ლევან ყენიას** კი მართლაც უიღბლობა სდევს თან და ნიჭიერ ქართველ ნახევარმცველს ხანგრძლივი მკურნალობა რახან სჭირდება, „შალკემ" ამიტომაც არ შეიყვანა ჩემპიონთა ლიგის განაცხადში. თუმცა, გამოჯანმრთელების შემთხვევაში, ყენიას ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობის შანსი გაზაფხულზეც მიეცემა: მით უფრო, რომ „შალკეს", წესითა და რიგით, შემდეგ ეტაპზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეს (ამასთან, ევროტურნირებზე მოასპარეზე გუნდებს ზამთარშიც შეუძლიათ ახალი ფეხბურთელების განაცხადში შეყვანა).

მოკლედ, ამ ეტაპზე ჩემპიონთა ლიგაში ორად ორი ქართველი ფეხბურთელია (სალუქვაძე, ანანიძე); უფრო ზუსტად, ჩვენ გვეგონა, რომ ასე იყო და თურმე... ერთით მეტი ყოფილა! არ გვინდა იმ ახალგაზრდა ფეხბურთელის სახელ-გვარის დაკონკრეტება - ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში სიამაყით რომ აღნიშნა: „ჩემთვის უდიდესი პატივია, ასეთ სახელოვან კლუბში რომ ვთამაშობ და მალე, ალბათ, ძირითად გუნდში გადამიყვანენ; აბა, ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ტყუილუბრალოდ ხომ არ შემიყვანდნენო?!." როგორი საქმეა: ჩვენებური ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ყოფილა და ქართველებს კი ამის თაობაზე არაფერი გვცოდნია! არა, ის პერსპექტიული ბიჭი მართლაც ასპარეზობს ევროპის ერთ-ერთ ცნობილ და იმ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბში; უფრო ზუსტად, ამ კლუბის ახალგაზრდულ გუნდში და უნდა ვაღიაროთ, რომ არც ეს არის პატარა ამბავი; თუმცა, აი, ჩემპიონთა ლიგის განაცხადში მოხვედრისა კი, რა მოგახსენოთ - სამწუხაროდ, იმ გუნდის ფეხბურთელთა ჩამონათვალში ქართული გვარ-სახელი არც ერთ ოფიციალურ წყაროში არსად ფიგურირებს.

იმედი დავიტოვოთ, რომ ყოველივე ეს იმ მართლაც პერსპექტიული ქართველი ბიჭის... პირველი და უკანასკნელი სატრანსფერო ტყუილი იყოს; ვინ იცის, იქნებ კლუბის ხელმძღვანელობამ უთხრა: ჩემპიონთა ლიგის განაცხადში უნდა შეგიყვანოთ და აბა, შენ იცი, უფრო მეტად მოტივირებული იყავიო; ჰოდა, „მოსალოდნელი" ... უკვე მომხდარ ფაქტად შეაფასა და ამიტომაც განაცხადა საჯაროდ: ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შემიყვანესო!



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

...ზამთრის სატრასნფერო ბაზრის დაწყებამდე, ანუ, შესაბამისად, ახალ-ახალი „ქართული „სატრანსფერო ზღაპრების" მოსმენამდე ორ თვეზე ცოტა მეტი დარჩა; მთლად საახალწლო დღეებში ამისთვის ვერავინ მოიცლის, მაგრამ, დაახლოებით იანვრის შუა რიცხვებიდან რომ დაიწყება, აი, ის იქნება, რაც იქნება! ჰოდა, „წამოვა" ახალ-ახალი ზღაპრები ახალ-ახალი „პერსონაჟების" შესრულებით; ან, როგორ გგონიათ, მხოლოდ ახალ-ახალი „პერსონაჟები" იქნებიან?

ეგ კი არა, ერთი და იგივე ფეხბურთელი (მართლაც გვეუხერხულება იმის სახელ-გვარის დასახელება), ყოველ ექვს თვეში ერთხელ კი არა, უფრო ნაკლებ დროშიც კი ახერხებს ერთი-მეორეზე „შთამბეჭდავი" სატრანსფერო ზღაპრების მოყოლას. თანაც, ალბათ უფრო ადრეც უნდა გვემცნო ქართული სატრანსფერო ზღაპრების... „სიახლეზეც"! ჰო, ადგილზე ზარ-ზეიმით ჩასვლა და უფრო დიდი პატივით დახვედრის შემდეგ, როგორც წესი, სოლიდური უცხოური კლუბები და „უნიჭიერესი" ქართველი ფეხბურთელები... პირობებზე ვერ თანხმდებიან ხოლმე. ახლა კი, უფრო ზუსტად, დაახლოებით 2-3 თვეა, გარკვეული „სიახლეც" შეინიშნება დაწუნებულ ჩვენებურებთან მიმართებაში; ამა თუ იმ კლუბის მიწვევით ქართველი ფეხბურთელი ადგილზე ჩავა, ერთი-ორი კვირის განმავლობაში გუნდთან ერთად ივარჯიშებს კიდეც, მაგრამ არშემდგარი ტრანსფერის მიზეზი თურმე მწვრთნელის... მოუცლელობა ყოფილა!

ანუ, ამა თუ იმ სოლიდური თუ ნაკლებად სოლიდური უცხოური კლუბის პრეზიდენტსა და მთავარ მწვრთნელს სულით და გულით უნდოდათ ესა თუ ის ქართველი ფეხბურთელი თავიანთ გუნდში ჩარიცხულიყო, მიიწვიეს კიდეც სინჯებზე, მაგრამ, იმ პრეზიდენტსა და მწვრთნელს (!), სხვა „ათასი საქმე" გამოუჩნდათ და ჩვენებურის, საქმეში ნახვაც" ვერ მოახერხეს...

... ამ ბოლო წლებში მართლაც არაერთმა ქართველმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო უცხოურ კლუბებში სინჯების წარმატებით გავლა; ეგ კი არა, ბევრს... შეურაცხყოფადაც მიაჩნია იმის აღიარება, სინჯებზე რომ იწვევენ! ჰოდა, ამ ბოლო წლებში, უცხოური კლუბებიდან უკან მობრუნებული ჩვენებურებიდან ორად ორი ფეხბურთელი გვახსენდება, გულახდილად რომ აღწერეს კონკრეტულ გუნდში ვერდარჩენისა თუ ვერმოხვედრის რეალური მიზეზი. პირველი, **სანდრო იაშვილი** იყო „ანჟიდან" წამოსვლის მიზეზზე რომ თქვა: „მწვრთნელს ჩემი თამაში არ აკმაყოფილებდა და გამომიშვესო". მეორე კი, სულ ახლახან, **დავით მუჯირი** გახლდათ: „ჰერტაში" 7-8 თვის უთამაშებელი ჩავედი და არც გამკვირვებია, მთავარ მწვრთნელს **მარკუს ბაბელს** ჩემი ფორმა რომ არ დააკმაყოფილებდაო.

სხვათა შორის, 32 წლის მუჯირს, თავის დროზე ოთხი სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატში ერთი-მეორეზე უკეთესი 12-13 სეზონი რომ აქვს გატარებული, არც იმის აღიარების „შერცხვა," რომ გერმანიის მეორე ბუნდესლიგის გუნდში... სინჯებზე იყოფებოდა. სამაგიეროდ, არცთუ მცირეა ისეთი კატეგორია ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელებისა, სურვილსა და სინამდვილეს ერთმანეთისგან რომ ვერ ანსხვავებენ; სამწუხაროდ, ამას კიდევ „მოევლება", აი, სატრანსფერო მეზღაპრეების მომრავლება რომ შეინიშნება ქართულ ფეხბურთში, ეს არის ყველაზე ცუდი და შემაშფოთებელი. თუმცა, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს მართლაც შეუქცევად პროცესთან: იმიტომ, რომ... ქართულ ფეხბურთში მოსატყუებელი კიდევ ბევრია!..

**გია ტუხაშვილი**

U 17

## საქართველო და შვედეთი მზეზე

23 ოქტომბერს ევროპის 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტი შეხვედრები გაიმართება: ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრები შვედებს უმასპინძლებს, „ლოკომოტივზე" კი ინგლისი პოლონეთს შეხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი და საქართველო 4-4 ქულით ჯგუფს ლიდერობენ, ელიტ-რაუნდში გასულთა ვინაობა ჯერ არ გარკვეულა. ამდენად, ბოლო ტურის მატჩებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

**კობა ჟორჟიკაშვილის** ნაკრებს როლანდ **ლარსონის** ხელქვეითებთან ფრეც აძლევს ხელს, თუმცა სკანდინავიელები ელიტრაუნდში მოხვედრის შანსს ინარჩუნებენ და „საომრად" ემზადებიან.

მატჩისადმი ქართველი გულშემატკივრის დიდი ინეტერესი გაითვალისწინეს „მზეზე" და როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, 23 ოქტომბერს, 15:00 საათზე ამ ტელეკომპანიის ეთერში საქართველო-შვედეთის მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს შემოგვთავაზებენ. რეპორტაჟს **დიმიტრი ობოლაძე** გაუძღვება.

**მერაბ მამულაშვილი**

სუპერთასი



## მოზრძანდით ვაკეში...

პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრესატაშე **მიხეილ აბაიშვილმა** გვაცნობა, რომ საქართველოს სუპერთასი 27 ოქტომბერს გათამაშდება.

„შეხვედრა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება. დებულებით, თასი ნეიტრალურ სტადიონზე უნდა გათამაშდეს. „ლოკომოტივი" არც „ოლიმპის" არენაა და არც „ვიტ ჯორჯიასი". ამას გარდა, ორივე გუნდის ინტერესებიც გავითვალისწინეთ: მატჩი ქუთაისში ან ზესტაფონში რომ დაგვენიშნა, მონინაალმდეგეთა მხოლოდ მცირერიცხოვანი გულშემატკივარი თუ მოახერხებდა გამგზავრებას, თბილისი კი ორივესთვის მისაღები ვარიანტია. ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს ტელევიზიასთან, მათთვის რეპორტაჟის დაწყება რომელ საათზე იქნება მისაღები. სავარაუდოდ, მატჩი 18:00 საათზე დაიწყება", - გვითხრა აბაიშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# თენგიზ ჩიკვილაძე: შეგვიქმენით საფეხბურთო გარემო და მერე ხალხი თუ არ მოვა, მომჭერით თავი!

## ანუ რაზე ოცნებობენ ქართველი ფეხბურთელები

ქუთაისის „ტორპედოს" მარცხენა მცველი თენგიზ ჩიკვილაძე გახარებულია - თემურ ქეცბაიამ ის 17 ნოემბერს სლოვენიასთან გასამართი ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა. ამით მისი ბავშვობის დროინდელი ოცნება ნაწილობრივ ახდა. თუმცა ელემენტარული თემით დაწყებული ჩვენი ინტერვიუ, თავად ჩიკვილაძემ განავრცო. ვფიქრობ, „ლელოს" მკითხველს საინტერესო საკითხავს შევთავაზებთ.

საინტერესო უნდა იყოს ფეხბურთელის თვალით დანახული პრობლემები - ჩიკვილაძე საერთო სატკივარს გვიზიარებს. რა აკლია ეროვნულ ჩემპიონატს, რა უშლის ხელს ფეხბურთელების და, ზოგადად, საერთო დონის ზრდას?



**- თენგიზ, როგორც შევიტყვეთ, თემურ ქეცბაიამ ნაკრებში გამოგიძახათ...**

- გამოძახება ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო. თავის დროზე, ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვევდნენ და საკმაოდ ბევრი შევედრაც ჩავატარე. მაშინ იქ მეკარეებს ოთარ გაბელია ავარჯიშებდა და მითხრა, ჭკუით თუ იქნები, შენით ჟირესი დაინტერესდა და მალე მიგიწვევსო. თუმცა, ფრანგი მალე გაათავისუფლეს და ეროვნულში მოხვედრაც ოცნებად მრჩებოდა. მერე კი საქმე ისე წავიდა, ნაკრებში გამოძახების პერსპექტივას ვერც ვხედავდი. ბოლო წლებში ნაკრებში რაც ხდებოდა, კარგად იცით ასეთ გუნდში მე შანსი არ მქონდა. ახლა ბავშვობის ოცნება ამიხდა - ჯერ ახალგაზრდულში მოხვედრაზე ვოცნებობდი და შემდეგ ეროვნულში. უბედნიერესი ადამიანი ვარ. ქეცბაიამ სლოვენიაში რომც არ წამიყვანოს, გამიცნობს და ჩემზე წარმოდგენას შეიქმნის.

**- ალბათ, თქვენი გამოძახება „ტორპედოს" დამსახურებაცაა - გუნდი კრიზისიდან გამოვიდა და უკეთ გამოჩნდით...**

- კრიზისში არც ვყოფილვართ, უბრალოდ, უიღბლობა დაგვჩემდა და გოლი ვერ გაგვქონდა, თორემ თითქმის ყველა მეტოქესთან მოსაგები თამაში გვქონდა. კრიზისი სხვა რამეა. სულ ვიძახდი, ერთი მოგება გვინდა და შეიძლება, აღარც წავაგოთ-მეთქი. მე კარგად მახსოვს „ოლიმპში" გამოსვლის პერიოდი. ხვიჩა ქასრაშვილის დროს კარგი გუნდი შეიკრიბა, მაგრამ მასაც ფატალურად არ უმართლებდა. მოვიდა ვარლამ კილასონია და 18 მატჩი წაუგებლად ჩავატარეთ, მესამე ადგილი დავიკავეთ და თასის ფინალში გავედით. თუ გუნდი ძლიერი არ არის, ასეთი სერია ხომ გამორიცხულია? „ტორპედოში" ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ შემადგენლობა შეკრებილია, კარგი გუნდია და გახსნა სჭირდებოდა. ვფიქრობ, ბოლო სამი შეხვედრის წაუგებლობითა და განსაკუთრებით „ზესტაფონთან" მოგებით, წინსვლა დავიწყეთ. ახლა „ოლიმპთანაც" თუ არ წავაგებთ, ძალიან კარგი იქნება. მერე შედარებით იოლი შეხვედრები გველის.

**- შეთამაშდით თუ „ზესტაფონთან" მხოლოდ მონდომებით მოიგეთ?**

- რაც არ უნდა კარგად შეთამაშებული იყო, მონდომების გარეშე, საქართველოში ყველაზე სუსტ გუნდსაც ვერ მოუგებ. თუმცა, „ზესტაფონთან" მხოლოდ მონდომებით ვერაფერს მიაღწევ - რა თქმა უნდა, უკვე შეთამაშდით. თუკი პირველ ეტაპს ხუთეულში დავასრულებთ, ჩემპიონატს კი სამეულში, ან ოთხეულში, უმაღლესში დაბრუნებული გუნდისთვის კარგი შედეგი იქნება. „ტორპედოს" ამის პოტენციალი გააჩნია. ან რა არის დაკარგული, ჯერ პირველი ეტაპიც არ დასრულებულა, ფინიშამდე 22 ტურია დარჩენილი.

**- არაერთ გუნდში გითამაშიათ და გულწრფელად გვითხარით - დღევანდელ „ტორპედოში" პროფესიული მიდგომა თუ არის?**

- ნამდვილად არის. პროფესიონალები რომ არ იყვნენ მწვრთნელები, ფეხბურთელები და ხელმძღვანელები, გუნდის პერსპექტივა არც გამოჩნდებოდა.

**- როცა ძირითად შემადგენლობაში სამი 17-18 წლის ფეხბურთელი დაგიყენეს, არ შეგეშინდათ?**

- რა თქმა უნდა, ჩემპიონატში ეს საკმაოდ დიდი რისკი იყო და არც მეგონა, ასე კარგად თუ ათამაშდებოდნენ. სამივე - გიგაური, საბანაძე და კემუხტაშვილი ნიჭიერია, მაგრამ მთავარია ნიჭს გაუფრთხილდნენ. მათზე ნიჭიერები მინახავს, რომლებმაც ვერ ითამაშეს და მათზე უნიჭოებსაც ვიცნობ, დიდ ფეხბურთში რომ დამკვიდრდნენ. ნიჭი ბევრს ნიშნავს, მაგრამ მთავარი შრომაა. თუკი დღევანდელივით მონდომებით გააგრძელებენ ვარჯიშს, მაშინ ბევრს მიაღწევენ. ამ ბიჭებს გაუმართლათ, კარგ გარემოში, კარგი მწვრთნელებისა და მზრუნველი მეპატრონის ხელში მოხვდნენ. ფეხბურთში კი გამართლებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

**- „ტორპედოს" გულშემატკივრებმა თბილისელი ბიჭები როგორ მიგიღეს?**

- ჯერ გვაკვირდებოდნენ, როგორ მოვიქცეოდით. მაგალითად მე, „ზესტაფონის" გასვლაზე გატანილი ბურთის შემდეგ ვიგრძენი მათი მხარდაჭერა, მაგრამ მუმლაძე ვერ გაითავისეს. რთულია გულშემატკივრისა და გუნდის ურთიერთობები. მუმლაძე კარგი მწვრთნელია, მაგრამ გულშემატკივრის წნეხში მოექცა და ძალიან ნერვიულობდა. ფეხბურთელებიც ძალიან ვიძაბებოდით. არადა, სწორედ ესაა გულშემატკივარი, რომელიც ყველაფერზე პასუხს გთხოვს. თუ მოიგებ, გაღმერთებს და თუ წააგებ, ვერ გიტანს. სამწუხაროდ, მსგავსი რამ საქართველოს ბევრ სხვა ქალაქში არ ხდება და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას მიუჩვეველები ვიყავით. ამიტომ, ამ დაძაბულობის მოხსნა გვჭირდებოდა და როდესაც ასეც მოხდა, ავთამაშდით კიდეც. მართლაც ბევრ ქართულ გუნდში ვთამაშობდი - „სპარტაკში", „ზესტაფონში", „ამერში", „ოლიმპში", „დინამოში", თასისა და სუპერთასის ფინალშიც გავსულვარ და 20 და 30 ათასი მაყურებლის წინაშე მითამაშია, მაგრამ ეს იყო წელიწადში ერთხელ, მაქსიმუმ ორჯერ. ჩემპიონატის თამაშებზე მუდმივად 9 და 10 ათასი მაყურებელი რომ დადის, ეს დიდი სტიმულია, სულ მწყობრში ხარ და თავს მოდუნების უფლებას ვერ მისცემ. თამაშის ბოლოს დაღლილს გაქცევის ძალა რომ არ გქონდეს, ქუთაისელი გულშემატკივარი ძალას, სტიმულს გვაძლევს და გავრბივართ. რამდენ გუნდში მითამაშია, მაგრამ ასეთი შემართული არსად ვყოფილვარ. სულ სხვაა, გულშემატკივარი რომ დადის. ფეხბურთი მათთვის არის, ცარიელ სტადიონზე თამაში სიხარულს ვერ მოგანიჭებს, თუნდაც 10 გოლი რომ გაიტანო.

**- ალბათ, სტადიონზე მინიმუმ ორი-სამი ათასი მაყურებელი რომ დადიოდეს, ოდნავ უკეთესი პირველობა გვექნებოდა.**

- ორი აზრი არაა. ჩვენი პირველობის დაბალი დონე მაყურებლის სიმცირის ბრალიცაა. მე ამაზე ბევრი მიფიქრია და გეტყვით, თუ რა არის საჭირო ეროვნული პირველობის დონის გასაზრდელად, ოღონდ ინფრასტრუქტურამდე და ბავშვთა ფეხბურთამდე არ ჩავალ. 1. მეთორმეტე მოთამაშე, ანუ გულშემატკივარი, რომელიც გაცოცხლებს, სტიმულს გაძლევს და რომლის გამოც, ბოლომდე იხარჯები, თუ არ დადის სტადიონზე, ისეთი მონდომებული ველარ ხარ. ამ ყველაფერს ჩემი მაგალითიდან ვამბობ, არადა, ვერავინ იტყვის, რომ მოედანზე არ ვიხარჯები. 2. კარგი მინდორი, რომელიც მაღალ ტემპს, ლამაზ სანახაობას და ბევრ გოლს განაპირობებს. ცუდ მოედანზე კი, რაც არ უნდა ბევრი მაყურებელი მოვიდეს, ბრძოლაც იქნება, დაძაბულობაც, მაგრამ არ იქნება ლამაზი სანახაობა, რადგან ცუდ საფარზე სწრაფი თამაში გამორიცხულია. რაც მთავარია, ასეთ მოედანზე ბევრი გოლი ვერ გავა. როდესაც მე ბურთის მიღებისას უკვე შემდეგ გადაწყვეტილებას უნდა ვიღებდე, ვფიქრობ, ბურთი არ დავკარგო - ამასობაში ტემპი ეცემა 3. მატჩის განათებულ სტადიონზე გამართვა არის ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორი, რომელიც ჩემპიონატს დონეს გაზრდის. ეს თავისთავად გიქმნის სათამაშო განწყობას, საფეხბურთო გარემოს. 4. ჩემპიონატის შეხვედრების მაღალ დონეზე გადაღება. როდესაც მატჩებს 12 კამერით იღებენ, ყველა ილეთი, გოლი და კომბინაცია ბევრად უფრო ეფექტურად ჩნდება. თავის დროზე „დინამო"-"ოლიმპის" თასის ფინალი რამდენიმე კამერით გადაიღეს და ჩანაწერი რომ ვნახე, ევროპაში ჩატარებული შეხვედრა მეგონა, იმდენად ეფექტური და ლამაზი კადრები იყო. ტელევიზორში ადამიანები სავსე ტრიბუნებს რომ დაინახავენ, მათი ნაწილი მეორე შეხვედრას სახლში აღარ დაელოდება და ტრიბუნაზე აღმოჩნდება. არ იცით, ქართველები რა წამბაძველები ვართ?! ეს არაა თეორია, ასე იწყება ფეხბურთის პოპულარიზაცია და მე ახალს არაფერს ვიგონებ. პირველი ლიგის მოთამაშეებიც რომ გაიყვანოთ განათებულ სტადიონზე, კარგ მოედანზე, მრავალი მაყურებლის წინაშე და მატჩი ტელევიზიამ კარგად შეფუთოს, მათი ფეხბურთითაც ისიამოვნებთ. აბა, დღის პირველ საათზე, 50 მაყურებელი „მზესუმზირას" რომ შეექცევა და გულშემატკივრობაზე არ ფიქრობს, თანაც ცუდ მოედანზე თამაშობ, საფეხბურთო ატმოსფეროში თავს როგორ იგრძნობ? თბილისში საერთოდ კატასტროფაა, სტადიონზე მხოლოდ ფეხბურთელების ახლობლები დადიან და 500 კაცი თუ შეიკრიბა, მაგარ მაჩვენებლად ითვლება. ჩემი აზრით, „ტორპედო"-"დინამოს" დონის მატჩი დიდი ხანია ეროვნულ ჩემპიონატში არ გამართულა. მატჩის ჩანაწერიც ვნახე და იცით, რა ვინატრე? - ეს თამაში ხალხს ენახა, შემდეგ მაღალ დონეზე ტელევიზიით განეხილათ და დარწმუნებული ვარ, სტადიონზე ბევრად მეტი ქომაგი მოვიდოდა. ევროპული დონის შეხვედრა იყო - ტემპით, დაძაბულობით, შექმნილი მომენტებითა და კომბინაციური ფეხბურთით. საერთოდ, კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ აზრს, თითქოს, სტადიონზე ხალხს მხოლოდ მაღალი დონის ფეხბურთი იზიდავს. ჩვენი მოთამაშეები საკუთარ შესაძლებლობებს რეალურად ვერც ავლენენ, ქუთაისსა და ორიოდე ქალაქს თუ არ ჩავთვლით. არსებული გარემო შესაძლებლობის გამოვლენაში ხელს გვიშლის და იმიტომ. მოთამაშეს საფეხბურთო გარემო სჭირდება და მერე ხალხი თუ არ მოვა, მომჭერით თავი. ფეხბურთელებს მაყურებელი ათამაშებს! დაბოლოს, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან თემას უნდა შევეხო: ფეხბურთელები სეზონის დასრულებას, თასის თუ სუპერფინალის შეხვედრას განსაკუთრებით ველოდებოდით. გარკვეული პერიოდი ასეთ შეხვედრებს 12 კამერით იღებდნენ, ფინალზე უცხოელი მსაჯი ჩამოჰყავდათ, სეზონის ბოლოს „დიაზე" საუკეთესოებს აჯილდოვებდნენ და საერთოდაც, საფეხბურთო ცხოვრების გამოცოცხლება შეინიშნებოდა. დიმიტრი რამიშვილის სახით, პროფლიგას ძლიერი პრეზიდენტი ჰყავდა. ეს კაცი სულ რაღაც ახალს ეძებდა, ცდილობდა, საფეხბურთო გარემო შეექმნა და თანამედროვედ აზროვნებდა. ყველაფერი მისი წასვლის შემდეგ შეიცვალა. არ ვიცი, საინტერესო პროექტების განხორციელებას ახლა რა უშლის ხელს, მაგრამ ფაქტია - „დია" აღარ გამართულა. „დინამოში" აღებულ მედალს უშედეგოდ ველოდები. ასე ხომ არ შეიძლება? აბა გასული სეზონი რისთვის ჩავატარე?

**მერაბ მამულაშვილი**

უცხოურ პრესაში

„ყარაბაღის" ქართველმა ფორვარდმა გიორგი ადამიამ გუშინწინ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა. ჩვენებურმა დუბლით ყოფილი გუნდი „ბაკი" დააჯილდოვა. ამ მოგებული მატჩის (2:0) შემდეგ ადამია პრესის ყურადღების ცენტრში ისევ მოხვდა. ადამია აზერბაიჯანის პრემიერლიგაში სტაჟიანი და ცნობილი ფიგურაა და მისი ინტერვიუ ჩვენი მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

# გიორგი ადამია

# ...დასჯა ჩემი ჩანაფიქრი არ ყოფილა

**- „ბაკისთან" დუბლის შესრულებით ამ მატჩის გმირად იქეცით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამია უკვე ჩვეულ ფორმაშია?**

- კარგ კონდიციაში ვარ და მომავალშიც შევეცდები გოლებითა და კარგი თამაშით მეტი სარგებელი მოვუტანო ჩემს გუნდს.

**- თქვენი შედეგიანი ასპარეზობა ალბათ იმითაც აიხსნება, რომ ბოლოს ცენტრში თამაშობთ...**

- მართალი გითხრათ, ცენტრში უფრო შედეგიანი ვარ. ფლანგზე თამაშიც არ არის ჩემთვის უცხო. თუმცა, ვთვლი, რომ ცენტრში თამაშისას გოლის გატანის მეტი შესაძლებლობა მაქვს. ამჯერად ნახევარდაცვის ცენტრში ვთამაშობ, მაგრამ დუბლის შესრულებაში ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია. თუმცა საჭიროების შემთხვევაში თავდასხმაშიც ვირჯები ხოლმე.

**- „ბაკისთან" მოგება რას მივაწეროთ. თქვენმა გუნდმა ითამაშა კარგად თუ მეტოქე წარმოჩნდა სუსტად?**

- ეს გამარჯვება უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მწვრთნელის დავალებები ზედმიწევნით შევასრულეთ და მეტოქეს არ მივეცით საშუალება თავისი პლუსები წარმოეჩინა, თორემ წარმატება გაგვიჭირდებოდა. ჩვენმა ტაქტიკა-სტრატეგიამ გაამართლა, მოწინააღმდეგეს თამაშითაც ვაჯობეთ და მათზე მეტი საგოლე მომენტი შევქმენით. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შანსი გამოვიყენე და ორი ბურთი გავიტანე.

**- შარშან „ყარაბაღში" სწორედ „ბაკიდან" გადახვედით. საინტერესოა, რამე პრინციპული ჩანაფიქრი ხომ არ გქონდათ, ყოფილი გუნდი გოლით დაგესაჯათ?**

- მერწმუნეთ, მსგავსი არც სურვილი მქონია და არც ჩანაფიქრი. ამ შეხვედრამდე ორჯერ ვითამაშე „ყარაბაღის" რიგებში „ბაკის" წინააღმდეგ და ორივე შეხვედრაში დავმარცხდით. უბრალოდ, მინდოდა ამჯერად მაინც მოგვეგო „ბაკისთვის". ეს იყო და ეს. „ბაკი" ჩემთვის ისეთივე ჩვეულებრივი მეტოქეა, როგორც სხვა ნებისმიერი გუნდი. შესაბამისად, მოხარული ვარ, რომ ჩემი გოლებით მოვიგეთ ეს თამაში. ასე რომ, „ბაკის" გოლებით დასჯა, ჩემი ჩანაფიქრი არ ყოფილა.

**- სეზონის დასაწყისში ქულები დაკარგეთ. ამ მოგების შემდეგ კი ლიდერთა ოთხეულს შეუერთდით...**

- ჩემპიონატი მართლაც ცუდად დავიწყეთ, მაგრამ ამასაც თავისი ახსნა აქვს. პირველობის გარდა, ევროტურნირებზეც ვასპარეზობდით და ორ ფრონტზე ბრძოლა გაგვიჭირდა. ამჯერად კი მთლიანად ჩემპიონატზე ვართ ორიენტირებული და ეს შედეგებშიც აისახა. ჩვენ ისევ მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

**- ბოლო ორ მატჩში მოედანი უგოლოდ არ დაგიტოვებიათ. თქვენს აქტივში უკვე 5 გოლია. თუმცა ბომბარდირთა დავის ლიდერ ბახოდირ ნასიმოვს ორჯერ მეტი ბურთი აქვს გატანილი. შეძლებთ გოლებით მას დაეწიოთ?**

- მერწმუნეთ, ჩემთვის უმთავრესია „ყარაბაღმა" წარმატებით იასპარეზოს. მოედანზე იმას ვცდილობ, გუნდს დავეხმარო, მეტი სარგებელი მოვუტანო. მე გავიტან ბურთს თუ ჩემი რომელიმე თანაგუნდელი, ამას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. რაც შეეხება ლიგის ბომბარდირობას, თუ გამიმართლებს, გოლების პირად აქტივს კიდევ ბევრჯერ გავზრდი. რამდენის გატანას შევძლებ, ეს სეზონის ბოლოს გამოჩნდება.

**დავით ცაბაძე**

სალეგიონო



# ჟორდანიამ ბოსი დაითხოვა

„ვიტესში" ახლად მისულმა მერაბ ჟორდანიამ ერთი პერიოდი კი ადროვა გუნდის მთავარ მწვრთნელ თეო ბოსს სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ „ვიტესმა" თამაშის ხარისხი ვერაფრით გააუმჯობესა და კლუბის ქართველმა თავკაცმაც ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო - ბოსი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ჰოლანდიის მიმდინარე ჩემპიონატში „ვიტესს" მხოლოდ ორი მატჩი აქვს მოგებული, გასულ ტურში კი „როდასთან" 1:4 განადგურდა.

ვნახოთ, ვინ გახდება „ვიტესის" ახალი დამრიგებელი. ცნობისათვის, ბოსი მის მწვრთნელად 2009 წლის იანვრიდან მუშაობდა.

ლევან ჯანეზაშვილი

კვირიკატურა

# ტყუპები

ფეხბურთელ ჯანო ანანიძეზე ისეთსავე დიდ იმედს ამყარებენ, როგორსაც კალათბურთელ გიორგი შერმადინზე. საინტერესო დამთხვევაა - ევროპის მთავარ საკლუბო ტურნირებში ორივეს დებიუტი ამ კვირაში ჰქონდა: შერმადინმა ევროლიგაზე სეზონის პირველი შეხვედრა 20 ოქტომბერს ჩაატარა, ხოლო ანანიძემ ჩემპიონთა ლიგაზე პირველად ერთი დღით ადრე, 19 ოქტომბერს ითამაშა. მატჩში ჯანოც სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და გიორგიც...

...მსგავსების გარდა, ჯანოსა და გიორგის შორის ერთი „უმნიშვნელო" სხვაობაცაა - 46 სმ. შერმადინი 216 სმ სიმაღლისაა, ანანიძე - 170 სმ. ჯანო 18 წლისაა და კიდევ გაიზრდება, იდარდოს დენი დევიტომ (152 სმ), რომელიც თავის ტყუპისცალ არნოლდ შვარცნეგერზე (186 სმ) 34 სმ-ით დაბალია (ფილმში „ტყუპები").

ვაჟა სიმონიშვილი




დაპირისპირება



უეინ რუნი



ალექს ფერგუსონი

# დაე, წავიდეს...

## სერ ალექსი რუნის არც ახსენებს, უეინს ავსტრალიიდანაც კი ეპატიჟებიან

**როი კინი** მიიჩნევს, რომ თუ **უეინ რუნი** „მანჩესტერიდან" წასვლას არ გადაიფიქრებს, კლუბს მისი განზრახვისთვის ხელის შეშლა არ ულირს.

„ყველა ფეხბურთელს საკუთარი აზრი აქვს, თუ რუნი დღეს ამ პოზიციაზე დგას და აზრს არ შეიცვლის, „იუნაიტედს" უჯობს, მას ყოველივე საუკეთესო უსურვოს და დაემშვიდობოს. ვიცი, რომ „მანიუს" გულშემატკივრები ამ ამბავს განიცდიან. რუნი მართლაც შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ შეუცვლელი არავინაა და სჯობს, კლუბმა მისი შემცვლელის პოვნაზე სასწრაფოდ იზრუნოს. სხვა საქმეა, რომ ვერაფრით ვხვდები, რატომ უნდა რუნის წასვლა. მე აქ თორმეტ-ნახევარი წელიწადი გავატარე და თავს ყოველთვის ბედნიერად ვგრძნობდი", - აცხადებს „მანჩესტერის" ლეგენდარული კაპიტანი.

კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **დევიდ გილი** კი ამბობს, რომ „მანიუს" რუნისთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

„კარგად გვესმის, რომ ეს საკითხი მასმედიას, საზოგადოებასა და გულშემატკივრებს ძალიან აღელვებთ, მაგრამ ამ მომენტისთვის ახალს ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ იმას გავიმეორებ, რომ გავმართეთ რამდენიმე შეხვედრა ფეხბურთელის წარმომადგენლებთან და ყველა მალე შეიტყობს, რა გამოსავალი მოვძებნეთ ამ რთული სიტუაციიდან. ახლა კი მხოლოდ ის შემიძლია, რომ გულშემატკივრებს დამშვიდება და მოთმინება ვთხოვო", - განაცხადა გილმა.

რაც შეეხება სერ **ალექს ფერგიუსონს**, იგო სიმშვიდეს არ კარგავს და ამბობს, რომ როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, „მანჩესტერი" არსებობას ჩვეულებრივად გააგრძელებს და მის პროგრესს საფრთხე არ დაემუქრება. ამავდროულად, „მანიუს" თავკაცმა კონკრეტულად რუნიზე საუბრისგან თავი შეიკავა:

„აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი რიგზე გვექნება. კლუბს ჩინებული სტრუქტურა აქვს. გვყავს იდეალური ხელმძღვანელობა, კვალიფიციური სამწვრთნელო შტაბი და სკაუტები. ამ ხალხის ერთობლივი მუშაობით „მანჩესტერის" სამომავლო წარმატებები გარანტირებულია, იმის მიუხედავად, მოისურვებს თუ არა რომელიმე ფეხბურთელი ჩვენგან წასვლას. ჩვენ შეუცვლელი ფეხბურთელი არ გვყავს", - ამბობს ფერგიუსონი.

გუშინ **ნიკოლა ანელკას** კომენტარი შემოგთავაზეთ, სადაც „ჩელსის" ფრანგი ფორვარდი რუნის „არისტოკრატებში" გადასვლას ურჩევდა. ანელკას მხარი „ჩელსის" კაპიტანმა **ჯონ ტერიმაც** აუბა: „უეინი მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელია. „ჩელსის" ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ ჩვენთან რუნის დონის მოთამაშეების ადგილი ყოველთვის მოიძებნება. ჩვენს კოლექციაში არაერთი ჯილდოა, მაგრამ გვაკლია უმნიშვნელოვანესი ტიტული - ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება. ამ ტრიუმფთან ბევრჯერ ვიყავით ახლოს, მაგრამ ყოველთვის რაღაც გვაკლდებოდა. დიდი იმედი მაქვს, რომ ნავსს სწორედ რუნის მეშვეობით გავტეხთ".

ფაქტია, რომ რუნის სუპერკლუბებისგან შეთავაზებები არ დააკლდება, მაგრამ მის ხელში ჩასაგდებად არა მხოლოდ გრანდები, არამედ ავსტრალიელებიც კი იბრძოლებენ. საუბარია კლუბ „პერთ გლორიზე", რომლის ღირსებასაც ამჟამად **რობი ფაულერი** იცავს.

ფაულერს თურმე, რუნისთან უკვე ულაპარაკია ამ ვარიანტზე. აი, რას ჰყვება რობი ამ საუბარზე: „უეინმა ჯერ კიდევ ორი წლის წინ მითხრა, რომ „მანჩესტერიდან" წასვლა უნდოდა. ბოლო დროს კი არაერთხელ შევთავაზე „პერთ გლორიში" გადმოსვლა და როგორც მეჩვენა, ამ წინადადებამ დააინტერესა. ასე რომ, სულაც არაა გამორიცხული, მან სწორედ ავსტრალიურ ვარიანტს მიანიჭოს უპირატესობა".

ლევან ჯანეზაშვილი

არსენალი

# ვენგერი იანვარში იყიდის

## არსენი ფაბრეგასს ვერ ელევა



**არსენ ვენგერმა** თავისი კლუბის სატრანსფერო გეგმებზე ისაუბრა და თქვა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში „არსენალი" ტრანსფერებს აუცილებლად განახორციელებს.

„გვაქვს იმის საშუალება, რომ იანვარში ერთ-ორი კვალიფიციური ფეხბურთელი შევიძინოთ. ზაფხულში ჩვენგან რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა და მათ ნაცვლად ახალგაზრდები დავაწინაურეთ. ამასთანავე, ვიყიდეთ სკილაჩი, კოსიელნი და შამახი და გუნდში სამივე მათგანი შესანიშნავად ჩაეწერა. თუმცა ისიც ნათლად დავინახეთ, რომ შემადგენლობის გაძლიერება კიდევ გვჭირდება", - ამბობს „მეთოფეთა" თავკაცი.

იგი იქვე სესკ ფაბრეგასის თემას შეეხო და განაცხადა, რომ მის დათმობას არც სეზონის ბოლოს აპირებს და არც - უახლოეს წლებში: „ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ ფაბრეგასის შენარჩუნების შანსებს. დარწმუნებული ვარ, რომ სესკი ჩვენთან კიდევ რამდენიმე სეზონს გაატარებს. ვფიქრობ, ზაფხულში იგი საბოლოოდ დავარწმუნე, რომ აქ თამაში უჯობს. სესკს „არსენალში" ყოფნა რომ არ მოსწონდეს, აქედან უკვე დიდი ხნის წასული იქნებოდა. მართალია, „ბარსელონას" წინადადება მეტისმეტად მიმზიდველია, მაგრამ ფაბრეგასისთვის უფრო ძლიერი „არსენალის" მიერ მოსაპოვებელი ტიტულების წყურვილია".

ლევან ჯანეზაშვილი

დანიშვნა

# გალათასარაი ჰაჯის ჩააბარეს

## ლივერპული არ შეგვხმიანებიაო...



„გალათასარაიდან" **ფრანკ რაიკაარდის** წასვლის ამბავი უკვე გაცნობეთ. ისიც გითხარით, რომ სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას მას „ლივერპულში" უწინასწარმეტყველებენ.

თუმცა გუშინ ჰოლანდიელი სპეციალისტის აგენტმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ლივერპული" მის კლიენტთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

„არ მესმის, საიდან წარმოიშვა ეს ხმები. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „ლივერპული" ჩვენთან კონტაქტზე საერთოდ არ გამოსულა. ამჟამად ფრანკი მუშაობაზე საერთოდ არ ფიქრობს. ახლა იგი მხოლოდ იმას ცდილობს, „გალათასარაიში" გატარებული პერიოდი რაც შეიძლება მალე დაივიწყოს", - აცხადებს **პერი ოვერემი.**

ამასობაში კი უკვე ცნობილი გახდა რაიკაარდის შემცვლელი „გალათასარაიში". სტამბულელ „ლომთალომებს" ამიერიდან **გეორგე ჰაჯი** გაწვრთნის. ვფიქრობთ, ზედმეტია იმის შეხსენება, რომ ლეგენდარულმა რუმინელმა ათიანმა თავისი ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა სწორედ „გალათასარაის" შემადგენლობაში დაასრულა და მასთან ერთად 2000 წელს უეფას თასი მოიგო.

ლევან ჯანეზაშვილი

# უცხოური ფეხბურთი

## ევროპის ლიგა. III ტური

### A ჯგუფი

**ზალცბურგი-იუვენტუსი 1:1**

**ზალცბურგი (4-2-3-1):** ტრემელი - შვეგლერი, აფოლაბი, სეკაგია, ჰინტერეგერი - შმირი, მენდეშ და სილვა (52. ლაიტგები) - სარატე (82. იანტშერი), პოკრივაცი, სვენტო - ვალნერი.

**იუვენტუსი (4-2-2-2):** მანინგერი - გრიგერა (80. მოტა), ბონუჩი, კიელინი, დე ჩელიე - მარკიზიო, სისოკო - მარტინესი (64. ფელიპე მელო), პეპე (46. კრასიჩი) - დელ პიერო, ამაური.

**გოლები:** 1:0 სვენტო (36), 1:1 კრასიჩი (48)
**გაფრთხილება:** 1-2
**მაყურებელი:** 25 000

**მანჩესტერ სიტი-ლეხი 3:1**

**მანჩესტერ სიტი (4-2-2-1-1):** ჰარტი - საბალეტა (85. ბრიჯი), ბოიატა, რიჩარდსი, ლესკოტი - ვიეირა, დე იონგი - ადამ ჯონსონი, რაიტ-ფილიპსი (78. ჟო) - სილვა (75. იაია ტურე) - ადებაიორი.

**ლეხი (4-2-2-2):** ბურიჩი - კიკუტი, არბოლედა სანჩესი (70. ჯურჯევიჩი), ლუის ენრიკესი - ინიაცი, დრიგასი (56. რუდნევსი) - პეჟკო, ვილკი (55. სტილიჩი) - კრივეტსი, შიმაბმა.

**გოლები:** 1:0 ადებაიორი (13), 2:0 ადებაიორი (25), 2:1 შიბამბა (50), 3:1 ადებაიორი (73)
**გაფრთხილება:** 0-1
**მაყურებელი:** 33 383

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ სიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. ლეხი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-6 | 4 |
| 3. იუვენტუსი | 3 | 0 | 3 | 0 | 5-5 | 3 |
| 4. ზალცბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

### B ჯგუფი

**არისი-ლევერკუზენი 0:0**

**არისი (4-2-2-2):** სიფაკისი - ვანგელი, რონალდო, ლაზარიდისი, გარბინი - ფატი, ტოია - ხავიტოი, ტონი კალვო - კოკე (70. მენდრინოსი), რუისი.

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ადლერი - ვიდა, მ. ფრიდრიხი, რაინარტცი, კადლეცი - ლ. ბენდერი, ბალიტში (61. ვიდალი) - კაპლანი, როლფესი (76. დერდიოკი), იორგენსენი (60. ბარნეტა) - ჰელმესი.

**გაფრთხილება:** 1-1
**მაყურებელი:** 22 000

**ატლეტიკო-რუსენბორგი 3:0**

**ატლეტიკო (4-2-2-2):** რობლესი - ვალერა (22. პერეა), უიფალუში, გოდინი, ფილიპე - პაულო ასუნსაო, ტიაგო (71. რაულ გარსია) - რეიესი, სიმაო - დიეგო კოშტა, ფორლანი (65. აგუერო).

**რუსენბორგი (4-3-3):** იორლუნდი - ლუსტიგი, ბიერსმირი, დემიდოვი, დორსინი - ჰენრიკსენი, ანანი, სკიელბრედი (69. სარე) - მოლდსკრედი, პრიკა, ივერსენი (82. ჯამტფალი).

**გოლები:** 1:0 გოდინი (17), 2:0 აგუერო (66), 3:0 დიეგო კოშტა (78)
**გაფრთხილება:** 0-1
**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-1 | 5 |
| 2. ატლეტიკო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| 3. არისი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 4. რუსენბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-8 | 3 |

### C ჯგუფი

**ლილი-ლევსკი 1:0**

**ლილი (4-1-2-3):** ლანდრო - ვანდამი, როზენალი, შედიუ, ბერია - დუმონტი - გეიე, ბალმონტი (80. მავუბა) - ჰაზარი (71. ფერვინიო), ფრო (55. სოვი), ობრანიაკი.

**ლევსკი (4-2-3-1):** მიტრევი - მულდერიო, მილიევი, ივანოვი, მინევი - გაძევი, გრინი - მლადენოვი (72. სლორი), იგნიანოვი (63. ისა), ჟოაოზინიო - დემბელე.

**გოლი:** 1:0 შედიუ (49)
**გაფრთხილება:** 1-1
**მაყურებელი:** 14 646

**სპორტინგი-გენტი 5:1**

**სპორტინგი (4-2-2-2):** ჰილდებრანდი - აბელი, დანიელ კარიკო, ანდერსონ პოლგა (44. ტორსილიერი), ევალდო - მანიშე (63. საპატერი), ანდე სანტოსი - ჟოაო პერეირა, სალომაო - ლიდსონი, ელდერ პოშტიგა.

**გენტი (4-1-2-1-2):** იორგაჩევიჩი - ბარიჩი (46. კულიბალი), უილსი, ჰანსტვეიტი, სკარაბოტი - თისი - აზოფეიფა, სმოლდერსი (46. გრონდინი) - ლიუბიანჩიკი - ელ ღანაზი - კონტე.

**გოლები:** 1:0 სალომაო (7), 2:0 ლიდსონი (13), 2:1 უილსი (16), 3:1 ლიდსონი (27), 4:1 მანიშე (37), 5:1 ელდერ პოშტიგა (60)
**გაფრთხილება:** 2-0
**მაყურებელი:** 15 008

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპორტინგი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-2 | 9 |
| 2. ლილი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 3. ლევსკი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-8 | 3 |
| 4. გენტი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-9 | 1 |

### D ჯგუფი

**დინამო (ზ)-ბრიუგე 0:0**

**დინამო ზ. (4-2-2-2):** კელავა - ვრსალიკო, ბიშჩაკი, ტონელი, კუფრე - ადემი (69. ტომეჩაკი), ბადელი - ჩაგო, მორალესი (87. იბანიესი) - სამირი, რუკავინა (79. ბეჩირაი).

**ბრიუგე (4-2-3-1):** დე ვლიგერი - კამოზატო, ჰოეფკენსი, სიმაეისი, დიას კემპბელი - გერერტსი, ოჯიჯა-ოფოე - ვ. დალმა, კუემაა, დირარი - პერიშიჩი.

*77-ე წუთზე სამირმა (დინამო ზ), ვერ გაიტანა პენალტი (აიცილა)*

**გაფრთხილება:** 1-3
**მაყურებელი:** 22 000

**ვილიარეალი-პაოკ 1:0**

**ვილიარეალი (4-1-3-2):** დიეგო ლოპესი - ანხელი, გონსალო როდრიგესი, მუსაკიო, კაპდევილა - ბრუნო - სანტი გასორლა (77. მონტერო), ბორხა ვალერო, კანი - როსი (70. ნილმარი), რუბენი (82. ალტიდორი).

**პაოკ (4-1-2-2-1):** კრესიჩი - ბუსაიდი, კონტრერასი, კირილო, შნაუცერი - ვიტოლო - ფოტაკისი, ივიჩი - ვიეირინია, ელ ჟარი (85. კუციანიკულისი) - მუსლიმოვიჩი (80. ათანასიადისი).

**გოლი:** 1:0 რუბენი (38)
**გაფრთხილება:** 0-4
**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვილიარეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-3 | 6 |
| 2. დინამო (ზ) | 3 | 1 | 1 | 1 | 2-1 | 4 |
| 3. პაოკ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 4. ბრიუგე | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |

### E ჯგუფი

**ალკმაარი-დინამო (კ) 1:2**

**ალკმაარი (4-3-3):** რომერო - მარსელისი, მოისანდერი, მორენო, ვირგევერი - ვერნბლუმი, ფალკენბურგი (81. ვან დერ ველდენი), სხაარსი - ჰოლმანი (68. სიგთორსონი), ჯონატასი, მარტენსი (77. გუდმუნდსონი).

**დინამო კ. (4-2-3-1):** კოვალი - ბეტაო, ლეანდრო ალმეიდა, ხაჩერიდი, ელ-კადური - ვუკოევიჩი, მიხალიკი - რ. ერიომენკო, შევჩენკო (58. დანილო სილვა), გუსევი (76. იარმოლენკო) - მილევსკი (90. ზოზულია).

**გოლები:** 0:1 მილევსკი (16), 1:1 ფალკენბურგი (35), 1:2 ხაჩერიდი (40)
**გაძევება:** მოისანდერი (95. ალკმაარი)
**გაფრთხილება:** 5-1
**მაყურებელი:** 12 338

**შერიფი-ბატე 0:1**

**შერიფი (4-2-1-2-1):** სტოიანოვი - ვრანიეში, თარხნიშვილი, ნადსონი, ბრანკოვიჩი - ადამოვიჩი, რუამბა - ეროხინი - ბალიმა (82. გეორგიევი), დიედიუ (64. ვოლკოვი) - გაურაკსი (64. ფრანსა).

**ბატე (4-2-1-2-1):** ვერემკო - იურევიჩი, შიტოვი, სოსნოვსკი, ბორდაჩევი - ოლეხნოვიჩი (75. ლიხტაროვიჩი), ა. ვოლოდკო - რენანი (68. ბაგა) - კონცევოი (83. სკავიში), ნეხაიჩიკი - როდიონოვი.

**გოლი:** 0:1 სოსნოვსკი (9)
**გაფრთხილება:** 3-1
**მაყურებელი:** 10 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბატე | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 2. დინამო (კ) | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 3. შერიფი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 4. ალკმაარი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |

### F ჯგუფი

**პალერმო-ცსკა 0:3**

**პალერმო (4-3-1-2):** ბენუსი - დარმიანი (56. კესამი), გოიანი, ბოვო, ბალძარეტი - კასანი, ნოჩერინო, მილიაჩო - პასტორე - მაკარონე (65. პინილა), ერნანდესი (76. ჟოაო პედრო).

**ცსკა (4-2-2-2):** აკინფეევი - ნაბაბკინი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შჩენნიკოვი - მამაევი, ჰონდა - ოლისე, მარკ გონსალესი (65. ტოშიჩი) - დუმბია (60. ნეციდი), ვაგნერ ლავი (76. ძაგოევი).

*23-ე წუთზე ვაგნერ ლავმა (ცსკა) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლები:** 0:1 დუმბია (34), 0:2 დუმბია (59), 0:3 ნეციდი (83)
**გაძევება:** პასტორე (74. პალერმო)
**გაფრთხილება:** 5-0
**მაყურებელი:** 10 000

**სპარტა-ლოზანა 3:3**

**სპარტა (4-1-3-1-1):** ბლაჟეკი - კუსნირი, ბრაბეცი, რეპკა, პამიჩი - კუჩკა - სიონკო, ვაჩეკი, პოდანი (81. კლადრუბსკი) - კადლეცი (93. მატეიოვსკი) - ვილფრიდი (76. კვეუკე).

**ლოზანა (4-2-2-2):** ფავრი - როჩა, კატცი (82. როუ), მეოლი, სონერატი - მარაცი, ჩელესტინი - შოიბლე, პაშე (68. როდრიგო ტოსი) - მუნსი (74. ავანძინი), სილვიო.

**გოლები:** 0:1 მეოლი (6), 1:1 ვილფრიდი (10), 2:1 კუჩკა (20), 3:1 ვილფრიდი (23), 3:2 შტოიბლე (75), 3:3 სილვიო (95)
**გაფრთხილება:** 1-2
**მაყურებელი:** 12 430

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 3 | 3 | 0 | 0 | 9-0 | 9 |
| 2. სპარტა | 3 | 1 | 1 | 1 | 6-8 | 4 |
| 3. პალერმო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 4. ლოზანა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |

### G ჯგუფი

**ანდერლეხტი-აეკ 3:0**

**ანდერლეხტი (4-4-2):** პროტო - ჟილე, მაზუში, იუჰაში, დეშახტი - კლიესტანი, ბილია, პოლაკი, კანუ (66. სუარესი) - ლუკაკუ (79. ჩავარია), ბუსუფა.

**აეკ (4-2-3-1):** სახა - არგირიუ, დელასი, გენცოღლუ, ლაგოსი - მაკოსი (46. ჯებური), დოიპი - კაფესი, ედერი (64. ლეონარდო), სკოკო (22. ბურნსი) - ბლანკო.

**გოლები:** 1:0 ბუსუფა (31), 2:0 ლუკაკუ (71), 3:0 იუჰაში (75)
**გაფრთხილება:** 1-3
**მაყურებელი:** 20 000

**ზენიტი-ჰაიდუკი 2:0**

**ზენიტი (4-3-3):** ჟევნოვი - ანიუკოვი, ლომბერტსი, კრიჟანეცი, ლუკოვიჩი - დენისოვი, ფაიზულინი (65. ზირიანოვი), სემაკი - დანი (77. კანუნიკოვი), ბუხაროვი, ლაზოვიჩი (71. იონოვი).

**ჰაიდუკი (4-2-3-1):** სუბასიჩი - ორემუსი, მალოკა, ბულიატი, სტრინიჩი - ლიუბიჩიჩი, ბრკლიაცა (87. ტრებოტიჩი) - ბულკუ (80. იოზინოვიჩი), იბრიჩიჩი, შარბინი (46. კოპი) - ვუკუშიჩი.

**გოლები:** 1:0 ბუხაროვი (25), 2:0 დანი (68)
**გაფრთხილება:** 1-1
**მაყურებელი:** 22 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-3 | 9 |
| 2. ანდერლეხტი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 3. აეკ | 3 | 1 | 0 | 2 | 5-8 | 3 |
| 4. ჰაიდუკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |

### H ჯგუფი

**შტუტგარტი-ხეტაფე 1:0**

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - ჩელოცი, ბულარუზი (75. ბა), ნიდერმაიერი, ბოკა - ტრეში (65. ფუნკი), კუზმანოვიჩი - კამორანეზი, კაკაუ, გენტნერი - მარიკა (66. პოგრებნიაკი).

**ხეტაფე (4-3-3):** უსტარი - პინტოსი, დიასი, რაფა, მარკანო - ვიქტორ სანჩესი (46. კასკერო), ბორხა, ალბინი (74. კოლუნგა) - არისმენდი (46. გავილანი), დელ მორალი, მიკუ.

**გოლი:** 1:0 მარიკა (29)
**გაფრთხილება:** 0-1
**მაყურებელი:** 17 400

**იანგ ბოიზი-ოდენსე 4:2**

**იანგ ბოიზი (4-3-2-1):** ვიოლფი - სუტერი, ნეფი, აფოლტერი, შპიხერი - ტ. დუბაი, ჰოხშტრასერი (68. ჯემალი), კოსტანცო (79. რაგაცონი) - დ. დეგენი, ლულიჩი - ნტსამა (87. რაიმონდი).

**ოდენსე (4-4-2):** ჰანსენი - რუუდი, მიოლერ კრისტიანსენი, ჰალანდი, სორენსენი - გისლასონი (72. ჰელვეგი), ჯემბა-ჯემბა, ტრაორე, კადრი (85. აბსალონსენი) - იუჰანსონი, უტაკა (78. დემბა-ნირენი).

**გოლები:** 1:0 ნტსამა (25), 2:0 სუტერი (34), 2:1 უტაკა (48), 3:1 დ. დეგენი (61), 4:1 ლულიჩი (74), 4:2 სორენსენი (84-პენ)
**გაფრთხილება:** 0-1
**მაყურებელი:** 12 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შტუტგარტი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 2. იანგ ბოიზი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 3. ხეტაფე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. ოდენსე | 3 | 0 | 0 | 3 | 4-8 | 0 |

### I ჯგუფი

**დებრეცენი-ეინდჰოვენი 1:2**

**დებრეცენი (4-4-2):** მალინაუსკასი - ნაგი, სიმაკი, მიადინოსკი, ფოდორი - კისი, ვარგა, შაკალი (79. რეზესი), ცვიტკოვიჩი - კულიბალი, იანიკი (66. ბოდი).

**ეინდჰოვენი (4-3-3):** ისაკსონი - ჰაჩინსონი, ბოუმა, მარსელო, პიტერსი - ენგელაარი, აფელაი, ტოივონენი (84. ბაკალი) - ლენსი (46. რაისი), ბერგი, ჟუჟაკი.

**გოლები:** 1:0 მიადინოსკი (35), 1:1 ენგელაარი (40), 1:2 რაისი (66)
**გაფრთხილება:** 0-1
**მაყურებელი:** 5 000

**მეტალისტი-სამპდორია 2:1**

**მეტალისტი (4-4-1-1):** დისლიენკოვიჩი - ბორდიანი, ობრადოვიჩი, გუიე, პშენიჩნიხი - ედმარი, ვალიაიევი, კლეიტონ შავიერი (87. ვორობეი), ფინინიო (63. ოლეინიკი) - ტაისონი - დევიჩი (84. შელაიევი).

**სამპდორია (4-1-2-2-1):** კურჩი - კაჩატორე, ვოლტა, გასტალდელო, ციგლერი - დესენა (82. გუბერტი) - პოლი (65. მანინი), კომანი (74. ტისონე) - კასანო, მარილუნგო - პოცი.

**გოლები:** 0:1 კომანი (32), 1:1 ტაისონი (38), 2:1 კლეიტონ შავიერი (73)
**გაძევება:** ტაისონი (56. მეტალისტი)
**გაფრთხილება:** 2-3
**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 2. მეტალისტი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| 3. სამპდორია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4. დებრეცენი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

### J ჯგუფი

**კარპატი-სევილია 0:1**

**კარპატი (4-3-3):** რუდენკო - ფედეცკი, ჩეჩერი, ტუბიჩი, დანილო აველარი - ხუბოდიაკი, ტკაჩუკი, ჰოლოდიუკი - კოჟანოვი (75. ჰუდიმა), ზენიოვი (46. კუზნეცოვი), კოპოლოვეცი (57. ჰაბოვდა).

**სევილია (4-3-3):** პალოპი - დაბო, კასერესი, ესკუდე, ფ. ნავარო - კონკა, ზოკორა, გუარენტე (81. ხოსე კარლოსი) - ნეგრედო (75. ლუიშ ფაბიანო), კანუტე (68. რომარიჩი), პეროტი.

**გოლი:** 0:1 კანუტე (34)
**გაძევება:** ჩეჩერი (88. კარპატი)
**გაფრთხილება:** 3-3
**მაყურებელი:** 20 000

**ბორუსია-პსვ 1:1**

**ბორუსია (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, დედე - ს. ბენდერი (46. გიოტცე), ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი (82. ფოილნერი), კაგავა (65. ლევანდოვსკი), გროსკროიტცი - ბარიოსი.

**პსვ (4-2-2-2):** ედელი - ჟალე, კამარა, სახო, ტიენე - მაკელელე, ბოდმერი (68. კლემენი) - სესენიონი, ნენე (82. შანტომი) - ლუინდულა, ერდინჩი (72. ოარო).

**გოლები:** 1:0 ნ. შაჰინი (50-პენ), 1:1 შანტომი (87)
**გაფრთხილება:** 0-1
**მაყურებელი:** 50 200

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 2. სევილია | 3 | 2 | 0 | 1 | 2-1 | 6 |
| 3. ბორუსია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 4. კარპატი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-7 | 0 |

### K ჯგუფი

**ნაპოლი-ლივერპული 0:0**

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი - კამპანიარო, კანავარო, არონიკა - მაჯო (76. ძუნიგა), პაციენცა, გარგანო (83. იებდა), დოსენა - ჰამშიკი (85. სოსა), ლავეცი - კავანი.

**ლივერპული (4-2-3-1):** რეინა - მ. კელი, კარაგერი (46. კირიაკოსი), შკრტელი, კონჩესკი (65. ფ. აურელიო) - პოულსენი, სპირინგი - იოვანოვიჩი, შელვეი, ბაბელი (77. ჯ. კოული) - ნგოგი.

**გაფრთხილება:** 1-1
**მაყურებელი:** 55 489

**უტრეხტი-სტიაუა 1:1**

**უტრეხტი (4-2-1-3):** ვორმი - კორნელისი, შუტი, ვუიტენსი, ნესუ - ზილბერბაუერი, ნიპოლტი (81. ვორსტერმანსი) - მულენგა - დუპლანი, ვან ვოლფსვინკელი, მარტენსი.

**სტიაუა (4-4-1-1):** ტატარუსანი - ედერი, გარდოსი, ალვეში, ლატოვლევიჩი - ანგელოვი (66. რადუტი), რიკარდო გომესი, ნიკოლიტა, ტანასე - სტანჩუ - სურდუ (77. შეკელი).

**გოლები:** 1:0 დუპლანი (60), 1:1 შუტი (75-საკ. კარში)
**გაფრთხილება:** 2-2
**მაყურებელი:** 23 300

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 3 | 1 | 2 | 0 | 4-1 | 5 |
| 2. ნაპოლი | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 3. უტრეხტი | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| 4. სტიაუა | 3 | 0 | 2 | 1 | 5-8 | 2 |

### L ჯგუფი

**ბეშიქთაში-პორტუ 1:3**

**ბეშიქთაში (4-2-1-3):** ჰაქან არიქანი - ჰილბერტი, ზაპოტოჩნი (71. ალი), თორამანი, იბრაჰიმ იუზულმეზი (78. ქიობასი) - ფ. ერნსტი, ნეჩიფი - ტაბატა - ნიჰათი, ნობრე (83. ერსან გიულუმი), ბობო.

**პორტუ (4-3-3):** ჰელტონი - საპუნარუ, როლანდო, მაიკონი, ალვარო პერეირა - ფერნანდო, ბელუში, მოუტინიო (81. გუარინი) - როდრიგესი (75. ვარელა), ჰალკი, ფალკაო (46. ოტამენდი).

**გოლები:** 0:1 ფალკაო (26), 0:2 ჰალკი (59), 0:3 ჰალკი (77), 1:3 ბობო (92)
**გაძევება:** მაიკონი (43. პორტუ), ფერნანდო (90. პორტუ)
**გაფრთხილება:** 2-2
**მაყურებელი:** 29 000

**ცსკა (ს)-რაპიდი 0:2**

**ცსკა ს. (4-2-3-1):** მბოლი - მინევი (46. ტიბონი), ვიდანოვი, აკუარო, კ. სტოიანოვი (72. დეჩევი) - იანჩევი, ტრიფონოვი - ნელსონი (57. ტონევი), მარკუინიოსი, დელევი - შერიდანი.

**რაპიდი (4-2-3-1):** ჰედლი - კაიანი, ზონლაიტნერი, სომა, კატცერი - ჰაიკინენი, პელივანი - კავლაკი, ს. ჰოფმანი (84. ტრიმელი), ზაურერი (64. დრაძანი) - ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (77. ნუჰიუ).

**გოლები:** 0:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (28), 0:2 ს. ჰოფმანი (32)
**გაფრთხილება:** 1-2
**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| 2. ბეშიქთაში | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 3. რაპიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 4. ცსკა (ს) | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |

გოტფრიდ ლენცი



ზენიტი-ჰაიდუკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ევროპის მეფე რაულ გონსალეს ბლანკო!




ლეგენდარული რაული ევროტურნირების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა

ოთხშაბათი ჩემპიონთა ლიგაში მასპინძლების, აგრეთვე „ტოტენჰემის" მარცხენა მცველ გარეთ ბეილისა და რაულ გონსალეს ბლანკოს დღე იყო. ვეტერანმა ესპანელმა თავდამსხმელმა, რომელიც ახლა „შალკეს" ღირსებას იცავს, ევროტურნირებზე გატანილი გოლების რაოდენობა 70-მდე გაზარდა და ამ მხრივ ყველა დროის საუკეთესო შედეგი აქვს - რაულმა იტალიელ გოლეადორ ფილიპო ინძაგის ორი გოლით გაასწრო. ჩემპიონთა ლიგის მოქმედმა გამარჯვებულმა „ინტერმა" მერვედფინალისკენ საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგა, „ბარსელონამ" მესის გოლებით მოიგო, „მანჩესტერ იუნაიტედი" კი ისევ არ ჰგავს თავის თავს - ფერგიუსონის გუნდმა ამჯერად აუტსაიდერ „ბურსასთან" მოიპოვა „მუშა გამარჯვება".

## A ჯგუფი

### ინტერი-ტოტენჰემი 4:3

**გოლები:** 1:0 ხ. ძანეტი (2), 2:0 ეტო'ო (11-პენ), 3:0 სტანკოვიჩი (14), 4:0 ეტო'ო (35), 4:1 ბეილი (52), 4:2 ბეილი (90), 4:3 ბეილი (91)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** გარეთ ბეილი (ტოტენჰემი)

**ჟოზე მოურინიოს** ხელში „ინტერს" ასეთი რამ არაფრის დიდებით არ დაემართებოდა: მილანელები 4:0-ს იგებდნენ, მოედანზე მეტნი იყვნენ და მეორე ნახევარში კონცენტრაციის დაკარგვის გამო სამი გოლი გაუშვეს. მიუხედავად ამისა, ფეხბურთში კარგად გარკვეულ გულშემატკივარს ერთი წამითაც არ გაუჩნდებოდა იმის ეჭვი, რომ „ტოტენჰემი" „სან სიროზე" გადაარჩენდა. მეორე წუთზე **ხავიერ ძანეტიმ** ანგარიში რომ გახსნა, ზუსტად ცხრა წუთში მატჩის ბედი უკვე თითქმის გადაწყვეტილი იყო, რადგან „ტოტენჰემს" მეკარე **გომესი** გაუძევეს, წითელი ბარათის მიცემის მიზეზით დანიშნული პენალტი კი **სამუელ ეტო'ომ** გაიტანა. 2:0 და კაცნაკლული „ტოტენჰემი" - მე-11 წუთზე ამ შეხვედრაში უკვე ყველაფერი გასაგები იყო. სამ წუთში **დეიან სტანკოვიჩმა** ანგარიში სამამდე გაზარდა, შესვენებამდე ათი წუთით ადრე კი ეტო'ომ მეორე გაიტანა და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ პირველ ტაიმში კიდევ 2-3 გოლის გატანა შეეძლო.

არცაა გასაკვირი, მილანელები მეორე ტაიმში რომ დამშვიდდნენ, მაგრამ დამშვიდებასთან ერთად, კონცენტრაციაც დაკარგეს, რამაც „ტოტენჰემის" გენიალურ მარცხენა მცველს, **გარეთ ბეილს** ჰეთ-თრიკის შესრულების შესაძლებლობა მისცა. ინგლისელთა მარცხენაფლანგელმა სამჯერ შეძლო „ინტერის" ნახევარმცველების, მცველებისა და მეკარის გაბითურება, ფლანგზე სამჯერ გაინავარდა და სამივე შემთხვევაში დაახლოებით ერთნაირი დარტყმებით უნაკლო ჰეთ-თრიკი შეასრულა.

### ტვენტე-ვერდერი 1:1

**გოლები:** 1:0 იანსენი (75), 1:1 არნაუტოვიჩი (80)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ვესლი (ვერდერი)

გულშემატკივრები, რომლებიც „ტვენტესა" და „ვერდერის" მატჩში დაუნდობელ ბრძოლას ელოდებოდნენ, სასტიკად შეცდნენ. რაკი ჰოლანდიელებმა ბრემენელების შეწუხება დიდად არ მოინდომეს, არც „ვერდერს" შეუტევია ჩვეულ სტილში. შედეგად, დაბალ ტემპში მიმდინარე პაექრობა ვიხილეთ. „ვერდერი" დაცვაში კომპაქტურად კი იდგა, მაგრამ შეტევაში კრეატიულობა ოდნავადაც არ ეტყობოდა. შესაბამისად, მომენტი, რომელიც პირველი ტაიმის პირველ ნახევარში „მუსიკოსებს" შეექმნათ, „ტვენტეს" მცველების ბავშვური შეცდომის შედეგი იყო.

გამარჯვებაზე ფიქრი ორივე გუნდმა მხოლოდ 70-ე წუთიდან დაიწყო, რამაც, როგორც ერთ, ასევე მეორე გუნდს უფრო თავისუფლად თამაშის საშუალება მისცა. ჰოლანდიელებმა ანგარიში დამსახურებულად გახსნეს, „ვერდერმა" კი წონასწორობა მხოლოდ **კლაუდიო პისაროსა** და **მარკო არნაუტოვიჩის** ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ალადგინა. არნაუტოვიჩი ვარსკვლავად „ტვენტეში" ჩამოყალიბდა და არცაა გასაკვირი, ყოფილი გუნდის კარში გატანილი გოლი დიდად რომ არ იზეიმა. საბოლოოდ კი ფრე, რომელიც არც ჰოლანდიელებს აწყობდათ და არც გერმანელებს. თუმცა მეორეადგილოსან „ტოტენჰემთან" ორივე ახლოსაა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 10-5 | 7 |
| 2. ტოტენჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 9-7 | 4 |
| 3. ტვენტე | 3 | 0 | 2 | 1 | 4-7 | 2 |
| 4. ვერდერი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-7 | 2 |

## B ჯგუფი

### შალკე-ჰაპოელი 3:1

**გოლები:** 1:0 რაული (3), 2:0 რაული (58), 3:0 ხურადო (68), 3:1 შეხტერი (93)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ხოსე მანუელ ხურადო (შალკე)

ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა შემდეგი მოსაზრება: „შალკეს" ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგა იმდენად მოსწონთ, რომ ბუნდესლიგა ნაკლებად აღელვებთ, რაც ორივე ტურნირზე ნაჩვენებ შედეგებში ნათლად აისახება. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ფაქტია: „ჰაპოელთან" სულ სხვა, ბრწყინვალე „შალკე" ვიხილეთ!

გამთამაშებელი **ხოსე მანუელ ხურადო** თავდამსხმელებთან, **რაულთან** და **კლაას-იან ჰუნტელაართან** იმდენად კარგად კომბინირებდა, რომ გვიკვირს, რატომ თამაშობს „შალკე" ბუნდესლიგაში ასე ცუდად. მატჩის ბედი გელზენკირხენელთა ულამაზესმა შეტევამ გადაწყვიტა, როცა ჰუნტელაარის, რაკიტიჩისა და რაულის კომბინაცია ეფექტური გოლით დაგვირგვინდა. ამ გამარჯვებამ კი „შალკეს" მერვედფინალისკენ საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადაადგმევინა. მოედანზე საუკეთესო „ატლეტიკოდან" ნაყიდი ხურადო გახლდათ, რომელიც „შალკეს" თითქმის ყველა შეტევას იდეალურად ხელმძღვანელობდა. ხურადომ ჯერ თანამემამულე რაულს გაატანინა, მერე კი თვითონაც ულამაზესი გოლი გაიტანა.

ყველაზე საინტერესო კი ალბათ ის არის, რომ რაული ახლა ევროტურნირების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. ვეტერან ესპანელ გოლეადორს ევროტურნირებზე 70 გოლი აქვს გატანილი (აქედან 68 ჩემპიონთა ლიგაში) და კონკურენტ **ფილიპო ინძაგის** ორი გოლით გაასწრო.

### ლიონი-ბენფიკა 2:0

**გოლები:** 1:0 ბრიანი (21), 2:0 ლისანდრო ლოპესი (51)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჯიმი ბრიანი (ლიონი)

„ლიონმა" „ბენფიკას" ძლევით მერვედფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა. თანაც, ფრანგები ახლა ყოველნაირად კმაყოფილები არიან, რადგან საფრანგეთის ჩემპიონატშიც გამოისწორეს მდგომარეობა (ზედიზედ ორი გამარჯვებით „ნანსისთან" და „ლილთან"). ეფექტური იყო **ჯიმი ბრიანის** გოლი, რომელმაც **ბასტოსის** მგრძნობიარე ჩაწოდების შემდეგ ზუსტი თავური დარტყმით იხეირა. შესვენებამდე, „ბენფიკას" **გაიტანი** გაუძევეს და ცხადი იყო, რომ ლისაბონელები ამ თამაშს ველარ გადაარჩენდნენ. ეს მოსაზრება 51-ე წუთზე, **ლისანდრო ლოპესის** გოლმა (ბრიანის პასით) გაამყარა.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ლოგიკურად, მეორე ადგილისთვის ბრძოლა „შალკესა" და „ბენფიკას" შორის უნდა გაიმართოს. მეორე წრეში გელზენკირხენული კლუბი ლისაბონში უნდა ჩავიდეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 2. შალკე | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 3. ბენფიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. ჰაპოელი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |

## C ჯგუფი

### მანჩესტერი-ბურსა 1:0

**გოლი:** 1:0 ნანი (6)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ანდერსონი (მანჩესტერი)

„ბურსას" ორ თამაშში 5 გოლი ჰქონდა გაშვებული და ლოგიკურია, რომ ვფიქრობდით, „ოლდ ტრეფორდზე" შავი დღე დაადგებოდა, მაგრამ „მანჩესტერს" ამ სეზონში ხომ არ ახსოვს, როგორ უნდა გაიტანოს გოლები. ერთადერთი გოლი მე-6 წუთზე გავიდა - **ნანიმ** თურქეთის ჩემპიონს შორიდან, ულამაზესი გოლი გაუტანა. ვინც იფიქრა, რომ თურქების გვემა იწყებოდა, სასტიკად შეცდა, რადგან მანკუნიანელებმა ყურები ისევ ჩამოყარეს და „ბურსას" განადგურება არც კი უცდიათ.

რაკი თავი არც (ვერც) თურქებმა გამოიდეს და მანჩესტერელთა კარში პირველად და უკანასკნელად 90-ე წუთზე დაარტყეს, მინიმალისტ მანჩესტერელებს ასეთი მიდგომა კიდევ ერთხელ ეყოთ გამარჯვებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ **ფერგიუსონის** გუნდმა სამ თამაშში მხოლოდ ორი გოლი გაიტანა, ანგარიშზე შვიდი ქულა აქვს, რადგან კარი სამივე თამაშში მშრალად შეინახა.

### რეინჯერსი-ვალენსია 1:1

**გოლები:** 1:0 ედუ (34), 1:1 ედუ (46-საკ. კარში)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ტინო კოსტა (ვალენსია)

„რეინჯერსი" ისევ დაუმარცხებელია - გლაზგოელებს მიმდინარე სეზონში არც ერთი თამაში არ წაუგიათ. მართალია, „ვალენსიასთან" საკუთარ მოედანზე სტუმრებივით თამაშობდნენ და ინიციატივა ესპანელებს გადააბარეს, მაგრამ **ედუმ** თავით მოხდენილი გოლი გაიტანა და „რეინჯერსი" წინ გავიდა. ერთი ეგაა, რომ გოლის მომენტში ვალენსიელთა მეკარეს მისთვის ხელშეუხებელ ზონაში შეეხო, რაც იტალიელმა არბიტრმა **ნიკოლა რიცოლიმ** არად ჩააგდო, მაგრამ როგორც ჩანს, ედუ სინდისმა შეაწუხა - 46-ე წუთზე მან კიდევ ერთი გოლი გაიტანა: ისევ თავით, მაგრამ ამჯერად საკუთარ კარში. „ვალენსია" დარჩენილ დროშიც დომინირებდა, მაგრამ ამ მატჩიდან ქულაზე მეტი მაინც ვერ გამოწოვა. შედეგად: ერთადერთი გუნდი, რომელმაც მერვედფინალში გასვლაზე ხელი უნდა ჩაიქნიოს, „ბურსაა".

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 2. რეინჯერსი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 3. ვალენსია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-2 | 4 |
| 4. ბურსა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |

## D ჯგუფი

### ბარსელონა-კოპენჰაგენი 2:0

**გოლები:** 1:0 მესი (19), 2:0 მესი (92)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლიონელ მესი (ბარსელონა)

როგორც მოსალოდნელი იყო, „კოპენჰაგენმა" „ნოუ კამპზე" წააგო და ლიდერობაც დაკარგა, მაგრამ გუნდისთვის, რომელსაც პირველი ორი თამაში მოგებული ჰქონდა, ამ წაგებით ბევრი არაფერი შეცვლილა - „კოპენჰაგენს" მერვედფინალში გასვლის ჩინებული შანსი აქვს. **ლეო მესიმ** ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა, დააგვირგვინა რა „ბარსას" მშვენიერი კომბინაცია, რის შემდეგაც კატალონიელებმა კიდევ არაერთი მომენტი შექმნეს, მაგრამ ვერც ერთი გამოიყენეს. ამის გამო **პეპ გვარდიოლა** შესვენებაზე განსაკუთრებით **დავიდ ვილიას** უსაყვედურებდა, რომელიც, როგორც წესი, საგოლე მომენტების აბსოლუტურ უმრავლესობას უპრობლემოდ იყენებს ხოლმე.

სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა: „ბარსელონა" „კოპენჰაგენის" საჯარიმოს მისადგომებთან თავის სტილში, მოკლე პასებით ერთობოდა, მაგრამ გოლები ვერ გაიტანა. რაც უფრო ახლოვდებოდა საფინალო სასტვენი, კოპენჰაგენელები მით უფრო მეტს უბედავდნენ კატალონიურ გრანდს, მაგრამ ბოლოს მესიმ მეორედ დალაშქრა მათი კარი და სტუმრები საბოლოოდ დაამშვიდა.

### პანათინაიკოსი-რუბინი 0:0

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჯიბრილ სისე (პანათინაიკოსი)

ათენში შეკრებილმა ქომაგებმა ისეთი მატჩი იხილეს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, რადგან ორივე გუნდი დუნედ და შიშნარევად ირჯებოდა. ხარისხიანი ფეხბურთი და რეალური საგოლე მომენტები პირველ ტაიმში არც ყოფილა, მეორე ნახევარში კი ინიციატივას ყაზანელი რუსები დაეუფლნენ და ერთიორი ალსანიშნავი მომენტიც შექმნეს. სადღაც 65-ე წუთიდან კი მასპინძლებიც გამოცოცხლდნენ, რაც განსაკუთრებით მათი ფრანგი თავდამსხმელის, **ჯიბრილ სისეს** დამსახურებაა. „რუბინს" კი გაუმართლა, როცა მსაჯმა სისეს გოლი (საეჭვო თამაშგარე) არ ჩათვალა და საქმეს ჯერჯერობით ისეთი პირი უჩანს, რომ ჯგუფიდან „ბარსასთან" ერთად „კოპენჰაგენი" გავა, რაც საკმაოდ დიდი სენსაცია იქნება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| 2. კოპენჰაგენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 3. რუბინი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 4. პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. სტატისტიკა

# ექსპერტებს რონალდო მოსწონთ, ფანებს ეტო'ო

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის I წრე მორჩა, ჩვენ კი მსოფლიოს საუკეთესო საკლუბო ჩემპიონატის სტატისტიკურ მიმოხილვას გთავაზობთ. უეფას ოფიციალური საიტის ექსპერტებმა მე-3 ტურის საუკეთესო ფეხბურთელად „რეალის" პორტუგალიელი ლეგიონერი **კრიშტიანო რონალდო** დაასახელეს, რომელმაც 10-ბალიანი სისტემით 9-იანი მიიღო. ოფიციალურ საიტზე ექსპერტთა გარდა შეფასებების დაწერა ფანებსაც შეუძლიათ, მათი რჩეული კი რონალდო არ არის (7,9), ისინი უპირატესობას ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „ინტერის" ფორვარდ **სამუელ ეტო'ოს** - ანიჭებენ 9,1 ბალი (მაგრამ 8 ბალი ექსპერტთაგან). კამერუნელი ბევრ ნომინაციაში ლიდერობს, ის ბომბარდირია 6 გოლით და ყველაზე მეტი საგოლე პასიც ეტო'ოს ანგარიშზეა. იგი სამი ტურის ჯამშიც უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელია ჩემპიონთა ლიგის ახალ სეზონში ბარსელონელ **ლიონელ მესისთან** ერთად.

## ინდივიდუალური სტატისტიკა

### გოლები

| გოლი | მოთამაშე | კლუბი | წუთი |
|---|---|---|---|
| 6 | სამუელ ეტო'ო | ინტერი | 270 |
| 4 | ლიონელ მესი | ბარსელონა | 210 |
| 4 | გარეთ ბეილი | ტოტენჰემი | 270 |
| 4 | ნიკოლა ანელკა | ჩელსი | 270 |
| 3 | სესკ ფაბრეგასი | არსენალი | 154 |
| 3 | მარუან შამახი | არსენალი | 210 |
| 3 | მიშელ ბაშტოში | ლიონი | 224 |
| 3 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | მილანი | 270 |

### საგოლე პასები

| პასი | მოთამაშე | კლუბი | წუთი |
|---|---|---|---|
| 3 | სამუელ ეტო'ო | ინტერი | 270 |
| 3 | ხუან კუეიო | კლუჟი | 270 |
| 2 | სესკ ფაბრეგასი | არსენალი | 154 |
| 2 | ანდრეი არშავინი | არსენალი | 170 |
| 2 | სამირ ნასრი | არსენალი | 178 |
| 2 | ივან რაკიტიჩი | შალკე | 193 |
| 2 | მესუთ იოზილი | რეალი | 203 |
| 2 | დუგლას კოშტა | შახტარი | 224 |
| 2 | ჯეკ უილშირი | არსენალი | 254 |
| 2 | მარკო შტრელერი | ბაზელი | 261 |
| 2 | ჰოლ. ბადშტუბერი | ბაიერნი | 270 |

### კარში დარტყმები (ზუსტი)

| დარტყმა | მოთამაშე | კლუბი | წუთი |
|---|---|---|---|
| 11 | კრიშტ. რონალდო | რეალი | 270 |
| 9 | ლიონელ მესი | ბარსელონა | 210 |
| 6 | ანდრეი არშავინი | არსენალი | 170 |
| 6 | ანხელ დი მარია | რეალი | 183 |
| 6 | მიშელ ბაშტოში | ლიონი | 224 |
| 6 | ტონი კროოსი | ბაიერნი | 236 |
| 6 | გარეთ ბეილი | ტოტენჰემი | 270 |
| 6 | ნიკოლა ანელკა | ჩელსი | 270 |
| 6 | სამუელ ეტო'ო | ინტერი | 270 |

### კარისკენ დარტყმები (აცილება)

| დარტყმა | მოთამაშე | კლუბი | წუთი |
|---|---|---|---|
| 12 | კრიშტ. რონალდო | რეალი | 270 |
| 9 | გონსალო იგუაინი | რეალი | 265 |
| 7 | ლიონელ მესი | ბარსელონა | 210 |
| 6 | ანდრე აეუ | მარსელი | 211 |
| 6 | კარლუშ მარტინში | ბენფიკა | 257 |
| 6 | კ.-იან ჰუნტელაარი | შალკე | 270 |
| 6 | ჯიბრილ სისე | პანათინ. | 270 |

### თამაშგარე

| თამაშგ. | მოთამაშე | კლუბი | წუთი |
|---|---|---|---|
| 8 | ირენეუშ იელენი | ოსერი | 134 |
| 7 | უგო ალმეიდა | ვერდერი | 216 |
| 7 | ლასინა ტრაორე | კლუჟი | 237 |
| 7 | მარკ იანკო | ტვენტე | 258 |
| 6 | კენი მილერი | რეინჯერსი | 258 |

### გაძევება

| გაძ. | მოთამაშე | კლუბი | წუთი |
|---|---|---|---|
| 1 | მარკო იოვანოვიჩი | პარტიზანი | 56 |
| 1 | ჟან-პასკალ მინიო | ოსერი | 90 |
| 1 | ეურელიუ გომეში | ტოტენჰემი | 98 |
| 1 | რაფ. ვან დერ ვაარტი | ტოტენ. | 110 |
| 1 | ბენედიქტ ჰიოვედესი | შალკე | 128 |
| 1 | ჟილბერტო სილვა | პანათინაიკ. | 138 |
| 1 | ანდრე ოიერი | აიაქსი | 145 |
| 1 | ნიკოლას გაიტანი | ბენფიკა | 146 |
| 1 | დენის ოლიეჩი | ოსერი | 265 |

### გაფრთხილება

| გაფრთ. | მოთამაშე | კლუბი | წუთი |
|---|---|---|---|
| 3 | ნიკოლას გაიტანი | ბენფიკა | 146 |

კიდევ 22 ფეხბურთელი 2-2 გაფრთხილებით

### ჯარიმა

| ჯარიმა | მოთამაშე | კლუბი | წუთი |
|---|---|---|---|
| 12 | მარკო შტრელერი | ბაზელი | 261 |
| 12 | რაზვან რაცი | შახტარი | 270 |
| 12 | როზერ. როსალესი | ტვენტე | 270 |
| 10 | დამე ნ'დოიე | კოპენჰაგენი | 256 |
| 10 | ზლ. იბრაჰიმოვიჩი | მილანი | 270 |

### ჯარიმა (მასზე დაჯარიმდნენ)

| ჯარიმა | მოთამაშე | კლუბი | წუთი |
|---|---|---|---|
| 15 | სვენ ნეისმითი | რეინჯერსი | 270 |
| 14 | ალანი | ბრაგა | 270 |
| 11 | კირკ ბროდფუტი | რეინჯერსი | 180 |
| 11 | ლუის სუარესი | აიაქსი | 180 |
| 11 | ვესლი | ვერდერი | 247 |
| 11 | შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 260 |

## გუნდური სტატისტიკა

### გოლები

| გოლი | საშუალოდ | კლუბი |
|---|---|---|
| 14 | 4,67 | არსენალი |
| 10 | 3,33 | ინტერი |
| 9 | 3 | ტოტენჰემი |
| 8 | 2,67 | ბარსელონა |
| 8 | 2,67 | ჩელსი |
| 7 | 2,33 | ბაიერნი |
| 1 | 0,33 | ოსერი |
| 1 | 0,33 | მარსელი |
| 1 | 0,33 | პანათინაიკოსი |
| 1 | 0,33 | პარტიზანი |
| 1 | 0,33 | რუბინი |
| 1 | 0,33 | ჟილინა |
| 0 | - | ბურსა |

### გოლები (მიღებული)

| გოლი | საშუალოდ | კლუბი |
|---|---|---|
| 9 | 3 | ბრაგა |
| 8 | 2,67 | ჰაპოელი |
| 8 | 2,67 | ჟილინა |
| ... | | |
| 1 | 0,33 | ჩელსი |
| 1 | 0,33 | ლიონი |
| 0 | - | მანჩესტერი |
| 0 | - | რეალი |

### კარში დარტყმა (ზუსტი)

| დარტ. | საშუალოდ | კლუბი |
|---|---|---|
| 28 | 9,33 | რეალი |
| 27 | 9 | არსენალი |
| 24 | 8 | ინტერი |
| 22 | 7,33 | ბარსელონა |
| ... | | |
| 8 | 2,67 | ოსერი |
| 7 | 2,33 | აიაქსი |
| 5 | 1,67 | ბურსა |

### კარისკენ დარტყმა (აცილება)

| დარტ. | საშუალოდ | კლუბი |
|---|---|---|
| 38 | 12,67 | რეალი |
| 30 | 10 | მარსელი |
| 28 | 9,33 | ბარსელონა |
| 26 | 8,67 | ლიონი |
| ... | | |
| 10 | 3,33 | არსენალი |
| 9 | 3 | ჰაპოელი |
| 8 | 2,67 | პანათინაიკოსი |

### ბურთის ფლობა (დრო)

| წუთი | კლუბი |
|---|---|
| 136 | ბაიერნი |
| 134 | ბარსელონა |
| 125 | რეალი |
| 111 | ინტერი |
| 111 | არსენალი |
| 110 | მანჩესტერი |
| ... | |
| 73 | რუბინი |
| 73 | რეინჯერსი |
| 69 | კლუჟი |

### ბურთის ფლობა (%)

| წუთი | კლუბი |
|---|---|
| 71% | ბარსელონა |
| 66% | ბაიერნი |
| 58% | რეალი |
| 58% | ლიონი |
| ... | |
| 40% | ოსერი |
| 40% | რეინჯერსი |
| 36% | კლუჟი |

### კუთხური

| კუთხ. | საშუალოდ | კლუბი |
|---|---|---|
| 27 | 9 | ვალენსია |
| 25 | 8,33 | რეალი |
| 23 | 7,67 | ბაზელი |
| 23 | 7,67 | ბენფიკა |
| 22 | 7,33 | მარსელი |
| ... | | |
| 8 | 2 | ბრაგა |

### გაძევება

| გაძ. | საშუალოდ | კლუბი |
|---|---|---|
| 2 | 0,67 | ოსერი |
| 2 | 0,67 | ტოტენჰემი |

### გაფრთხილება

| გაფრ. | საშუალოდ | კლუბი |
|---|---|---|
| 10 | 3,33 | მილანი |
| 9 | 3 | ოსერი |
| ... | | |
| 1 | 0,33 | არსენალი |
| 1 | 0,33 | რომა |

### ჯარიმა

| ჯარიმა | საშუალოდ | კლუბი |
|---|---|---|
| 60 | 20 | ტვენტე |
| 57 | 19 | პარტიზანი |
| 55 | 18,33 | ბაზელი |
| 55 | 18,33 | შახტარი |
| 52 | 17,33 | კლუჟი |
| ... | | |
| 30 | 10 | აიაქსი |
| 29 | 9,67 | ინტერი |
| 28 | 9,33 | რეინჯერსი |

### ჯარიმა (მათზე დაჯარიმდნენ)

| ჯარიმა | საშუალოდ | კლუბი |
|---|---|---|
| 59 | 19,67 | ბრაგა |
| 55 | 18,33 | მარსელი |
| 53 | 17,67 | რეინჯერსი |
| 50 | 16,67 | შახტარი |
| 49 | 16,33 | რომა |
| ... | | |
| 31 | 10,33 | კოპენჰაგენი |
| 29 | 9,67 | ტვენტე |
| 28 | 9,33 | ვალენსია |

## მატჩების სტატისტიკა

### ყველაზე მეტი გოლი

| გოლი | მატჩი | ანგ. |
|---|---|---|
| 7 | ინტერი-ტოტენჰემი | 4:3 |

### ყველაზე მეტი ზუსტი დარტყმა

| დარტყმა | მატჩი | ანგ. |
|---|---|---|
| 16 | ჰაპოელი-ლიონი | 1:3 |
| 16 | პარტიზანი-არსენალი | 1:3 |
| 16 | რეალი-აიაქსი | 2:0 |

### ყველაზე მეტი აცილება

| დარტყმა | მატჩი | ანგ. |
|---|---|---|
| 25 | რეალი-აიაქსი | 2:0 |

### ყველაზე მეტი კუთხური

| კუთხ. | მატჩი | ანგ. |
|---|---|---|
| 23 | მარსელი-ჟილინა | 1:0 |

### ყველაზე მეტი თამაშგარე

| თამაშ. | მატჩი | ანგ. |
|---|---|---|
| 14 | ბარსელონა-კოპენჰ. | 2:0 |

### ყველაზე მეტი ჯარიმა

| ჯარიმა | მატჩი | ანგ. |
|---|---|---|
| 39 | შახტარი-პარტიზანი | 1:0 |

### ყველაზე მეტი გაფრთხილება

| გაფრთ. | მატჩი | ანგ. |
|---|---|---|
| 7 | აიაქსი-ოსერი | 2:1 |
| 7 | ჰაპოელი-ლიონი | 1:3 |

### ყველაზე მეტი გაძევება

| გაძ. | მატჩი | ანგ. |
|---|---|---|
| 3 | აიაქსი-ოსერი | 2:1 |

### გოლების დრო

| წთ. | გოლი |
|---|---|
| 1-15 | 18 |
| 16-30 | 25 |
| 31-45 | 22 |
| I ტ. დამ. დრო | 1 |
| 46-60 | 17 |
| 61-75 | 18 |
| 76-90 | 23 |
| II ტ. დამ. დრო | 7 |

## რეიტინგები

### ექსპერტთა 10-ეული

| რეიტ. | მატჩი | მოთამაშე | კლუბი |
|---|---|---|---|
| 8,3 | 3 | ლიონელ მესი | ბარსელონა |
| 8,3 | 3 | სამუელ ეტო'ო | ინტერი |
| 8 | 3 | ანდრეს ინიესტა | ბარსელონა |
| 8 | 3 | დამე ნ'დოიე | კოპენჰაგე. |
| 8 | 1 | ალან კასაევი | რუბინი |
| 7,8 | 3 | ჩაბი ალონსო | რეალი |
| 7,8 | 3 | მაჯიდ ბუღერა | რეინჯერსი |
| 7,8 | 3 | მიშელ ბაშტოში | ლიონი |
| 7,8 | 3 | ტეო იანსენი | ტვენტე |
| 7,8 | 2 | სესკ ფაბრეგასი | არსენალი |

### ფანების 10-ეული

| რეიტ. | მატჩი | მოთამაშე | კლუბი |
|---|---|---|---|
| 8,3 | 1 | ანტონიო | ვალენ.მანჩ. |
| 8 | 3 | ლიონელ მესი | ბარსელონა |
| 7,7 | 3 | მიქაელ ესიენი | ჩელსი |
| 7,7 | 2 | ლუის სუარესი | აიაქსი |
| 7,6 | 3 | ანდრეი არშავინი | არსენალი |
| 7,6 | 2 | სესკ ფაბრეგასი | არსენალი |
| 7,4 | 3 | სამუელ ეტო'ო | ინტერი |
| 7,4 | 3 | ნიკოლა ანელკა | ჩელსი |
| 7,4 | 3 | ვესლი სნეიდერი | ინტერი |
| 7,4 | 1 | უეინ რუნი | მანჩესტერი |

### ტურის ფეხბურთელები

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი)

9 (ექსპერტთა შეფასება); 7,9 (ფანების შეფასება)

**სამუელ ეტო'ო** (ინტერი)

9,1 (ფანების შეგასება); 8 (ექსპერტთა შეფასება)

### ჯგუფური ეტაპის ერთიანი ცხრილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 14-2 | 9 |
| 2. ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 3. ლიონი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 4. რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| 5. ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-3 | 9 |
| 6. ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| 7. ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 10-5 | 7 |
| 8. მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 9. შალკე | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 10. სპარტაკი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 11. კოპენჰაგენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 12. შახტარი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| 13. რეინჯერსი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 14. ვალენსია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-2 | 4 |
| 15. ტოტენჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 9-7 | 4 |
| 16. მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 17. აიაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 18. ბაზელი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 19. კლუჟი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 20. ბენფიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 21. მარსელი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |
| 22. რომა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 23. ბრაგა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-9 | 3 |
| 24. ტვენტე | 3 | 0 | 2 | 1 | 4-7 | 2 |
| 25. რუბინი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 26. ვერდერი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-7 | 2 |
| 27. პანათინაიკ. | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| 28. ოსერი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |
| 29. პარტიზანი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |
| 30. ჰაპოელი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |
| 31. ბურსა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |
| 32. ჟილინა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ბეილი მაინც გმირია!

1. **პეტრ ჩეხი** (ჩელსი): „ჩელსის" კიპერი მოსკოვში მონოდების სიმაღლეზე იდგა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. 28 წლის ჩეხმა **ველიტონს, მაკგიდისა** და **იბსონს** (ორჯერ) მკვდარი დარტყმები აუღო და ჩემპიონთა ლიგის რიგით 56-ე მატჩში კარი მშრალად 25-ედ შეინახა.

2. **სამუელ ინკოომი** (ბაზელი): ტურის მთავარი სენსაცია „ბაზელმა" გამოაცხო - შვეიცარიელებმა რომში „რომას" მოუგეს და ამ დიად გამარჯვებაში განელ მცველ ინკოომს ლომის წვლილი მიუძღვის. მან მარჯვენა ფლანგი აიკლო და მნიშვნელოვანი გოლის გატანაც შეძლო.

3. **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი): ბეილის სახით „ტოტენჰემს" მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა მცველი ჰყავს, რომელიც ერთნაირად კარგად თამაშობს როგორც დაცვაში, ისე შეტევაშიც. ბეილი ერთადერთი ლონდონელი იყო, რომელმაც „ინტერი" ანერვიულა. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მისი ჰეთ-თრიკი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე არაფრისმომცემ ჰეთ-თრიკად ჩაიწერება.

4. **რიკარდო კარვალიო** (რეალი): პორტუგალიელმა მცველმა ტურის ცენტრალურ მატჩში „მილანის" ცენტრფორვარდ **ზლატან იბრაჰიმოვიჩს,** როგორც იტყვიან, ფეხი არ გაანძრევინა.

5. **სულეიმან დიავარა** (მარსელი): სენეგალელი მცველის დამსახურებაა ის, რომ „მარსელის" ფეხბურთელები მერვედფინალზე ფიქრს განაგრძობენ. დაცვაზე ხომ ძალიან კარგად იზრუნა და ამასთან, „ჟილინას" ერთადერთი გოლიც სწორედ მან გაუტანა.

6. **ჯეკ უილშერი** (არსენალი): 18 წლის ნახევარმცველმა დონეცკის „შახტართან" ბრწყინვალედ ითამაშა. საყრდენი ნახევარმცველის კვალობაზე მან მოედანზე უდიდესი სამუშაო გასწია: შეტევებსაც ხელმძღვანელობდა, გოლიც გაიტანა და ფაქტობრივად, არც ერთი ორთაბრძოლა არ წაუგია.

7. **კრიშტიანო რონალდო** (რეალი): პორტუგალიელი ნახევარმცველი „მილანთან" ძალიან ეფექტური იყო: ერთი გოლი თვითონ გაიტანა (საჯარიმო დარტყმით), ერთიც **მესუთ იოზილს** გაატანინა. ფაქტია, რომ მილანელებმა რონალდოს მთელი მატჩის განმავლობაში ვერაფერი მოუხერხეს. ერთადერთი მილანელი, რომელმაც რონალდოს დუბლი ან ჰეთ-თრიკი არ შეასრულებინა, მეკარე **მარკო ამელია** გახლდათ.

8. **ხოსე მანუელ ხურადო** (შალკე): როგორც იქნა, ხურადომ ისე ითამაშა, როგორც მისგან გელზენკირხენელი ქომაგები ელიან და ითხოვენ. ესპანელმა რაულსაც გაატანინა და თვითონაც შეძლო გოლის გატანა.




ჰეთ-თრიკის ავტორი, ტოტენჰემის მარცხენა მცველი გარეთ ბეილი

9. **სამუელ ეტო'ო** (ინტერი): **რაფა ბენიტესმა** ეტო'ო ისევ ცენტრალურ თავდამსხმელად ათამაშა და ამ უკანასკნელმაც ისევ გაუმართლა იმედები. ეტო'ომ დუბლი შეასრულა და ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში მის ანგარიშზე უკვე 6 გოლია.

10. **ლიონელ მესი** (ბარსელონა): „ბარსელონამ" „კოპენჰაგენს" ლეოს დუბლით მოუგო. გარდა გოლებისა, არგენტინელმა „ნოუ კამპის" პუბლიკა ისევ ალაფრთოვანა რამდენიმე ბრწყინვალე დრიბლინგით.

11. **რაული** (შალკე): პირველი დუბლი „შალკეს" ფორმით, 68-ე გოლი ჩემპიონთა ლიგაში, 70-ე ევროტურნირებზე - რაული ევროპის ყველა დროის საუკეთესო გოლეადორია.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო

# მიუნხენში შაჰინზე დაფიქრდნენ

## დორტმუნდის თურქი საყრდენი კონტრაქტის მიხედვით სულ რაღაც 6 მილიონი ღირს

„კლუჟთან“ გამარჯვების შემდეგ (3:2), ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა „ბაიერნის“ მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** სავსებით ლოგიკური, მოსალოდნელი კითხვა დაუსვეს: „რატომ გაუშვა „ბაიერნმა“ ისეთ გუნდთან, როგორიც „კლუჟია“, ორი გოლი?“ - „იმიტომ, რომ ტიმოშჩუკი მცველი არ არის, ის ნახევარმცველია,“ - ასეთი იყო ჰოლანდიელი სპეციალისტის პასუხი.

„ბაიერნის“ დაცვის ბურჯ **დანიელ ვან ბუიტენს** ტრავმა აწუხებდა და ლუისმა მის ნაცვლად, დაცვის ცენტრში **ანატოლი ტიმოშჩუკი** გაამწესა და თავის მართლება არც დაუწყია, უბრალოდ თქვა, სხვა გზა არ მქონდაო. უკვე ცხადია, რომ ვან გაალი არგენტინელ **მარტინ დემიკელისს** საერთოდ აღარ ენდობა და ურჩევნია, დაცვაში პოზიციით საყრდენი ნახევარმცველი ტიმოშჩუკი ათამაშოს, დემიკელისს კი სათადარიგოთა სკამს ახეხინებს.



22 წლის ნური შაჰინი ბრწყინვალე ფორმაშია

თვითონ უკრაინელს მიაჩნია, რომ დაცვის ცენტრში თამაშისთვის არ დაბადებულა, მაგრამ იმასაც ამბობს, სადაც მწვრთნელს დავჭირდები, იქ ვითამაშებო, ოღონდ, თან ხვდება, რომ ეს მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობის გამო მიღებული გადაწყვეტილებაა. თავის პოზიციაზე კი ტიმოშჩუკს არ ათამაშებენ, რადგან იმედებს ვერ ამართლებს.

ზოგადად კი, ბავარიელებს ნახევარდაცვის ცენტრში გარკვეული ცვლილებების განხორციელება აქვთ დაგეგმილი. ვან გაალის ხელში რეკორდმაისტერი უმეტესად ორი საყრდენით თამაშობს , რომელთაგან ერთი **ბასტიან შვაინშტაიგერია**, მეორე კი **მარკ ვან ბომელი**. „კიკერის“ ინფორმაციით, ბავარიული გრანდი სერიოზულად დაფიქრდა დორტმუნდის „ბორუსიას“ თურქ ნახევარმცველ **ნური შაჰინის** შეძენაზე, რომელიც მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს და „კიკერის“ შეფასებების მიხედვით, ერთ-ერთი საუკეთესოა.

22 წლის თურქს დორტმუნდელებთან კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს, მაგრამ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, რომ შაჰინის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვით, შაჰინს „ბორუსიას“ დატოვება წელს 6 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეუძლია. ვრცელდება ცნობები, რომ შაჰინს ინგლისურმა და ესპანურმა კლუბებმაც დაადგეს თვალი.

კრიზისი



ლეონარდო და რანიერი

# რანიერის ლეონარდო შეცვლის?

ამ სეზონში „რომა“ არაფრად ვარგა და ფაქტობრივად ყველაფერს აგებს, რისი ნაგებაც შეიძლება და არ შეიძლება. სერია A-ში გუნდმა კატასტროფული სტარტი აიღო და ცხრილის ქვედა ნაწილშია, რასაც ჩემპიონთა ლიგაში არადამაჯერებელი ასპარეზობა მოჰყვა. მართალია, ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის ჯგუფური ეტაპის გადალახვის შანსი ჯერ კიდევ დიდია, მაგრამ „ბაზელთან“ საშინაო კედლებში მარცხი რა თქმა უნდა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. არადა, სეზონის წინ „რომას“ ბანაკში სულ სხვა განწყობა იყო - **ადრიანოს** დამატებით, ლამის ეიფორიული ატმოსფერო შეიქმნა და თითქოს პირი შეკრესო, ყველანი ერთხმად სკუდეტოს მოპოვებაზე ალაპარაკდნენ. ადრიანო ისე გამოადგა „რომას“, როგორც თავის დროზე **ვიტალი კუტუზოვი** - „მილანს“, ან **გაისკა მენდიეტა** - „ლაციოს“. ამასთან, ვერც **ფრანჩესკო ტოტი** და **მირკო ვუჩინიჩი** შევიდნენ ოპტიმალურ ფორმაში. შედეგად, „რომა“ ღრმა კრიზისშია.

იტალიურ პრესაში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ კრიზისს **კლაუდიო რანიერის** სკამი შეეწირება. „ბაზელთან“ განცდილი მარცხის შემდეგ, კლუბის პრეზიდენტმა მწვრთნელ-ფეხბურთელები შეკრიბა და ხანგრძლივი თათბირი მოაწყო. დიდია შანსი, კიდევ ერთი წარუმატებელი მატჩის შემთხვევაში, რანიერი გაუშვან და მის ნაცვლად, გუნდის სათავეში ან **ლეონარდო** დაინიშნოს ან **ფრანკ რაიკაარდი**. დიახ, პრესაში სწორედ ეს ორი კანდიდატურა განიხილება, თანაც ძალიან აქტიურად. როგორც ჩანს, ჰოლანდიელთან დაკავშირება აპენინელ ჟურნალისტებს გაუჭირდათ, აი ბრაზილიელს კი ვრცელი კომენტარი ჩამოართვეს:

*„კიდევ ერთხელ შემიძლია დავადასტურო, რომ ფეხბურთში დაბრუნების დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ სანამ კონკრეტული შეთავაზება არ მექნება, საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. წინადადებები მქონდა ბრაზილიიდან, მაგრამ ჩემი სურვილია, რომ ევროპაში დავამტკიცო შესაძლებლობები. ვფიქრობ, რომ „მილანის“ სათავეში ცუდად არ მიმუშავია და დიდი სურვილი მქონდა, რომ საქმე გამეგრძელებინა. რას ვიზამთ, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. რაც შეეხება „რომას“, გუნდი კრიზისშია და უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი. ეს დიდი გამოწვევა იქნებოდა და ძალიან საინტერესო სამუშაო, რომელსაც სიამოვნებით მივიღებდი. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ სანამ ოფიციალური შეთავაზება არ მექნება, ამაზე საუბარი ნაკლებად აქტუალური და საინტერესოა“.*

„ბაზელთან“ განცდილი მარცხით, ძალიან დამწუხრებულია ფრანჩესკო ტოტი. კაპიტანმა „კორიერე დელო სპორტს“ შემდეგი განუცხადა: *„ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და რამე უნდა ვიღონოთ. კარგად ვხვდები, რომ გულშემატკივრები იმედგაცრუებულნი არიან და ვითარება მალე უნდა გამოვასწოროთ. საბედნიეროდ, ჯგუფიდან გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს და ჯერ კიდევ ყველაფერი ჩვენს ხელშია. მიუხედავად იმისა, რომ საშინელ ხასიათზე ვარ, ოპტიმიზმს ვინარჩუნებ და მჯერა, რომ შვეიცარიაში გამარჯვება სწორედ ჩვენ დაგვრჩება“.*

**ლაშა ნიკლაური**

ფიორენტინა

# მონტოლივო მწვრთნელს ამხნევებს

„ფიორენტინას“ სავალალო მდგომარეობის შესახებ უკვე არაერთხელ დაიწერა, თუმცა თემა იმდენად აქტუალურია, რომ შიგადაშიგ მიბრუნება გვიწევს. ტოსკანელები ყველანაირად რთულ მდგომარეობაში არიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გასულ ტურში დრამატულ პაექრობაში დამარცხდნენ. შეგახსენებთ, რომ „ვიოლა“ „სამპდორიასთან“ მთელი შეხვედრის განმავლობაში იგებდა, მაგრამ ბოლო წუთებში გაშვებული ორი გოლით, კიდევ ერთი მარცხი განიცადა. ბუნებრივია, ასეთი დრამატული მარცხი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მძიმე გადასატანია და სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას გუნდის ლიდერი **რიკარდო მონტოლივო**:

*„ძალიან მძიმე მარცხი განვიცადეთ, ფეხბურთელები შოკში იყვნენ და კარგა ხანი ხმას არავინ იღებდა. მიუხედავად ამისა, ვცდილობთ დავივიწყოთ განვლილი ტურები და მომავალს ოპტიმისტურად შევხედოთ. ბოლო ადგილზე ყოფნა ძალიან უსიამოვნოა, მაგრამ ვგრძნობ, რომ შეგვწევს კრიზისიდან გამოსვლის ძალა. ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მთავარი მწვრთნელის მოხსნის საკითხი დგას დღის წესრიგში, რასაც ვერაფრით დავეთანხმები. ჩემი ინფორმაციით, სინიშას მიმართ ნდობა კვლავაც დიდია და იმედია, კრიზისიდან მასთან ერთად გამოვძვრებით. მიხაილოვიჩი ძალიან კარგი ტაქტიკოსია და ჩვენ გვჯერა მისი“.*

**ლაშა ნიკლაური**



რიკარდო მონტოლივო

მილანი



მასიმილიანო ალეგრი

# ტაქტიკური რევოლუცია მილანში

„რეალთან“ განცდილი მარცხი „მილანის“ ბანაკში მტკივნეულად მიიღეს. საქმე მხოლოდ შედეგში არაა, „როსონერიმ“ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მადრიდულ გრანდს და პირწმინდად დამარცხდა. **მასიმილიანო ალეგრის** კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს, რის შემდეგაც პრესასთან გასაუბრება გადაწყვიტა და მეტად საგულისხმო განცხადებები გააკეთა:

*„მადრიდულმა მატჩმა ბევრ საკითხზე დამაფიქრა და რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღე. შეტევის იმ მოდელმა, რომელიც არჩეული გვქონდა, არ გაამართლა და ცვლილებები აუცილებლად მოხდება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომდევნო პაექრობებში ერთად ვიხილოთ მოედანზე რონალდინიო, პატო, იბრაჰიმოვიჩი და ზეედორფი. „რეალთან“' ცენტრში შეგვექმნა პრობლემები და აშკარაა, რომ ამდენი შემტევით თამაში დიდი ფუფუნებაა. მოკლედ, ცვლილებები იქნება და დარწმუნებული ვარ, რომ გაამართლებს. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენთან ხელშეუხებელი ფეხბურთელები არ არსებობენ და თუ ვინმე სათანადო კონდიციაში არ იქნება, სათადარიგოთა სკამზე დაჯდება. არ იფიქროთ, ამ ერთი მარცხისგან ტრაგედიას ვქმნიდე, უბრალოდ ხარვეზების გამოსწორებაა საჭირო და ამის შესაბამისად ვმოქმედებ“.*

ალეგრიმ მართლაც საინტერესო განცხადება გააკეთა და როგორც ჩანს, ცვლილებებს მართლაც განახორციელებს. არ არის გამორიცხული, „მილანი“ 4-4-2 ტაქტიკაზე გადაეწყოს, ან უბრალოდ **კლარენს ზეედორფს** ჩაშლაზე ორიენტირებული ნახევარმცველი ჩაენაცვლოს. პრინციპში, ალეგრი ლოგიკურად მსჯელობს - როდესაც მოედანზე სამი თავდამსხმელი გყავს და ამასთან, სამი ნახევარმცველიდან ერთს ჩაშლის არაფერი გაეგება, „რეალის“ დონის გუნდთან სერიოზული პრობლემები შეგექმნება. ოღონდ, ეს ალეგრის შეხვედრის დაწყებამდეც უნდა სცოდნოდა და აქედანაც ჩანს, რომ დიდ შეხვედრებში დიდი გუნდის გაძღოლის გამოცდილება არ აქვს. ალბათ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ძირითად შემადგენლობაში **კევინ პრინც ბოატენგი** და ვთქვათ **მატიო ფლამინი** დაეყენებინა, რომლებიც გაცილებით უფრო მობილურ ცენტრს შექმნიდნენ, წინ კი თუნდაც ორი სუფთა ფორვარდი გაემწესებინა.

მოკლედ, ისე გამოდის, ურემი რომ გადატრიალდებოდაო, მაგრამ როდესაც „მილანის“ მთავარი მწვრთნელი ხარ, გადატრიალებამდე უნდა შეგეძლოს გზის დანახვა. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო - კიდევ ერთი კარგი გამოთქმის მოყვანა შეგვიძლია, მაგრამ საკითხავი ის არის, რამდენად მოეწონა სიახლეები **სილვიო ბერლუსკონის**. სწორედ ის გაიძახდა სეზონის დაწყებამდე, რომ „როსონერის“ ზეშემტევი ფეხბურთი უნდა ეთამაშა და ყველა ვირტუოზი მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ყოფილიყო. ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება ამ ამბავს.

**ლაშა ნიკლაური**

ძიუდო. ინტერვიუ სოსო ლიპარტელიანთან

# სოსო ლიპარტელიანი:
# დანდობა არ იქნება

## მირჩევნია, წესრიგის დამყარებას ერთი სეზონი შევწირო

სოსო ლიპარტელიანის თავკაცობით ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებმა პირველი ტურნირი ჩაატარა - როტერდამის „დიდ პრიზიდან" თითო ოქრო-ვერცხლით დაბრუნდა. ამირან პაპინაშვილი (60) ჩემპიონი გახდა, ვალერი ლიპარტელიანმა (90) კი ვერცხლი მოიპოვა. შედეგი ნამდვილად კარგია, მაგრამ უფრო სასიხარულო ისაა, რომ მწვრთნელმა პრინციპულობა გამოიჩინა და დისციპლინის დამყარების გზაზე პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა. სამწუხაროდ და საუბედუროდ, ისევ განმეორდა ზარები ერთ-ერთი სამინისტროდან მავანთა მფარველობის მოთხოვნით; ისევ იყო მცდელობა, სპორტსმენებს მწვრთნელისთვის თავს მოეხვიათ მზადების საკუთარი გეგმა და ჰოლანდიაში არ ეჭიდავათ, თუმცა ლიპარტელიანიც შეუვალი აღმოჩნდა. კარგი იქნება, მსგავსი ზარების წინააღმდეგ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილიც თუ აიმაღლებს ხმას - სტატუსი ნამდვილად აძლევს ამის საშუალებას. ლიპარტელიანმა არ ისურვა იმ სამინისტროს დაზუსტება, საიდანაც ფედერაციაში დარეკეს, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, ეს შსს-ა. უკვე წლებია ლაპარაკია იმაზე, რომ ერთ-ერთ იქაურ მოადგილეს ნაკრებში თავისი პროტეჟე ჰყავს და ხშირად მფარველობს მას. კარგი იქნება, ამ სამინისტროს ხელმძღვანელობაც თუ მიუთითებს თავის თანამშრომლებს, თავი დაანებონ ძიუდოს ნაკრების საქმეებში ჩარევას. სოსო ლიპარტელიანმა დისციპლინის დასამყარებლად წამოწყებული პირველი ომი კი მოიგო, მაგრამ მარტო ისიც ვერაფერს გახდება, ზემდგომნი თუ კანონის ფარგლებში გვერდში არ დაუდგნენ. ქართული ძიუდო სწორედ ასეთმა ზარებმა დაღუპა და ახლა, როცა ვითარების გამოსწორების საშუალება გაჩნდა, ამ საქმეში წვლილის შეტანა ყველას ვალია, ვისაც ეს ეხება. ლიპარტელიანმა დისციპლინაზე ზრუნვა მხოლოდ ამით არ გამოავლინა - ბევრს მკაცრად მოსთხოვა წესრიგის დაცვა და ბოლო შანსი მისცა. თუმცა აჯობებს, ამ ყველაფერზე თავად მას მოვუსმინოთ. მით უფრო, უშუალოდ როტერდამული გამოსვლის გარდა, მისგან ბევრ საინტერესოს შეიტყობთ.



**- როტერდამის ტურნირი თქვენთვის პირველი იყო ახალ თანამდებობაზე. როგორ შეაფასებთ გუნდის გამოსვლას?**

- სულ რაღაც ერთთვიანი ვარჯიშები გვქონდა ახალი ყაიდით, პირველი გასვლა იყო და შედეგით კმაყოფილი ვარ. თუმცა მეორე ოქროც შეიძლებოდა მოგვეპოვებინა, ლიპარტელიანისთვისაც რომ მიეცათ პანტეი - ის არაფრით ჩამორჩებოდა იაპონელ იუია იოშიდას, მაგრამ მსაჯებმა ასე გადაწყვიტეს და გამარჯვება აზიელს მიაკუთვნეს.

დანარჩენებიდან 73 კილოგრამში ნუგზარ ტატალაშვილზე მწყდება გული - ჰოლანდიელ დექს ელმონტს უგებდა, მაგრამ დამთავრებამდე რვა წამით ადრე დაკარგა იუკო, რითაც შეხვედრა დამატებითში გადავიდა და იქ წააგო. არადა, უტევდა, კარგადაც ჭიდაობდა და რომ მოეგო, მედლამდე ერთი ხელის გაწვდენალა რჩებოდა.

სხვებზე კი ამას გეტყვით: ყველა ვნახე საქმეში და ზოგიერთს ვაგრძნობინე კიდეც, რომ ამ ჭიდაობით მათ ადგილს ვერ ვხედავ ძიუდოში და თუ ასე გააგრძელეს, მაშინ საერთოდ დაანებონ თავი.

**- კონკრეტულად ვისზეა ლაპარაკი?**

- მაგალითად, არ მომეწონა იოსებ ნელაური 81-ში. ის საქართველოს ჩემპიონია და გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა, რადგან მსოფლიოზე არ წაიყვანეს. ამიტომ შევიყვანე ახლა გუნდში - მაინტერესებდა, საქმეში მენახა, მაგრამ დამაიმედებელი ვერაფერი მაჩვენა. ასევე ზაზა კედელაშვილსაც ვუთხარი, რომ 73-ში მის ადგილს ვერ ვხედავ და ამის შემდეგ ვერც დავაყენებ შეჯიბრებებში. 66-ში დაკლების სურვილი თვითონაც გამოთქვა, რასაც, ცხადია, სიამოვნებით დავეთანხმე, რადგან ამ წონაში საკადრო დეფიციტია. ამასთან, ისიც ვუთხარი, რომ შედეგის გარეშე, მხოლოდ წონის დაკლებისთვის ევროპის პირველობაზე არ წავიყვან. ის უნდა გამოვიდეს თბილისის ტურნირზე 66-ში, ამის შემდეგ პარიზში ან დიუსელდორფშიც იჭიდავებს და შედეგი უნდა მაჩვენოს. ისე ევროპაზე ვერ მოხვდება. ცხადია, გამოვა საქართველოს ჩემპიონატშიც, მაგრამ აქ შეიძლება გამონაკლისი დავუშვა და 73-ში ვაჭიდაო - 12 კილოგრამი აქვს დასაკლები, პირველობა კი ნოემბრის ბოლოს ტარდება და ასეთ მოკლე დროში ამდენს ვერ დაიკლებს, თუმცა მაჩვენოს, რომ იწყებს წონის დაკლებას და მომავალ ტურნირებში გამოვიდეს 66-ში. მაგრამ თუ საქართველოს ჩემპიონატში არ იჭიდავებს, მაშინ სამომავლოდ ნაკრებში დაყენება გამორიცხულია, გინდ დაიკლოს და გინდა არა. დაკლების სურვილი თვითონაც აქვს. ვნახოთ, როგორ განახორციელებს ამას.

სამწუხაროდ, ჩემს დროსაც ასე იყო - ვთქვათ, ვინმე ერთ დღეს თუ დაიკლებდა 10 კილოგრამს, მეორე დღეს ისევ იმატებდა ამდენს, რაც დაუშვებელია. ეს ანგრევს და არღვევს ორგანიზმს. დავით ასუმბანის მაგალითს მოვიყვან, რომელიც დისციპლინირებული და რეჟიმისტია, მაგრამ რასაც ვუყურებ, ალბათ, ბევრს იკლებს და ამიტომ ვერ აღწევს შედეგს.

თუმცა რეზიუმეს სახით მინდა ვთქვა, რომ ეს ერთი ტურნირი ყველაფერს არ ნიშნავს და შანსი ყველას ექნება იმავე საქართველოს ჩემპიონატზე, თბილისისა თუ სხვა ტურნირებზე. თუმცა, ვიმეორებ - ვინც საქართველოს ჩემპიონატში არ იჭიდავებს, ვერც ნაკრებში მოხვდება. მნიშვნელობა არ აქვს, ის მსოფლიოს ჩემპიონია, ოლიმპიური თუ ევროპისა. მირჩევნია, ერთი წელიწადი შედეგი არ მქონდეს, სამაგიეროდ, სამომავლოდ ჩავუყარო საფუძველი კარგი გუნდის შენებას.

**- ამირან პაპინაშვილმა სასიამოვნოდ გაგვაოცა არა მხოლოდ ოქროს მედლით, კარგი ჭიდაობითაც. მასზე რას იტყვით?**

- უპირველესად იმას, რომ დამჯერი და ჭკვიანი სპორტსმენია. ტატამზეც აზროვნებს და რჩევა-დარიგებებსაც კარგად ითვისებს. ახლაც ზუსტად შეასრულა ჩვენი მითითებები. მაგალითად, ფინალში დავავალეთ, რომ ტატამის ცენტრში არ ეჭიდავა და მეტოქე კიდესთან გაეყვანა, რადგან ავსტრიელი ლუდვიგ პაიშერი ერთ-ერთი უძლიერესია ჩოქბჯენში ჭიდაობისას. მისასალმებელია, რომ დავალებები პირნათლად შეასრულა.

**- ვალერი ლიპარტელიანის გამოსვლას როგორ შეაფასებთ?**

- სწორი ჩავლებები მანაც უნდა ისწავლოს - იაპონელებთან ძირითადად ამიტომ აგებს. თანაც, უფრო აქტიურად უნდა გამოიყენოს ქართული ჭიდაობის ილეთები. მაგალითად, გადავლება. ამას კი აკეთებდა, მაგრამ მერე ილეთის გადაბმას ვერ ახერხებდა. ეს კომპონენტი დასახვეწი აქვს, როგორც ფიზიკური მომზადება და ტაქტიკა, თუმცა ფიზიკაში ახლა ნაკლებად მეთქმის საყვედური - იოშიდასთან მთელი რვა წუთი იჭიდავა და არ დაღლილა, გაუძლო.

**- როტერდამში თქვენი შეგირდების გამოსვლას ნაკრების კონსულტანტად შეგულებული ავსტრიელი პეტერ ზაიზენბახერიც ესწრებოდა. საინტერესოა მისი მოსაზრებები ბიჭებთან დაკავშირებით, როგორ შეაფასა მან ჩვენი ნაკრები?**

- ზაიზენბახერმაც იგივე თქვა, რასაც ევროპელები ამბობენ - ქართველები პირველი ოთხი წუთი კარგად ჭიდაობენ, მაგრამ ბოლო წუთზე იღლებიანო. მანაც ყურადღება ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე გაამახვილა, რაც მთავარი პრობლემაა. შენიშნა არასწორი ჩავლებები, რაც ბიჭებს დიდ ძალას ართმევს. ამაზე მეც ვეუბნები ვარჯიშებზე - კარგია, იპონით მოგებას რომ ცდილობ, მაგრამ ეს თვითმიზანი არ უნდა იყოს. ევროპელები და სხვები ასე არ ჭიდაობენ, რადგან მთავარი შედეგია. ჩვენც უნდა მივეჩვიოთ ამას, თუმცა ზაიზენბახერს მოეწონა ბიჭების ასეთი სწრაფვა წმინდა მოგებისკენ. მაგრამ ეს დიდ ენერგიას მოითხოვს და ამ არასწორი ჩავლებების გამო შეხვედრის ბოლოს ყველას მკლავები დაბერილი და დაბუჟებული აქვს.

**- ჯერ მისი კონკრეტული სამუშაო სფერო გარკვეული არაა, ზოგადად კი ამბობენ, რომ ის ფიზმომზადებას მიხედავს. თქვენ შორის ფუნქციათა გამიჯვნის თაობაზე თუ ესაუბრეთ?**

- მეც ისე ვიცი, რომ ზაიზენბახერი ძირითადად ფიზიკურ მომზადებას მიხედავს. ამასთან, სამედიცინო მხარესაც. მას სურს, აქ მაღალკვალიფიციური ექიმების ჯგუფიც ჩამოიყვანოს, სავარაუდოდ, გერმანელები თავისი აპარატურით, რომლებიც დააკვირდებიან სპორტსმენებს და შეუდგენენ მათ სავარჯიშო გრაფიკს. ეს ძალიან კარგი და საჭირო საქმეა, ოღონდ სისტემატური ვერ იქნება და მხოლოდ ოფიციალური შეჯიბრებების - ევროპისა და მსოფლიოს პირველობების, ოლიმპიადის წინ გაკეთდება.

**- რამდენადაც ვიცი, ზაიზენბახერთან მოლაპარაკებებში ერთ-ერთი სერიოზული საკითხი ფინანსური მხარე იყო - რამდენს ითხოვდა ხელფასს? ამ ექიმების ჩამოყვანა ნამდვილად კარგია, მაგრამ დამატებითი ფინანსური ხარჯია და არის კი ამის საშუალება?**

- ფინანსებზე ზუსტად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ზაიზენბახერის საკითხზე ოლიმპიური კომიტეტი მუშაობს და ფინანსური მხარის მოგვარებასაც ის იღებდა საკუთარ თავზე.

**- ბოლოს, მსოფლიოს გუნდურ პირველობაზეც ვთქვათ, რომელიც ერთ კვირაში ტარდება ანთალიაში. იქ რა შემადგენლობით იასპარეზებთ?**

- მოგეხსენებათ, ეს ტურნირი მხოლოდ ხუთ წონით კატეგორიაში ტარდება. ჩვენდა საუბედუროდ, 60 კილოგრამია ამოღებული და 66-დან იწყება, ამ წონაში კი საკადრო პრობლემები გვაქვს. ამიტომ ანთალიაში ისევ 60-ის კაცი მიმყავს - პაპინაშვილი, რადგან 66-ში ვერც შალვა ქარდავამ და ვერც სხვამ სასიკეთო ვერაფერი დამანახა. 73-ში ტატალაშვილი იჭიდავებს, 81-ში კი ორი კაცი მიგვყავს - ლევან ნიკლაური და ხვიჩა ხუციშვილი, რომელსაც ვარჯიშებზე ვაკვირდები და მომეწონა. 90-ში ვალერი ლიპარტელიანი იჭიდავებს, +90-ში - ლაშა გუჯეჯიანი. თურქეთში 28 ოქტომბრის ღამეს გავემგზავრებით, მწვრთნელებიდან კი ჩემთან ერთად ირაკლი უზნაძეც მოდის, რომელიც წლების განმავლობაში ჭიდაობდა იქ, იცნობს იქაურობას და თარჯიმნის პრობლემაც მოგვეხსნება.

**ირაკლი თავაძე**

მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

# იაპონიამ უმედლოდ დაგვტოვა

მაროკოულ აგადირში დაწყებული ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი დღე ჩვენთვის უცნაურად დასრულდა - ახალგაზრდებში ევროპის 2008 წლის ბრინჯაოს პრიზიორმა **გიორგი ბროლაშვილმა** (60) ტურნირი ძალიან კარგად დაიწყო და ნახევარფინალში უპრობლემოდ გავიდა, იქ კი იაპონურ ბარიერს შეეჯახა და უმედლოდ დარჩა. ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, იაპონელ **ტორუ შიშიმესთან** მარცხის შემდეგ ჩვენებური ბრინჯაოსთვის ბრძოლაშიც „ამომავალი მზის ქვეყნის" წარმომადგენელ **კიოსუკე ნიშიოსთან** დამარცხდა და მეხუთე ადგილს დასჯერდა. სამწუხაროა... მით უფრო, რომ ჩვენებურმა წინასწარი შეხვედრები ძალზე ძლიერად ჩაატარა - ოთხი შეხვედრიდან სამი წმინდად მოიგო. სულ თავიდან პაკისტანელ **მუჰამად რაზისთან** უსწრაფესი იპონი მიითვალა - 13 წამში (!) დააგდო სუფთად. ამერიკელი **გეორგ ტორუნგი** 1,11-ში ორი ვაზარით გააგდო, ირანელ **გასემ ნოურიზადეჰის** ჯერ ვაზარი აართვა, მერე კი იპონზეც დასცა. იმ ოთხეულიდან ერთადერთი მეტოქე, ვისაც ჩვენებურმა წმინდად ვერ მოუგო, სერბი **პრედრაგ ნიოლაევიჩია** - სამი იუკო აართვა, ზოგი გდებებით, ზოგიც - გაფრთხილებებით. ტურნირის ეს მონაკვეთი ბროლაშვილმა იმდენად ძლიერად, იმდენად კარგად ჩაატარა, ნამდვილად არ გვეგონა, უმედლოდ თუ დარჩებოდა, მაგრამ იაპონელები სხვაგვარად ფიქრობდნენ. შიშიმეს ლამის მთელი შეხვედრა ტოლი არაფერში დაუდო და მხოლოდ შეხვედრის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე დაეცა ვაზარზე. ისეთი სტარტის შემდეგ მისი უმედლოდ დარჩენა ნამდვილად საწყენია.

ამავე წონაში ტურნირში საერთოდ არ გამოსულა **შმაგი ლაგაზაური**. ის აგადირში კი გაემგზავრა, მაგრამ როგორც საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში გვითხრეს, იქ ტრავმა მიუღია და ჩემპიონატსაც ამ მიზეზით გამოაკლდა.

ძალზე სუსტად გამოვიდნენ 55-ში მოასპარეზე ჩვენებურებიც, რომლებმაც მხოლოდ თითო შეხვედრა მოიგეს. **ლუხუმ ჩხვიმიანმა** ლუქსემბურგელი **ტომ შმიტი** წუთ-ნახევარში დააიპონა, მაგრამ მერე აზერბაიჯანელ **ალი რზაევთან** წააგო. აქ ანგარიში თანაბარი იყო - ორივეს თითო იუკო ჰქონდა, მაგრამ მალე აზერბაიჯანელმა ვაზარი მოიპოვა და ანგარიში ბოლომდეც შეინარჩუნა.

ჩემპიონატი ბრწყინვალე გამარჯვებით დაიწყო ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა **ოთარ კაიდარაშვილმა** - მონღოლი **კუნტაიჯ ენკჰბაატარი** ნახევარ წუთში დააიპონა! ასეთი დასაწყისის შემყურე, მისი წარმატებით გამოსვლის იმედი გაგვიჩნდა, მაგრამ ამაოდ - მეორე შეხვედრა ბრაზილიელ **სერხიო ნასკიმენტოსთან** ვაზარით დათმო.

დღეს ტურნირში კიდევ ორი წონითი კატეგორიის ფალავნები ჩაებმებიან - 66 და 73-ის. ორივეგან ორ-ორი მონაწილე გვეყოლება. 66-ში ლაშა ლომიძე პირველ წრეში ლიბანელ **ვისამ ჰაიეკს** ხვდება, ამათში მოგებულს კი მეტოქედ კვიპროსელი **სოტირის ჩარალამბოუსი** ელოდება. **ლაშა შავდათუაშვილი** პირველ შეხვედრას ტუნისელ **ჰოუცემ ხალფაულსთან** გამართავს. ცნობილია ამ წყვილში გამარჯვებულის მომდევნო მეტოქეც - ბრიტანელი **ლუის კეებლე**. 73-შიც ორივე ჩვენებური პირველივე წრიდან ჩაებმება. **ზებედა რეხვიაშვილი** კვიპროსელ **კლეოვოულოს ლუკაიდესს** ეჭიდავება, **ლაშა ზურაბიანი** - გერმანელ **ალექსანდერ ვიცზერზაკს**. ხვალვე იჭიდავებს გოგონათა ტურნირში ჩვენი ერთადერთი მონაწილე **შორენა შარაძეც** (63), რომელიც ავსტრიელ **სტევი კელს** ხვდება.

**ქვარცხლბექი. ვაჟები.**

**55 კგ.** 1. იელდოს სმეტოვი (ყაზახეთი), 2. საიკენ ფუჯისავა (იაპონია), 3. ფაბიო ბასილე (იტალია), ზაურ კალაშაოვი (რუსეთი).

**60 კგ.** 1. ტორუ შიშიმე (იაპონია), 2. ილიას ისმაგილოვი (ყაზახეთი), 3. კიოსუკე ნიშიო (იაპონია), იაკუბ შამილოვი (რუსეთი). 5. **გიორგი ბროლაშვილი (საქართველო).**

გოგოები.

**44 კგ.** 1. საკიჰო ჰამადა (იაპონია), 2. აგუედა სილვა (ბრაზილია), 3. ანგელინა ბომბარა (იტალია), ებრუ საჰინი (თურქეთი).

**48 კგ.** 1. მირი ტოდა, 2. მომო ტამაოკი (ორივე - იაპონია), 3, ნატალია ბრიგიდა (ბრაზილია), სკარლეტ გაბრიელი (საფრანგეთი).

**ირაკლი თავაძე**

ფიგურული ციგურაობა

# ელენე იწყებს

დღეს ტოკიოში იწყება გრან პრის სერიის პირველი ტურნირი NHK ტროფი. 12 ქალ მონაწილეს შორის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი **ელენე გედევანიშვილიცაა**. სეზონის პირველ ტურნირს ტოკიოს „ნიჰონ გაიში არენა" მასპინძლობს, ტროფის საპრიზო ფონდი კი 180 ათასი ამერიკული დოლარია. გამარჯვებული 18 ათას დოლარს და 15 სარეიტინგო ქულას მიიღებს. ჰონორარი შეხვდება მე-5 ადგილის ჩათვლით ყველა მოციგურავეს, ხოლო ქულები - პირველ რვას. როდესაც გრან-პრის ყველა ეტაპი დასრულდება, სერიის ექვსი საუკეთესო მოციგურავე გრან-პრის ფინალის საგზურს მიიღებს, რომელიც 9-12 დეკემბერს პეკინში გაიმართება (საპრიზო ფონდი 272 ათასი დოლარი). აქვე დავძენთ, რომ თითოეულ მონაწილეს სერიის 2 ტურნირში შეუძლია მონაწილეობა. ქართველს ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა გრან-პრის სერიის ტურნირებში, თუმცა ჯერ ფინალის საგზური არ შეხვედრია.



ელენე გედევანიშვილი

ტოკიოში უპირობო ფავორიტად მსოფლიოს ჩემპიონ **მაო ასადას** მიიჩნევენ, რომლის მთავარი კონკურენტები იქნებიან იტალიელი **კაროლინა კოსტნერი** და იაპონელი **კანაკო მურაკამი**, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული. სხვა ფავორიტთა შორის არიან ამერიკელი **კაროლინ ჟანგი**, ფინელი **კიირა კორპი** და ჩვენი თანამემამულე. აქვე ქალთა შეჯიბრების სხვა მონაწილეებსაც ჩამოვთვლით: **დიან სმიეტი** (კანადა), **ლენა მაროკო** (საფრანგეთი), **ჯენა მაკორკელი** (დიდი ბრიტანეთი), **ვიქტორია ჰელგესონი** (შვედეთი), **რეიჩელ ფლეტი** (აშშ) და **ეშლი ვაგნერი** (აშშ).

ახლა 20 წლის ქართველი მოციგურავის პროგრამაზეც ვთქვათ: ის ახალია, ელენემ და მისმა მწვრთნელმა და ქორეოგრაფმა **რობინ ვაგნერმა** 2010-11 წლების სეზონის მოკლე პროგრამისთვის კინოფილმ „ჩიკაგოს" საუნდტრეკი შეარჩიეს („გისოსების ტანგო"). თავისუფალ პროგრამას ელენე **ენდრიუ ლოიდ ვებერის** მუსიკის ჰანგებზე შეასრულებს მიუზიკლ „ოპერის მოჩვენებიდან". შეგახსენებთ, რომ ჩვენებურის საუკეთესო შედეგი ორი პროგრამის ჯამში 164,54 ქულაა, ეს შედეგი მან იანვარში ევროპის ჩემპიონატზე აჩვენა და საქართველოს ისტორიული მედალი მოუპოვა.

ელენე გედევანიშვილი მოციგურავეთა მსოფლიო რეიტინგში მე-12 პოზიციაზეა 1906 ქულით. იმათგან, ვინც NHK ტროფიზე გამოდის, ყველაზე მაღალი რეიტინგი მაო ასადას აქვს - 3275 (მესამე ადგილი). ათეულში კიდევ სამი მათგანია: კაროლინა კოსტნერი (მე-7), კიირა კორპი (მე-9) და რეიჩელ ფლეტი (მე-10).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● კალათბურთი. დუდუ დადიანის მემორიალი



შსს-თსუ

# 22-დან 3 საჯარიმო

**21 ოქტომბერი, თბილისი**

**შსს-ს აკადემიის დარბაზი**

**დინამო-ენერჯი 58:83**

15:21, 16:16, 16:24, 11:22

დინამო: ივანეიშვილი (11ქ, 3პ, 7მ), გლუნჩაძე (2ქ), პატარაია (4ქ, 4პ, 5ფ), თვაური (10ქ, 15მ), ეძგვერაძე (13ქ), ალხანაიძე (10ქ, 12მ), ნიკლაური (4ქ), ჩაველაშვილი (4ქ)

ენერჯი: ბერუაშვილი (3ქ), მებურიშვილი (4ქ), ცეკვავა (12ქ, 9მ, 4პ, 3ჩ), ნივნივაძე (15ქ, 3პ, 3ჩ), აბაიშვილი (3ქ, 4პ), გუგავა (2ქ), არნივიძე (2ქ, 4ჩ), ხმელიძე (9ქ, 9მ, 5ფ), ტუჯანი (14ქ, 10მ, 5პ, 3ჩ, 4დ), ლამუ (19ქ, 5ჩ, 4დ)

მსაჯები: მ. ანდღულაძე, დ. სადღობელაშვილი

**სამედიცინო-ქუთაისი 66:87**

18:20, 14:22, 15:22, 19:23

სამედიცინო: გულისაბედაშვილი (13ქ, 3პ), ჩაჩიბაია (6ქ), ს. ლეჟავა (10ქ, 5მ, 5პ, 3ჩ), თავართქილაძე (4პ, 4ჩ), ბექაური (8ქ, 6მ, 3დ), ნინიაშვილი (8ქ, 6მ), კეიდია (2ქ, 6მ), ჭოჭუა (19ქ, 5მ).

ქუთაისი: ვ. ცაგარეიშვილი (6ქ, 3პ), დიდია (7ქ), ბ. ბერიშვილი (30ქ), კვიმსაძე (3პ), ტუკვაძე (2ქ), ბოლქვაძე (5ქ, 5მ), ლომინაშვილი (9ქ, 8მ), გ. ბარბაქაძე (6ქ, 5მ), კოლუაშვილი (9ქ, 10მ, 2დ), ქორიძე (13ქ, 3ჩ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე.

**თსუ-შსს 60:69**

15:7, 10:23, 16:19, 19:20

თსუ: ხიზანიშვილი (2ქ), ფანჩულიძე (5ქ, 5ფ), გაფრინდაშვილი (4ქ, 9პ, 7მ, 5ფ), მარხვაშვილი, კოხრეიძე (4ქ, 11მ, 6პ, 5ჩ), ლონდარიძე (25ქ, 14მ), კორკოტაძე (9ქ), ლოსაბერიძე (2ქ), ყველაშვილი, მათიაშვილი (2ქ, 5მ), დეკანოიძე, შარაბიძე (7ქ).

შსს: დ. ბერიშვილი, ლაფანაშვილი (14ქ, 8მ, 3ჩ), ლეჟავა (13ქ), ნიკოლაძე (4ქ), ი. ბერიშვილი (5ქ, 5პ), კოტონი (17ქ), მარკოიშვილი (6ქ, 3პ), იმნაძე (9ქ, 11მ), შერმადინი, ტომარაძე, სუხიშვილი (1ქ, 5მ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი



სამედიცინო-ქუთაისი

| A ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. სოხუმი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 3. დინამო | 2 | 0 | 2 | 2 |
| 4. აგრარული | 1 | 0 | 1 | 1 |

| B ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. შსს | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. ქუთაისი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 3. თსუ | 2 | 1 | 1 | 3 |
| 4. სამედიცინო | 3 | 0 | 3 | 3 |
| 5. სტუ | 2 | 0 | 2 | 2 |

**დღეს**

13:00 შსს-ქუთაისი
15:00 თსუ-სტუ
17:00 სოხუმი-აგრარული

დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ - თავდაცვის სამინისტროს გუნდის უარი დუდუ დადიანის მემორიალისთვის დიდი დანაკლისი იყო. დავანებოთ თავი იმას, რომ „არმიის" ძალის კლუბი ნებისმიერ ტურნირს დაამშვენებდა, ამ გუნდის უარმა მემორიალის ორ ჯგუფში გუნდების არათანაბრად გადანაწილება გამოიწვია. ერთ ჯგუფში თამაშობენ თსუ, „ქუთაისი", შსს და „სამედიცინო", მაშინ, როცა ამავე დონის (შეიძლება უფრო სუსტიც) კოლექტივი მეორე ჯგუფში მხოლოდ ორია - „ენერჯი" და „სოხუმი". შესაბამისად A ქვეჯგუფში თითქმის ყველა თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობს, ხოლო B-ში „ენერჯისა" და „სოხუმის" ურთიერთშეხვედრის ლოდინი გვიწევს. სწორედ ეს თამაში (შაბათს გაიმართება) გაარკვევს მეორე ფინალისტის ვინაობას. პირველი ფინალისტი სავარაუდოდ დღეს გამოვლინდება - თუ შსს სამ მოგებას „ქუთაისთან" გამარჯვებასაც მიაყოლებს, კვირას ფინალშიც ითამაშებს. ხოლო, შსს-სთან ქუთათურების მოგების შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას შეიძენს შაბათის მატჩი - „ქუთაისი"-თსუ. თუმცა, ასეთ სიტუაციაშიც გარკვეული უპირატესობა შსს-ს მხარეს იქნება, რადგან ჯგუფში პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტი თსუ დამარცხებული ჰყავს, გუშინ მოუგო...

**შსს-თსუ**

ძალოვნებს ყველაზე მეტად სწორედ თსუ-სთან გაუჭირდათ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან **ნუგზარ ჭეიშვილი** თსუ-ს ძალიან სწრაფ კალათბურთს ათამაშებს, სტუდენტები შეტევაში ლაღად ირჯებიან, დაცვაში - აგრესიულად. სწორედ ამ თვისებების წყალობით თსუ-მ მატჩი 11:0 გაქცევით დაიწყო. შეიძლება, ერთი შეხედვით მოულოდნელი იყო სტუმართა სასტარტო ხუთეულში ახალგაზრდა ახალწვეულის **ილია ლონდარიძის** ხილვა, მაგრამ შეხვედრის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ ეს გამართლებული ნაბიჯი იყო: ილიამ საწყისი გაქცევისასაც დიდი როლი ითამაშა (ბურთს ხსნიდა და კალათშიც სწრაფად აბრუნებდა). მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ში ლონდარიძეზე გამოცდილი არაერთი წინახაზელია (**მათიაშვილი, შარაბიძე, ყველაშვილი**), ილიამ ყველაზე მეტი ითამაშა - 32 წუთში 25 ქულა და 14 მოხსნა მოაგროვა.

*- თსუ-მ თავიდან დიდი სხვაობით გაგვასწრო. ამის მიზეზი ის იყო, რომ თამაშის დალაგება ცოტა გაგვიჭირდა, თუმცა მეორე მეოთხედში დაცვაში თამაშიც მოვაწესრიგეთ, შეტევაშიც და 11-ქულიანი სხვაობა იოლად აღმოვფხვრით,* - იხსენებს შსს-ს ახალწვეული **ტროი კოტონი**, რომელმაც თამაშის შსს-სკენ შეტრიალებაში დიდი წვლილი შეიტანა: მეორე ათწუთეულის შუაში სამი სამქულიანი ჩააგდო, მას შორეული ტყორცნით **ირაკლი ბერიშვილი** წაეშველა და დიდ შესვენებაზე ძალოვნები 5-ქულიანი ფორით გავიდნენ - 30:25.

მესამე მეოთხედის დასაწყისში მასპინძლებმა 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს... მთელი მეორე ტაიმი თსუ-ელებმა 10-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილებას შეალიეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც 9 ქულით დამარცხდნენ - 60:69. ამის მიზეზი შსს-ს კალათბურთელთა დამაჯერებელი თამაში იყო: მეოთხე პერიოდის დასაწყისში ირაკლი ბერიშვილმა ზედიზედ რამდენიმე იერიშს ერთი და იგივე დაბოლოება მოუძებნა - ფეხბურთის ენაზე რომ ვთქვათ, **ბესიკ ლეჟავა** „დასარტყმელ პოზიციაზე" გაიყვანა. ბესოს ერთხელაც არ აუცილებია. თსუ-ელები არ ნებდებოდნენ, ექსშსს-ელი **კორკოტაძის** და შარაბიძის სამქულიანებს ლონდარიძე ორიანებს უმატებდა... თუმცა, რამდენჯერაც სხვაობა 10 ქულას ჩამოსცდა, **ლექსო ლაფანაშვილმა** ურთულესი პოზიციიდან სამქულიანი (ორი) ჩააგდო და... შსს-მ ცალი ფეხი ფინალში შედგა.

*- თსუ გამოცდილი გუნდია, ღირსეული წინააღმდეგობაც გაგვიწია, თუმცა გუნდური თამაშის წყალობით გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ძალიან დაგვეხმარა ტროი კოტონი, რომელიც ახლახან შემოგვიერთდა და ადაპტაციისთვის დრო სჭირდება,* - თქვა ნამატჩევს ლექსო ლაფანაშვილმა.

მატჩის ოქმმა რამდენიმე საინტერესო ციფრი დააფიქსირა: თსუ-მ შსს-ს მოხსნებში 51:41 აჯობა, ორქულიანებში 21:16... სამაგიეროდ, ძალოვნებმა ოთხით მეტი სამქულიანი გამოიყენეს - 9:5. შსს-ს საჯარიმო ტყორცნების დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა - 21-დან 10. თსუ-ს ეს მაჩვენებელი თითქმის არც ჰქონია - 22-დან მხოლოდ 3 საჯარიმო ჩააგდო...

**სამედიცინო-ქუთაისი**

„ქუთაისს" კომპლიმენტი წინა ნომერშიც ვუძღვენით - ახალგაზრდებისა და გამოცდილების კარგი ნაზავია-თქო. გუშინ კიდევ ერთი რამ გამოჩნდა: ქუთათურები სათანადო კონდიციებში არიან, მეორე დღეა მათ დაღლა არ დატყობიათ. გუნდის ყველაზე გამოცდილი **ბუბა ბერიშვილი** „სამედიცინოსთან" შეუჩერებელი იყო - 30 ქულა ჩააგდო და თანაგუნდელთა გამარჯვებაც განაპირობა.

**დინამო-ენერჯი**

ეს ის მატჩი იყო, რომლის შედეგის წინასწარ გამოცნობა შეიძლებოდა. შარშანდელი სეზონის შემდეგ საგრძნობლად შესუსტებული „ენერჯი" „დინამოსთვის" მაინც გადაულახავი ბარიერია. მატჩის ბომბარდირი რუსთაველთა ახალბედა კამერუნელი **სამუელ ლამუ** გახდა - 19 ქულა ჩააგდო. საინტერესოა, რომ ლამუმ და მისმა თანამემამულე **ჟულივეტ ტუჯანმა** ერთობლივად 8 დაფარება მოაგროვეს (ოთხოთხი). როგორც უკვე მოგახსენეთ, „ენერჯის" გაადმწყვეტი მატჩი შაბათს „სოხუმთან" ელის.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

● წყალბურთი

## მასპინძლებთან დაპირისპირებით იწყებენ

ევროპის სხვადასხვა აუზებში დღეს დაიწყება ლენ ტროფის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი. რვა ჯგუფში წყალბურთელ ვაჟთა 32 კლუბია განაწილებული. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის მერიის გაერთიანებული გუნდი „ლიგამუსი-თბილისი" E ჯგუფში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა წყალბურთელებმა თბილისის „ოლიმპიკის" აუზში ხუთიდან ორი შეხვედრა მოიგეს და ლენ ტროფის მე-2 რაუნდში გაალწიეს. მასთან ერთად მომდევნო ეტაპზე გასასვლელად კოტორის „კატარო", სტამბოლის „იუზმე" და ათენის „პანიონიოსი" იბრძოლებენ. ჯგუფის მასპინძელია ჩერნოგორიის ქალაქი კოტორო. „ლიგამუსი-თბილისი" დღეს პირველ ტურში „კატაროს" დაუპირისპირდება, „პანიონიოსი" კი „იუზმეს" შეხვდება. ჯგუფიდან შემდგომ ეტაპზე ორი გუნდი გავა.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

## ფავორიტები ნახევარფინალში გავიდნენ

საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში სპეციალისტები ფავორიტებად თავიდანვე ქვეყნის ნაკრების წევრებს — **სოფიო შაფათავას** და **თათია მიქაძეს** მიიჩნევდნენ, რომლებიც ტურნირზე პირველ-მეორე ნომრებად არიან განთესილი. ისინი ავანსებს ამართლებენ. გუშინ ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე მანდილოსნებმა ორ-ორი შეხვედრა გამართეს. მეორე წრეში სოფიო შაფათავამ იოლად სძლია **ლანა როსტიაშვილს** — 6:1, 6:2, აი, მე-6 ნომ-



რად განთესილ **ბარბარე ერისთავის** დასამარცხებლად კი სამი სეტი დასჭირდა. არადა, მას შემდეგ, რაც პირველი ხელი შაფათავამ 6:0 მოიგო, მეორეში მის წაგებას არავინ ელოდა. ეტყობა, სოფიომ ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება და დაისაჯა კიდეც — 4:6. მესამე სეტის სათამაშოდ უფრო მობილიზებული გამოვიდა კორტზე, მეტოქეს 6:2 სძლია და ნახევარფინალში დღეს მესამე ნომერ **ეკა გორგოძეს** დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა ჯერ **თეონა ტატიშვილი** (6:0, 6:0), შემდეგ კი **თამარ კომახიძე** (6:1, 6:2) ჩამოიშორა გზიდან. დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: მე-2 წრე. **თამარ მიქაძე-თამარ ჭალაგანიძე** 6:1, 6:0, **ანი გოგვაძე-ეკატერინე ლასარეიშვლი** 6:1, 6:3, **ანა ჯიქია-მარიამ დგებუაძე** 6:1, 6:3, **დიანა დავითაია-თეონა ფიფია** 6:0, 6:2. მეოთხედფინალი. **დავითაია-ჯიქია** 7:6, 7:6, **მიქაძე-გოგვაძე** 6:1, 6:2.

ამდენად, დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ შაფათავა-გორგოძე, დავითაია-მიქაძე. ამასთანავე, ვაჟები მეორე წრისა და მეოთხედფინალურ შეხვედრებს გამართავენ.

**ვაჟა დანელია**

● [illegible]



## ბოქლომი...

ერთი უცნაური ამბავი გახდა გაოცების ინიცირების მიზეზი ამ დღეებში მაღალ დონეზე საქართველოში ბავშვთა სპორტის ახალი ეროვნული სტრატეგიის განხილვისას. თურმე საჯარო სკოლებს ეკრძალებათ გაკვეთილებისგან თავისუფალ დროს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეუთანხმებლად ვინმე შეუშვან სპორტულ დარბაზში. წლები გადის, სასკოლო სპორტული ობიექტები ვერ (ან არ) იძლევა მოსალოდნელ შემოსავალს, იმავე სკოლის უბნის მოსწავლეები კი მოკლებულნი არიან თავისუფალ დროს სპორტის სიკეთეს საკუთარი სკოლის ჭერქვეშ.

ადრე ასე იყო, სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი თავად უძღვებოდა ე.წ კლასგარეშე მუშაობას (ცოტა გასამრჯელოსაც იღებდა, ხელფასზე დანამატს). გრძელდებოდა ჟრიამული ყოველდღე გვიანობამდე. ახლა კი, ნურას უკაცრავად, მორჩა გაკვეთილები, წადი სადაც გინდა, სკოლის კარი მეორე დილამდე გამოკეტილია. სხვათა შორის, ვერავინ აგვიხსნა, განა იმდენი რა შემოსავალი უნდა მიიღოს სკოლამ სპორტდარბაზის გაქირავებით, რომ ბავშვთა კეთილდღეობა გადაწონოს? პრობლემა ნამდვილად სერიოზულია. გაეროს მონაცემებით, მასობრივ სპორტში, გაჯანსაღებაში ჩადებული ყოველი 1 ევრო 12 ევროს ზოგავს მკურნალობაში. აი, როგორია უკუგება. ნამდვილად არ გვაქვს უფლება, ყურად არ ვილოთ ეს სტატისტიკა. საერთოდ, მხოლოდ სასკოლო სპორტული ბაზები როდი „დუმან". ნახეთ, სადაც თვალი მიგიწვდებათ, რამდენი საუწყებო თუ მუნიციპალური სპორტული ობიექტია სიცოცხლეწართმეული. რატომ? იქნებ დადგა დრო, შორს მოვისროლოთ ბოქლომები, გონივრულად მივუდგეთ საკითხს და ასევე გონივრულად გავაფართოვოთ ცხოვრების ჯანსაღი წესის უფრო ფართო მასშტაბით დანერგვის შესაძლებლობები, რა თქმა უნდა, ბავშვობიდანვე...

**თენგიზ თომაშვილი**

## ქართული სპორტი

### ჭადრაკი



მაია ჩიბურდანიძე (მარჯვნივ) და ვიქტორია ჩმილიტე

# ამას არავინ ელოდა

„პეტერბურგი“ (რუსეთი) რომ უძლიერესი მოჭადრაკეებითაა დაკომპლექტებული, ამის შესახებ ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც გაუწყეთ. ამიტომაც მას თავიდანვე ევროპის მოჭადრაკე ქალთა საკლუბო ჩემპიონატის მედლის კანდიდატად მიიჩნევდნენ. რუსეთის გუნდის უცხოელმა დიდოსტატებმა: ევროპის ჩემპიონმა **ეკატერინა ატალიკმა** (თურქეთი) და კონტინენტის პირველობების პრიზიორებმა — **ვიქტორია ჩმილიტემ** (ლიტვა), **ქეთევან არახამია-გრანტმა** (შოტლანდია) და **მონიკა სოჩკომ** (პოლონეთი) გუშინ ეს „სამაიასთან“ პაექრობაშიც დაამტკიცეს. თუმცა, რა პაექრობა — ჩვენებმა უშანსოდ წააგეს ეს შეხვედრა. **ლელა ჯავახიშვილი** სოჩკოს დაუზავდა, ხოლო **მაია ჩიბურდანიძე, სალომე მელია** და **ბელა ხოტენაშვილი**, შესაბამისად, ჩმილიტეს, არახამიას და ატალიკს დანებდნენ. 0,5:3,5 — ასეთ ანგარიშს, ნამდვილად, არავინ ელოდა. მარცხის მიუხედავად, „სამაია“ ჩემპიონობის შანსს ინარჩუნებს.

ჩვენი ნაგებით დიდად ვერ იხეირა კრასნოტურინსკის (რუსეთი) AVS-მა, რომელიც გუშინ ერევნის „მიკას“ ეთამაშებოდა. მართალია, **ანტოანეტა სტეფანოვამ ელინა დანიელიანი** დაამარცხა, მაგრამ **ლილით გალოიანმა მარია მუზიჩუკის** ძლევით წონასწორობა ალადგინა. **ნატალია პოგონინა-ლილით მკრტიჩიანი, ჰარიკა დრონავალი-კატერინა ლახნო** დაზავდნენ. საბოლოოდ — 2:2 და 5 ტურის შემდეგ AVS-ი ქულით დაწინაურდა, რაც დარჩენილ ორ ტურში ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, შესაძლოა, გადამწყვეტიც აღმოჩნდეს.

დანარჩენი შეხვედრები: „მონტე კარლო“ (მონაკო)-„ბას ბელგრადი“ (სერბეთი) 3:1, „ფოლკსბანკი“ (გერმანია)-„ლოკომოტივი“ (ბულგარეთი) 1:3, „ჰერცლია“ (ისრაელი)-„გიპრორეჩტრანსი“ (რუსეთი) 1:3, „ოსლო“ (ნორვეგია)-„ფიშერ კიეტი“ (იტალია) 1:3, „კომარნო“ (სლოვაკეთი)-„აშდოდი“ (ისრაელი) 2:2.

ხუთი ტურის შემდეგ 8 ქულა (12,5) კრასნოტურინსკის AVS-ს აქვს. 7-7 ქულა ერთბაშად ოთხ გუნდს მოუგროვდა: „მონტე კარლოს“ (14,0), „მიკას“ (13,5), „პეტერბურგს“ (13,0) და „სამაიას“ (10). 6-6 ქულით მეწინავეებს „გიპრორეჩტრანსი“ (13,0) და „ლოკომოტივი“ (11) მიუჩოჩდნენ. დარჩენილ ორ ტურში მედლებისთვის სწორედ ეს 7 გუნდი იბრძოლებს. დღეს ბოლოსწინა ტურში ითამაშებენ: AVS-„პეტერბურგი“, „მიკა-მონტე კარლო“, „გიპრორეჩტრანსი“ (ევროპის ჩემპიონი **ნატალია ჟუკოვა** (უკრაინა)-2499, **ბათჰუიაგ მონგონთუული** (მონგოლეთი)-2412, **ელენა ზაიაცი** (რუსეთი)-2407, **ირინა ვასილევიჩი** (რუსეთი)-2324, **მარინა ფომინიხი** (რუსეთი)-2305)-„სამაია“, „ლოკომოტივი“-„აშდოდი“.

ვაჟთა ტურნირში 10 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში ერთპიროვნულად მოექცა რუსეთის „ეკონომისტი“, რომელმაც გუშინ აზერბაიჯანის „სოკარი“ (22,0) დაამარცხა 4:2. ცხრა ქულით მე-2 ადგილზეა ერევნის „მიკა“ (21,5). სომხები გუშინ ჩეხეთის „ნოვი ბორს“ დაუზავდნენ. 6-მა გუნდმა 8-8 ქულას მოუყარა თავი. უკრაინის „ჩერნიგივმა“ 5:1 მოუგო (**ბაადურ ჯობავას** არ უთამაშია) სლოვაკეთის „პრიევიძას“, ლუქსემბურგის „კავალიე“ 0,5:5,5 დანებდა შვედების „ვიკინგებს“. ის ნახევარი ქულა ძლეულთ **თორნიკე სანიკიძემ** მოუტანა.

**ვაჟა დანელია**

# მეორე ტურში უკეთ ითამაშეს

ბერძნული ჰალკიდიკი 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობას მასპინძლობს. შეჯიბრებაში 86 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. მედლებისთვის ბრძოლაში 17 ქართველიც ჩაება. მათ შორის არიან წლევანდელი ევროპის პირველობის ოქროს მედალოსნები – **მარიამ დანელია და ქეთი ნანალაშვილი**, ვერცხლის პრიზიორი **მერი არაბიძე**, მესამეადგილოსანი **ნათია ჯიბუტი.** გაუწყებთ პირველ ორ ტურში ჩვენებურთა შედეგებს.

**8-წლიანები:** ლუკა ობოლაძე-დიმიტრის ალექსაკისი (საბერძნეთი) 0:1, რამონ გარსია (ესპანეთი)-ობოლაძე 0:1; როშნი რაიჩურა (კენია)-თამარ ესაძე 0,5:0,5, ესაძე-ადრიანა ჯერმანოვიჩი (სერბეთი) 0:1.

**10-წლიანები:** დოსბოლატ ჟუპარხანი (ყაზახეთი)-ირაკლი ახვლედიანი 0:1, ახვლედიანი-ნიკიტა ზუჩ-ზაიკოვსკი (ლატვია) 1:0. ნათია ჯიბუტი-ელიზავეტა ფეოფილოვა (რუსეთი) 0,5:0,5, ანა ვრტიაკოვა (სლოვაკეთი)-ჯიბუტი 0:1.

**12-წლიანები:** ნიკა ლევამბერია-იუსტას უილიამსი (აშშ) 0:1, აიდარ კენენბაევი (ყირგიზეთი)-ლევამბერია 0:1; მარიამ ჯავახიშვილი-სუნიასაქტა სათფადი (ინდოეთი) 0:1, ნინო ხომერიკი-კატრინე ჰერნე (ირლანდია) 1:0, მაგრულა იმანლი (აზერბაიჯანი)-ხომერიკი 0:1, ჰასმიკ შახბაზიანი (სომხეთი)-ჯავახიშვილი 1:0.

**14-წლიანები:** სებასტიან მარკოჯა (სლოვენია)-ირაკლი ბერაძე 0,5:0,5, ბერაძე-პანაგიოტის ზეპოსი (საბერძნეთი) 1:0; ანა-მარია დრაკაკი (საბერძნეთი)-ანა შამათავა 0:1, შამათავა-ადელა ველიკისი (სერბეთი) 1:0.

**16-წლიანები:** ნიკა ვოლკოვი-იაჰიუკ პარკი (კორეა) 1:0, დანიელ ზადვიკოვსკი (პოლონეთი)-ვოლკოვი 1:0; კონსტანტინა ანდრონი (საბერძნეთი)-მერი არაბიძე 0:1, ავიტალ ჰაიტოვიჩი (ისრაელი)-მარიამ დანელია 0:1, ნათია ჯალაბაძე-ვალენტინა ბაუერი (ავსტრია) 0:1, ნანი უნაფქოშვილი-ილინა გუფთა (ინდოეთი) 1:0, არაბიძე-პაულინა ჩანდო (ეკვადორი) 1:0, დანელია-კლაუდია ვიშნოვსკა (პოლონეთი) 1:0, გაგარე შალმალი (ინდოეთი)-უნაფქოშვილი 1:0, ანა მიერელესი (პორტუგალია)-ჯალაბაძე 0:1.

**18-წლიანები:** კოოპესტანი (ირანი)-ბექა ფიფია 1:0, გიორგი ნიკოლაშვილი-იასფერ თამბინი (ინგლისი) 1:0, მარჩინ სიჩიეჩოვიჩი (პოლონეთი)-ნიკოლაშვილი 0.5:0.5, ფიგიაბლასიუს ნუბერი (გერმანია) 0:1; მაფტუნა მამათკულოვა (უზბეკეთი)-ქეთი ნანალაშვილი 1:0, ნანალაშვილი-თჰუ მინ ნგუენი (გერმანია) 1:0.

როგორც ვხედავთ, ქართველმა მოჭადრაკეებმა პირველ ტურზე უკეთ მეორეში ითამაშეს. გუშინ ჩვენებურებმა 11 პარტია მოიგეს, 5 – წააგეს და მხოლოდ ერთ მეტოქეს დაუზავდნენ. ორი ტურის შემდეგ ქართველთაგან უდანაკარგოდ ლიდერობენ: ახვლედიანი, ხომერიკი, შამათავა, არაბიძე და დანელია.

დღეს მესამე ტურის ორთაბრძოლები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

## თავგადასავლები

# თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი ვახტანგ კოპალეიშვილი

იმ თითზე ჩამოსათვლელ ფეხბურთელებს შორის, რომლებმაც თავის დროზე სახელი მოუტანეს ქართულ ფეხბურთს, ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია **ვახტანგ კოპალეიშვილი.**

სპორტშიც და ცხოვრებაშიც რაინდული ბუნების ფეხბურთელს გასახსენებელი მართლაც რომ თავზე საყრელად აქვს.

— არ დავიწყებ ბავშვობის ასაკიდან, რადგანაც სახარბიელოს და მით უმეტეს ამ რუბრიკისთვის სახალისოს ვერაფერს მოვიგონებ.

სამაგიეროდ, დიდობაში ისეთი ამბები გადამხდა, ყველაფერს რომ გადასწევს და გადაწონის. გადარეული მყავდა იმერ-ამერი. 3 წლის ასაკიდან თბილისში ვიზრდებოდი, ვვაჟკაცდებოდი და ვფეხბურთელობდი.

როგორც ვთქვი, მოსაყოლი ბევრია, მაგრამ სანამ „ფირმაში“ მოღვაწეობის ამბებს შევეხები, ლანჩხუთის ინციდენტს გავიხსენებ.

### „დისკვალიფიკაცია“

ლანჩხუთში სტუმრად გვყავს რიგის განთქმული გუნდი.

აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ როგორც ყოველთვის იმ მატჩს ესწრებოდა თავგადამკვდარი „ბალელშიკი“ — ვ-კ გურიის ჭეშმარიტი კოლორიტი. ძალიან ემოციური მაყურებელი გახლდათ. ერთი ფრიად უცნაური (დამახასიათებელი) ჩვევა ჰქონდა ამ კაცს. მაგალითად, როდესაც საქართველოს რომელიმე გუნდი გასვლით მატჩს ატარებდა, იძულებული იყო ტელევიზორში ედევნებინა თვალი თამაშისთვის.

სკამზე ვერ მაგრდებოდა... თუ ნასვამი იყო, ოთახშიც ვერ ეტეოდა. ბორგავდა და „დაგუდულად“ იგინებოდა დრო და დრო.

მოხდებოდა სასწაული და ჩვენები გაიტანდნენ?! ვაი, საყვარელო... წამოვარდებოდა სკამიდან და კაი 12 წლის უნახავი ბიძაშვილივით ჩაკოცნიდა და ჩაკოცნიდა ტელევიზორის ეკრანს. ერთ-ერთი მატჩის დროს გაგვიტანეს გოლი. გადაირია ვ-კ წამოხტა, ჯერ იგინა, მაგრამ რა იგინა, რა არ აკადრა საწყალ ტელევიზორ „რეკორდს“. — დაჯდა სკამზე გაბუტული.

ზუსტად ერთ წუთში გაქვითეს ჩვენებმა. წამოვარდა სკამიდან. ჩაეკონა გულამოსკვნილი და იმდენი კოცნა ეკრანს სულ მოზუზნული ჰქონდა სიფათი.

ჰოდა, ზის ახლა ეს კაცი, როგორც თავში მოგახსენეთ ლანჩხუთი-რიგის მატჩზე...

მოხდა ისე, რომ ერთმა ადგილობრივმა ფეხბურთელმა ისეთი ბურთი „გამაზა“ (გააფუჭა) ხელფეხშეკრული იდიოტი რომ გაიტანდა. ვ-კ რის ვ-კ იქნებოდა ამ ამბავზე რეაგირება არ მოეხდინა თავისებურად. ოღონდ ის დაავიწყდა, რომ სტადიონზე იჯდა და არა ტელევიზორის წინ...

მატჩი მოვიგეთ. ერთი ბურთი ჩემმა თანაგუნდელმა გაიტანა, ერთი მე და მესამეც მეორე ჩემმა თანაგუნდელმა.

გაისმა თუ არა საფინალო სასტვენი — გადმოცვივდა გახარებული მაყურებელი მოედანზე. დახტიან ჭინკებივით და გვეხვევიან გახარებულები. სულ ხუთ წუთში მთელი სტადიონი ნასაკირალის აჯანყებას ტოლს არ დაუდებდა.

ახლა კი შეამჩნია მსაჯმა, მთლად შტერი კი არ იყო და ის მოგება იმით ჩაგვიმწარა, რომ სტადიონს დისკვალიფიკაცია „აკიდეს“.

### დეეტიე მიწაზე...

1980 წელია.

არგენტინაში მივფრინავთ თბილისის დინამოელები. ფრიად საპასუხისმგებლო თამაში გვქონდა.

უკვე მესამე საათია მივფრინავთ.

ილუმინატორიდან, ჩვენს ქვემოთ მხოლოდ ლურჯი, უკიდეგანო ოკეანე გაწოლილა. ხეზე და ბუჩქზე ზედმეტია ლაპარაკი. ღვთის და „მოტორის“ იმედზე ვართ.

როგორც იქნა სტიუარდესამ გამოაცხადა, რამდენიმე წუთში დავფრინდებით „იამაიკაზეო“.

გახარებულებმა მოვიმარჯვეთ საათები და მოვყევით საუკუნეებივით გაწელილი წუთების თვლას. სამი... ხუთი... ათი... თხუთმეტი... არა და არ ჯდება თვითმფრინავი. სალონში დაძაბული სიჩუმეა. არც ის ჩვენი ცოდვით სავსე სტიუარდესა იღებს ხმას. რაღაც უსიამოვნო განცდაა.

— რა ხდება? — გაუბედავად იკითხა ერთმა ჩვენიანმა.

— ნუ პანიკობ — ამშვიდებს მეორე.

— არ იცით, ჰაერში ერთი წუთი რომ ორად ითვლება? — დაიწყო ვიღაცამ ფილოსოფოსობა.

შიშს ძალიან დიდი თვალები ჰქონია.

— ნამდვილად რაღაცა უჭირს „სამალიოტს“ — ამბობს ისევ „ფილოსოფოსი“, ნეტა არ ჩავვარდებოდეთ ამ გაყინულ წყალში და სულ აღარ ვითამაშებ ფეხბურთს.

— ჩავვარდები და... მოგვძებნიან, ახლა სხვა დროა — წაიოპტიმისტა ერთმა.

— მოგვძებნიან არა ის! შენ აქ პლეხანოვი ხომ არ გგონია, არტოს ბაღთან რომ მოგძებნიდნენ ხელად! ოკეანეა ბიძია ეს... იცი რა ღრმაა? თბილისის ზღვა ამასთან მონაგონია — სულ დაკარგა კონტროლი მესამემ.



არადა, შიში ნელ-ნელა დაიძრა თავიდან — ფეხებისკენ.

თბილისში იოლად იგრძნობა სიმაღლეს რომ კარგავ.

— ვაიმეე! — იღბავლა ვიღაცამ. სტაპრაცენტ ჩავეთხლიშებით წყალში, შეგვჭამენ თევზები! თევზი რო დაგწინკნის რავარია?

— ნუ გეშინია — ამშვიდებენ. აქ პატარა თევზების გარდა ზვიგენებიცაა, ისე გადაგსანსლავენ, სულ ვერ გაიგებ ტკივილს.

— ზვიგენებს ადამიანები „ევასებათ“ და გადაგვარჩენენ.

— იდიოტო, ისინი დელფინები არიან!

ერთ ჩვენს ფეხბურთელს, რომელსაც თბილისში ეუბნებოდნენ-ხოლმე, ისე ხარ, როგორც თევზი წყალშიო, ფერი წაუვიდა, ამის დედა ვატირე, პირველად მე შემჭამენო.

— მოკლედ, ბურთები გადავყაროთ წყალში, ანი მაინც ალარაფერში დაგვჭირდება, ბურთი წყალში არ იძირება, მოვეჭიდებით — მაინც — იყო ბოლო მოსაზრება და... თურმე ღმერთი ჩვენზე ზრუნავდა... უვნებლები დავფრინდით დანიშნულების ადგილზე, მაგრამ მის მერე რამდენჯერაც ოკეანეგაღმა დაიგეგმებოდა თამაში — უსიამოვნოდ გვაჟრჟოლებდა... ჩანტლაძის არ იყოს: „დეეტიე მიწაზე, რა გინდა ამ ცაში... ტოროლა ხარ?“

### ორი „საჩუქარი“ მწვრთნელისთვის

ფეხბურთი ფეხბურთად, მაგრამ თუ დალევაზე მიდგება საქმე, უნდა ავღნიშნო რომ გუნდში ყველაზე „ხოშიანად“ ფირუზა კანთელაძე სვამდა. ბუნებრივიცაა, ფირუზა რა მაღალია ხომ იცით... რაც ზევითაა, ორი იმდენი მინაშია-თქო ვერ ვიტყვი, მაგრამ მე მგონი ახლაც იზრდება და იზრდება ჩუმ-ჩუმად.

ფირუზა რომ ჩვენთან სმას შეუდგებოდა, ერთმანეთს ვეყუდებოდით დანარჩენები. აბა რა იქნებოდა, დალევდა ერთ ჭიქას და სანამ კუჭამდე ჩააღწევდა ისევ წყურდებოდა, მიაყოლებდა მესამეს, მეოთხეს, მეათეს, მეცამეტეს და სანამ ეს 13-14 ჭიქა კუჭს ამოავსებდა ჩვენ უკვე „გატოვი“ ვიყავით.

1979 წელია.

გალში გვქონდა „პატარა თამაში“, მერე — დიდი ბანკეტი.

ფირუზა „ევროპულს“ მიაწვა და მე და გაბელიას გვითხრა, მოდით, ახლა სხვა სუფრაზეც გადავინაცვლოთ, როგორც „ფირმაში“ იციანო. ბანკეტს ნოდარ ახალკაციც ესწრებოდა და იქედან გაპარვა არცთუ ადვილი იყო, მაგრამ მაინც მოვახერხეთ.

ფირუზას რომელიღაც ნათესავთან მაგრად „ჩავნექით“. მერე აღარაფერი გვახსოვს... მე და გაბელიას. ბიჭები ყვებოდნენ.:

ფირუზას ოთარი იქით ილლიაში ამოუჩრია, მე აქეთ და ასე მივუყვანივართ სასტუმროში.

— რა არის ეს? — უკითხავს ფარსადანოვიჩს (ნ. ახალკაცი).

— რა კი არა, ვინ — ფარსადანოვიჩ, ერთი კოპალაა, მეორე ოთარაო — დაუსლოკინებია ფირუზას და კაი „ლოცვაც“ მიუღია მწვრთნელისგან.

### „ომსკი-ომსკი“

ლანჩხუთში ომსკის გუნდი ჩამოვიდა სათამაშოდ.

ზუსტად იმ ხანებში გარდაიცვალა ლანჩხუთის გუნდის ერთ-ერთი მოღვაწე და მეცენატი.

არც დაკრძალვის გადადება შეიძლებოდა, არც თამაშის, არადა ერთი დღე დაემთხვა.

გადავწყვიტეთ თამაში 19 საათის ნაცვლად 12 სთ-ზე გადმოგვეტანა, რათა თამაშის შემდეგ სტუმართა გუნდთან ერთად დაკრძალვაზე წავსულიყავით.

ის თამაში მოვიგეთ და განმეორებითი მატჩისთვის ორი კვირის შემდეგ ომსკში უნდა წავსულიყავით.

თუმცა, — თემას ავცდი.

დაკრძალვის შემდეგ ქელეხი იყო, გადაცვივდნენ ომსკელები თავიან-ფეხებიანად ჭიქის ფსკერებში, ისე მოეწონათ ქართული ღვინო.

მეორე დღეს ვაცილებთ აეროპორტში სახედაბიჟვინებულ კოლეგა სპორტსმენებს.

— კაკოე უ ვას ვინო ბლესტიაშჩიი (აღარ უნდათ წასვლა)

— ტო ლი ეშჩო ბუდეტ! — გავამხნევეთ ჩვენ.

— კაგდა ეტო ეშჩო ბუდეტ?! — მოიწყინეს სასწაულად.

— ჩვენც ხომ ჩამოვალთ, ომსკში!

— ხოდა — გაუბრწყინდათ თვალები — გამოაყოლეთ ღვინო, თვითმფრინავში ადგილი არაა თუ რა! — მოძებნეს გამოსავალი ხელად.

— გაფუჭდება, სიმაგრე და გემო დაეკარგებაო — ჩვენებმა.

სულ მთლად ჩამოყარეს ყურები, მაგრამ მთლად არ დაბნეულან, მიდგნენ ერთ კუთხეში „კვნ“-ის ბიჭებივით და მოითათბირეს:

— ბიჩებო — გვეუბნება იმათი გუნდის კაპიტანი, — თქვენ რომ უნდა ჩამოსულიყავით ჩვენთან ომსკში სათამაშოდ, ნულარ შეწუხდებით.

— რაშია საქმე? — ვიფიქრეთ გაგვებუტნენ-თქო.

— ჩვენ ჩამოვალთ ისევო...

ელაპარაკე ახლა ამ ლოთი-შფოთ ომსკელებს.

**მურმან მერკვილიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპის ჩემპიონატი, U 19

# პორტუგალიამდე მასის მოუგეს




საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები 24 ოქტომბრიდან ბელგიაში, ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს, რომელიც მომავალ წელს გასამართავი „ჩელენჯ ტროფის" შესარჩევი ტურნირიცაა.

უმცროსი „ბორჯღალოსნები" მწვრთნელ **პაატა ნარიმანაშვილის** ხელმძღვანელობით შეჯიბრებისთვის მზადებას აგვისტოდან შეუდგნენ. ბოლო ათდღიანი შეკრება კი საფრანგეთში, საკურორტო ქალაქ კანში გაიარეს, სადაც „მასის" ახალგაზრდულ გუნდთან საწვრთნელი თამაში გამართეს და 26:0 მოიგეს.

„შეხვედრაში თავი შერკინებამ გამოიჩინა, რომელიც მეტოქეს საგრძნობლად ავიწროებდა და უკანა ხაზს უპირატესობას უქმნიდა. კარგი იყო ისიც, რომ გავუძელით ფრანგების დინამიკურ თამაშს. სერიოზული ხარვეზი რაკში თამაშისას შევნიშნეთ, რაზეც ტურნირამდე დარჩენილ დროში აუცილებლად გავამახვილებთ ყურადღებას", - გვითხრა ცხრამეტწლამდელთა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა **ზურაბ ამონაშვილმა.**

ევროპის ჩემპიონატზე, 24 ოქტომბერს ჩვენი გუნდის პირველი მეტოქე პორტუგალიის ნაკრები იქნება. მატჩი ბრიუსელში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის ასევე იბრძოლებენ ბელგიის, რუმინეთის, უკრაინის, პოლონეთის, რუსეთისა და ესპანეთის ცხრამეტწლამდელთა ნაკრებები.

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **ზურაბ ყვანია, ზურაბ ერისთავი, ტარიელ ჩხიკვაძე, მერაბ მატკავა (ყველა - აია), ლევან ჩილაჩავა (ტულონი), ირაკლი ჩომახაშვილი (არმაზი);**

მეორე ხაზი: **კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ბექა ბინაძე (ივერია), გიორგი ჟღენტი (თსუ\ლომები);**

მესამე ხაზი: **გიორგი ტყეშელიაძე (ვისოლი\ყოჩები), გიორგი ჭყოიძე (ლელო), ლაშა თხილაიშვილი (ბათუმი XV), ლაშა ლომიძე (აკადემია), დავით ლოსაბერიძე (დიყონი)**

N:9: **რამაზ ჯინაშვილი (თსუ\ლომები), ჯიმი ლამბაშიძე (ლელო)**

N:10: **ლუკა კვარაცხელია (ვისოლი\ყოჩები), უშანგი მჭედლიშვილი (ლელო);**

N:12-13: **ზურაბ ძნელაძე (აია), გოდერძი ჭინჭარაული (ლელო), გიგა გაგოშვილი (შევარდენი), გიორგი მარგიანი (აკადემია);**

N:11-14: **გიორგი აბრამიძე (აია), ლევან გოგოლაშვილი (აკადემია), ვანო გაბროშვილი (არმაზი)**

N:15: **ბახვა კობახიძე (თსუ\ლომები)**

### მეოთხედფინალი. 24 ოქტომბერი

**რუმინეთი-უკრაინა, ბელგია-პოლონეთი, რუსეთი-ესპანეთი, საქართველო-პორტუგალია.**

## ზე რაგბი




დენი სიპრიანი და ჯორჯო არმანი

# ასეთია და რა ქნას?!

ახალი ავსტრალიური კლუბი „მელბურნ რებლზი", რომელიც მომავალი წლიდან ყოფილი ზე 14-ის გუნდებს დაემატება და უკვე ოფიციალურად გადანათლულ „ზე რაგბის" გათამაშებაში ჩაებმება, მომავალი კვირიდან საწვრთნელ შეკრებას იაპონიაში გამართავს.

მელბურნული გუნდი ახალი „შეკონინებულია" და უკეთ შეთამაშებისთვის მზადებას ადრიანად შეუდგა. იაპონიაში „რებლზი" ამ ქვეყნის A ნაკრებს და რამდენიმე კლუბს დაუპირისპირდება.

„მელბურნ რებლზი" ახალი გუნდია, რომელიც მორაგბეებს ახალ პერსპექტივას სთავაზობს. წარმატება რაგბიში გუნდურად მიიღწევა. თუ გუნდი წარმატებულია, მისი ცალკეული მოთამაშეებიც წარმატებულნი იქნებიან. ამიტომ ყველა ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და გამარჯვებები ვჭედოთ", - უთხრა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **როდ მაკქუინმა** მორაგბეებს ბოლო კრებაზე.

ამ თავყრილობას არ ესწრებოდა გუნდის ყველაზე ძვირად ღირებული მოთამაშე, ინგლისელი მგეზავი **დენი სიპრიანი,** რომელსაც ვითომდა ავსტრალიის ვიზის მიღება გაუჯანჯლეს. არადა, დენის, წესით, პრობლემები არ უნდა ჰქონდეს. თავსაც ჯანმრთელად გრძნობს და ახლახან ლონდონში მოდების ჩვენებაზეც ნახეს ყოფილ გელფრენდ **კელი ბრუკთან** ერთად. აღსანიშნავია, რომ სიპრიანი და მაქკუინი ლონდონში ერთი თვის წინ სწორედ „ფეშენ ვიკის" მსვლელობისას შეხვდნენ, როცა „ემპორიო არმანის" სამოდელო სახლის ნაწარმის ჩვენება მიმდინარეობდა.

ერთი სიტყვით, სიპრიანი თავისას არ იშლის. ასეთია და რა ქნას?! ჰოდა, „პომების" თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** სწორედ ამიტომ მოკვეთა გუნდიდან და, საქმეს ისეთი პირი უჩანს, სიპრიანიმ რაც უნდა კარგად ითამაშოს, ჯონსონის ხელში ინგლისის ნაკრების კვართს ვერ მოირგებს.

## ლეგიონერები

# გორგოძე სხვა ვარსკვლავებთან ერთად ბრუნდება

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი ევროთასების გათამაშების მატჩებით გამოწვეული ორკვირიანი შესვენების შემდეგ ხვალიდან განახლდება. ელიტური პირველი დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერი, ყველაზე ქართული ფრანგული გუნდი, **მამუკა გორგოძის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე" ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „ბურგუენს" მასპინძლობს.

მონპელიელთა მწვრთნელებმა **ფაბიენ გალტიემ** და **ერიკ ბეშუმ** გუნდში დააბრუნეს ლიდერები - გორგოძე, ფულენსე უედრაოგო, ჟულიენ ტომა და ფრანსუა ტრინ-დუკი, რომლებიც ევროთასების მსვლელობისას ისვენებდნენ.

„მონპელიეს" წინასამატჩო განაცხადში არიან ასევე შველიძე და ჟღენტი. ჩხაიძე შემადგენლობაში ისევ არ შეიყვანეს, არადა, „ბიჭომ" „ემლინ ჩელენჯ კაპის" ორივე მატჩში სრულად ითამაშა.

## ლაურეატები

# ავსტრალიაში სეზონი შეაჯამეს



დევიდ პოკოკი

ავსტრალიის საუკეთესო მორაგბე „ვოლაბების" ფლანკერი **დევიდ პოკოქი** გახდა, რომელსაც ჯონ ილზის მედალი გუშინ საზეიმოდ გადასცეს. წლის საუკეთესო მოთამაშეს ავსტრალიის ნაკრების მორაგბეები ასახელებენ. 22 წლის პოკოქი თანაგუნდელებმა ყველასგან გამოარჩიეს. მან 269 ქულა დააგროვა, შარშანდელმა წლის მოთამაშემ, მგეზავმა **მეთ გიტომ** 193 ქულა მიიღო. მესამე კი **ქუადე კუპერი** იყო 138 ქულით.

საუკეთსო ახალბედის პრიზი „ვორათაზის" ფულბეკმა **ქართლი ბეილიმ** დაისაკუთრა. 21 წლის ბეილის დებიუტი ეროვნულ ნაკრებში 2009 წლის ნოემბერში შედგა და მას შემდეგ 15 კეპი მოიხვეჭა. ავსტრალიის ნაკრების ბოლო ოთხ ტესტში კი სულაც ძირითად შემადგენლობაში იყო.

ორივე ახალგაზრდა ლაურეატი ახლა „ვოლაბების" შეკრებაზეა და ნოემბრის ტესტებისთვის ემზადება.

## სანქცია

# ტულიგაი რაგბიდან 50 დღით მოკვეთეს

საფრანგეთში თამაშის წესების უხეშად დამრღვევებზე სანქციები სულ უფრო მკაცრდება. ფრანგული რაგბის პროფესიული ლიგა მოთამაშეების ჯანმრთელობაზე ზრუნავს და ყველა ხიფათის შემცველ ქმედებას მკაცრად სჯის.

ახლახან საფრანგეთის რაგბის პროფესიული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა „პერპინიანისა" და სამოას ნაკრების მესამეხაზელ **ჰენრი ტულიგაის** 50-დღიანი სასჯელი დაუწესა. მან საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში „ლა როშელის" მესამეხაზელი **დანიელ ნევო** სახიფათოდ შებოჭა. დისკვალიფიკაციის გამო ტულიგაის საფრანგეთის ჩემპიონატის სამი ტურისა და სამოას ნაკრების ორი ტესტის გამოტოვება მოუწევს.

## მკითხველის თხოვნით

LAWS OF THE GAME RUGBY UNION 2010

# რაგბის წესები

## თამაშგარეთ და თამაშში

თამაშგარეთ ყოფნა ნიშნავს, რომ მოთამაშე დროებით ისეთ ადგილზეა, თუ ითამაშებს, დაჯარიმდება.

ზოგადად, თამაშში მორაგბე თამაშგარეა, თუ იგი წინაა ბურთიან ან იმ გუნდელზე, ვინც ბურთით ბოლომ ითამაშა.

ამ ვითარებაში მოთამაშე შეიძლება მობრუნდეს გუნდელის ან მეტოქის ქმედებით.

ერთი კია, თამაშგარე მორაგბეს თამაშში ვერ მოაბრუნებენ, თუ იგი თამაშში ჩაერევა: წინ, ბურთისკენ წავა. ან 10 მეტრით არ გაცდება იმ ადგილს, სადაც ბურთი მიწაზე ეცემა.

## საზოგადო თამაშგარე

თამაშგარეთ მყოფი მოთამაშე მარტო მაშინ ექვემდებარება დაჯარიმებას, თუ ჩაიდენს სამიდან ერთს:

თამაშში ერევა.

წინ, ბურთისკენ მიიწევს.

არღვევს 10 მეტრის წესს.

თამაშგარე მოთამაშე ავტომატურად არ ჯარიმდება.

მოთამაშე, ვინც უნებლიედ, წინ გადაწოდებული ბურთი დაიჭირა, თამაშგარე არაა.

მოთამაშე ლელოშიც შეიძლება იყოს თამაშგარე.

**თამაშგარედან თამაშში ჩარევა:** თამაშგარე მოთამაშე შეხვედრის მსვლელობაში არ უნდა ჩაერიოს. ეს ნიშნავს, რომ მოთამაშემ თავად არ უნდა ითამაშოს ბურთით და არც მეტოქე შეაფერხოს.

**თამაშგარედან წინ სვლა:** თუ თამაშგარე მყოფი მოთამაშის გუნდელმა ბურთი წინ დაარტყა, თამაშგარე მოთამაშე მანამ არ უნდა წავიდეს ბურთის მომლოდინე მეტოქისა და მიწაზე ბურთის დაცემის ადგილისაკენ, სანამ მას თამაშში არ მოაბრუნებენ.




**თამაშში მობრუნება გუნდელის ქმედებით:** ზოგადად თამაშში არსებობს იმის ოთხი გზა, რომ თამაშგარეთ მყოფი მოთამაშე თამაშში თავისი ან გუნდელის ქმედებით მობრუნდეს.

**საკუთარი ქმედება:** თუ თამაშგარე მოთამაშემ თავად დაიხია იმ გუნდელზე უკან, ვინც ბურთს ბოლომ დაარტყა, მას ბოლო შეეხო ან ბურთი ბოლოს მიჰქონდა, იგი თამაშში მობრუნებულად ითვლება.

**ბურთიანი ქმედება:** თუ თამაშგარე მოთამაშეს ბურთიანმა გუნდელმა გადაუსწრო, იგი თამაშში მობრუნებულად ითვლება.




**დამრტყმელის ან სხვა თამაშში მყოფის ქმედება:** თუ თამაშგარე მოთამაშეს გადაუსწრო ბურთის დამრტყმელმა ან იმ გუნდელმა, ვინც ბურთის დარტყმის დროს ან მის შემდეგ დამრტყმელის გვერდით ან მასზე უკან იყო, თამაშგარე მოთამაშე თამაშში მობრუნებულად ითვლება.

გუნდელებს თამაშგარე მოთამაშემდე არბენა აუტისა და ლელოს კიდის გავლითაც შეუძლიათ, მაგრამ თამაშში მის მოსაბრუნებლად თავად სათამაშო არეში უნდა დაბრუნდნენ.

**თამაშში მობრუნება მეტოქის ქმედებით:** ზოგადად, თამაშში არსებობს იმის სამი გზა, რომ თამაშგარეთ მყოფი მოთამაშე თამაშში მეტოქის ქმედებით დაბრუნდეს. ერთი კია, ესენი არ ვრცელდება იმ მოთამაშეზე, ვინც თამაშგარეთ 10 მეტრის წესის თანახმადაა.

**ბურთით ხუთი მეტრის გარბენა:** თუ ბურთიანმა მეტოქემ ხუთი მეტრი გაირბინა, თამაშგარე მოთამაშე თამაშშია.

**დარტყმა ან პასი:** თუ მეტოქემ ბურთს ფეხი დაარტყა ან უპასა, თამაშგარე მოთამაშე თამაშშია.

**ბურთის განგებ შეხება:** თუ მეტოქე ბურთს განგებ შეეხო და არ დაიჭირა, თამაშგარე მოთამაშე თამაშშია.

## თამაშგარე 10 მეტრის წესის თანახმად

თუ გუნდელმა ბურთი ფეხით წინ დაარტყა, თამაშგარე მოთამაშეს თამაშში ჩარევა დაბრალდება, თუკი აღმოჩნდება იმ წარმოსახვითი ხაზის წინ, რომელიც




მოედნის მთელ სიგანეზე გადის და 10 მეტრითაა დაშორებული ბურთის მომლოდინე მეტოქეს, ან მიწაზე ბურთის (სავარაუდო) დაცემის ადგილს.

თამაშგარე მოთამაშემ ამ წარმოსახვითი ხაზის უკან უმალ უნდა დაიხიოს და თან მეტოქეები არ შეაფერხოს.

**სასჯელი:** საჯარიმო დარტყმა.

თუ თამაშგარეთ მყოფი მოთამაშე მაინც მიეჭრა მეტოქეს, ვინც ბურთს დასაჭერად ელოდა, მსაჯმა უმალ უნდა დაუსტვინოს და მიმხდური დააჯარიმოს.

ამ წესში არაფერი შეიცვლება, თუ ბურთი კარის ძელს ან ხარიხას მოხვდა.

10 მეტრის წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა მოთამაშემ ბურთს ფეხი დაარტყა, მეტოქემ ამ დარტყმას დააფარა და მერე დამრტყმელის იმ გუნდელმა, ვინც წარმოსახვითი 10-მეტრა ხაზზე წინ იყო, ბურთით ითამაშა. საქმე ისაა, რომ აქ მეტოქე ბურთს დასაჭერად არ ელოდა და დამრტყმელის გუნდელიც თამაშში იყო.

თუ ერთბაშად რამდენიმე თამაშგარეთ მყოფი მოთამაშე მიიწევს წინ მას შემდეგ, რაც მათმა გუნდელმა ბურთს ფეხი დაარტყა, დარღვევის ადგილად ითვლება იმ დამრღვევის პოზიცია, ვინც ბურთის მომლოდინე მეტოქესთან ან მიწაზე ბურთის დაცემის ადგილთან ყველაზე ახლოს არის.

## თამაშში მობრუნება 10 მეტრის წესის თანახმად

თამაშგარე მოთამაშემ მოედნის მთელ სიგანეზე გამავალი, წარმოსახვითი 10-მეტრიანი ხაზის უკან უნდა დაიხიოს, თორემ დაჯარიმებას დაექვემდებარება.

უკან დახევის დროს ეს მოთამაშე მისმა გუნდელმა თამაშში შეიძლება მოაბრუნოს მაშინაც კი, თუ მას 10 მეტრი ჯერ არ გაუვლია, ერთი კია, თამაშგარე მოთამაშე ამ დროს თამაშში მეტოქის ვერანაირი ქმედებით ვერ მოხვდება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი




ფრაგმენტი 1972 წლის ერთ-ერთი მატჩიდან

# სუპერსერია გამეორდება

რუსეთის ჰოკეის ფედერაციამ კანადის სპორტის სამინისტროსა და ჰოკეის ეროვნულ ლიგას 1972 წლის სუპერსერიის გამეორება შესთავაზა. 1972 წლის სექტემბერში სსრკ-სა და კანადის ნაკრებებმა რვა მატჩი (ოთხ-ოთხი თითოეულ ქვეყანაში) ითამაშეს და ეს სერია ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა ჰოკეის ისტორიაში.

ახალი სუპერსერიის გამართვას 2012 წლისთვის აპირებენ და მას 1972 წელს გამართული მატჩების 40 წლისთავს მიუძღვნიან. ფედერაციის პრეზიდენტმა, ლეგენდარულმა მეკარემ **ვლადისლავ ტრეტიაკმა** აღნიშნა, რომ სერიის გამართვა აგვისტოში იქნება შესაძლებელი - კონტინენტალური ლიგისა და ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალი სეზონის დაწყებამდე.

1972 წლის სუპერსერია კანადის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა, რომელიც NHL-ის მოთამაშეებისგან იყო შემდგარი. ჩრდილოამერიკელებმა ოთხი შეხვედრა მოიგეს, საბჭოთა ნაკრებმა - სამი, კიდევ ერთი მატჩი ფრედ დასრულდა. მოსკოვში გამართულ ბოლო შეხვედრაში კანადამ 6:5 მოიგო, ამასთან, **პოლ ჰენდერსონმა** გამარჯვების შაიბა საფინალო სირენამდე 34 წამით ადრე გაიტანა. ფრეს შემთხვევაში სერიას სსრკ მოიგებდა შაიბების უკეთესი სხვაობით.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ჩიკაგო გალიდერდა

უზრძოლველად ჩაიარა „ფილიპს არენას" ნახევრადცარიელი ტრიბუნების ქვეშ „ატლანტასა" და „ბაფალოს" შეხვედრამ. „ტრეშერზმა" სეზონის სტარტი კარგად ჩაატარა, მაგრამ ამჯერად დამარცხდა „სეირბზთან", რომელიც ამ შეხვედრას ზედიზედ ხუთი დამარცხებით შეხვდა. **ლინდი რაფის** გუნდში უნდა აღვნიშნოთ ახალგაზრდა ჰოკეისტების - **ტაილერ ენისისა** და **ტაილერ მიერსის** პირველი გოლები. მათ მიბაძა და სეზონში პირველად გამოიჩინა თავი „ბაფალოს" ყველაზე ძვირადღირებულმა ფორვარდმა **ტომაშ ვანეკმა**, რომელიც წელიწადში 7 მილიონზე მეტს იღებს. გარდა ამისა, „სეირბზმა" ერთი შაიბა რიცხობრივი უპირატესობისას გაიტანა, ეს კი მნიშვნელოვანია, რადგან გუნდმა ამ მატჩამდე 24 მცდელობიდან მხოლოდ ორჯერ გამოიყენა ერთი ზედმეტი მოთამაშე.

სტუმრად ოთხიდან ოთხი წაგება აქვს „ანაჰაიმს". ამჯერად „იხვები" „კოლამბუსთან" დამარცხდნენ - 1:3. თუმცა „დაქსის" საქმე მთლად უიმედო არ არის, რადგან მასპინძლების მეკარე **სტივ მეისონს** 31 დარტყმის მოგერიება მოუწია. „კოლამბუსის" რიგებში დუბლით გამოიჩინა თავი კაპიტანმა **რიკ ნეშმა**, ხოლო ფორვარდმა **დერეკ მაკენზიმ** ლამაზი გოლი გაიტანა - მან ჯერ საკუთარ ზონაში მოასწრო შაიბის ბლოკირება, შემდეგ კი დამოუკიდებლად გაიქცა კონტრშეტევაში. „კოლამბუსმა" თავის კონფერენციაში მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა.

„ჩიკაგოსა" და „ვანკუვერში" უმაღლესი დონის ბევრი ფორვარდი თამაშობს, მაგრამ მათი შეხვედრა მოკრძალებული ანგარიშით - 1:1 დასრულდა. „ბლეკჰოქსი", რომელმაც „კენაქსი" შარშანდელი პლეი ოფის ნახევარფინალში დაამარცხა, პირველი პერიოდის ბოლოს დებიუტანტ **ვიქტორო სტალბერგის** მონდომების წყალობით დაწინაურდა. „ვანკუვერმა" ანგარიში მესამე პერიოდის სტარტზე გაათანაბრა, როცა **დანიელ სედინმა კესლერისა** და **ერჰოფის** დახმარებით „შეტენა" შაიბა **მარტი ტურკოს** კარში. ამის შემდეგ გუნდები რისკზე წასვლას ერიდებოდნენ და აქცენტს დაცვაზე აკეთებდნენ. მეკარეებიც მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. თუმცა **რობერტო ლუონგომ** ბულიტების სერიაში სამი გოლი გაუშვა, ტურკომ კი **სამუელსონის** ბოლო ბულიტი მოიგერია და თავის გუნდს მოაგებინა. „კენაქსი" კვლავაც პლეი ოფის ზონის მიღმაა, მაგრამ ამ გუნდის გულშემატკივრებმა არ უნდა მოიწყინონ, რადგან კანადელებს შარშან უარესი სტარტი ჰქონდათ, მაგრამ ჩემპიონატის შუაში ათამაშდნენ. „ჩიკაგომ" კი ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და ლიგის ცხრილის სათავეში მოექცა, თუმცა სტენლის თასის მფლობელს სხვებზე ორით ან სამით მეტი თამაში აქვს ჩატარებული.

სტარტზე ღირსეულად გამოიყურება „კაროლინა", რომელმაც მინიმალური ანგარიშით წააგო „ლოს ანჯელესთან". გუშინ „ჰარიკეინზმა" სტუმრად შეძლო დასავლეთის ერთ-ერთი ფავორიტის „სან ხოსეს" დამარცხება, მომდევნო დღეს კი კალიფორნიული ტურნე გააგრძელა და „კინგზს" ესტუმრა. თამაში თანაბარ ბრძოლაში მიდიოდა, მასპინძლებმა გამარჯვების შაიბა მხოლოდ მესამე პერიოდის დასაწყისში გაიტანეს. თავი ისახელა დებიუტანტმა **ანდრეი ლოქტიონოვმა**. მის გარდა ჩემპიონატში სასტარტო შაიბები გაიტანეს **კოპიტარმა** და **ჰანძუშმა**.



ნეშმა დუბლი შეასრულა

**ატლანტა–ბაფალო 1:4**

0:1, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 ენისი-1 (მონტადორი-3, ბატლერი-1), 0:2 მიერსი-1 (ბატლერი-2, დ. როი-2), 0:3 მაკორმიკი-2 (გოსტადი-2, რივე-1), 1:3 ენსტრიომი-2 (ბაფულინი-3, ლედი-4), 1:4 ვანეკი-1 (სტეფორდი-4, მონტადორი-4).

**კოლამბუსი–ანაჰაიმი 3:1**

0:0, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 მაკენზი-2, 2:0 ნეში-2 (ჰუსელიუსი-2, ვერმეტი-2), 2:1 სელიანე-3 (ბლეიკი-1, ვიშნოვსკი-3), 3:1 ნეში-3.

**ჩიკაგო–ვანკუვერი 2:1 (ბ)**

1:0, 0:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 სტალბერგი-2 (დოუელი-2, სკილი-2), 1:1 დ. სედინი-7 (კესლერი-1, ერჰოფი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** ტეუვზი (ჩიკაგო), დ. სედინი (ვანკუვერი), შარპი (ჩიკაგო), კესლერი (ვანკუვერი), პ. კეინი (ჩიკაგო).

**ლოს ანჯელესი–კაროლინა 4:3**

2:2, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 რ. სმიტი-3 (სტოლი-2, ჯასტინ უილიამსი-3), 1:1 ლაროუზი-2 (ე. სტაალი-3), 1:2 ე. სტაალი-3, 2:2 ჰანძუში-1 (პონიკაროვსკი-2, სიმონდსი-1), 3:2 კოპიტარი-1 (ბრაუნი-2), 3:3 სკინერი-1 (ბაბჩუკი-2, კოული-3), 4:3 ლოკტიონოვი-1 (კოპიტარი-4, უ. მიტჩელი-2).

ამბები

სათხილამურო-სათხილამურო სპორტი

## ფინეთს ლიდერი უბრუნდება

ფინეთის ყველაზე წარმატებული მოთხილამურე **კალე პალანდერი** ორწლიანი შესვენების შემდეგ უბრუნდება დიდ სპორტს. სპორტსმენი ახალი სეზონის პირველივე ეტაპზე, ავსტრალიის კურორტ ცოლდერში იბრძოლებს პირველობისთვის.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის იანვარში პალანდერმა ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც ოფიციალურ სტარტებში მონაწილეობა არ მიუღია. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ფინელს ვანკუვერის ოლიმპიადის გამოტოვებამაც მოუწია.

მაგრამ ამა წლის აგვისტოში 33 წლის სპორტსმენმა აქტიური ვარჯიშები განაახლა და მიაჩნია, რომ ოპტიმალური ფორმა აკრიფა.

ჩოგბურთი

## რადვანსკა ავსტრალიაში არ ითამაშებს

პოლონელი ჩოგბურთელი **აგნიეშკა რადვანსკა** ოპერაციის გამო მონაწილეობას ვერ მიიღებს 2011 წლის ავსტრალიის ღია პირველობაში.

აგნიეშკამ სულ ცოტა ხნის წინ მოიტეხა თითი მარცხენა ფეხზე, რის გამოც დღეს ოპერაცია ელოდება. დაახლოებით სამი კვირა სპორტსმენს ფეხი თაბაშირში ექნება და ამის შემდეგ დაიწყება აღდგენითი პროცესი. სავარაუდოდ, აგნიეშკა 2011 წლის თებერვალში აპირებს კარიერის განახლებას.

ფორმულა 1

## ვოდაფონი მაკლარენს გაურიგდა

კორეის გრან-პრის წინ „მაკლარენმა" სასპონსორო კონტრაქტი გააფორმა კომპანია Vodafone-თან. ახალი ხელშეკრულების თანახმად, მობილური კავშირის ბრიტანული ოპერატორი 2013 წლის ბოლომდე იქნება საჯინიბოს სატიტულო სპონსორი.

მხარეებმა თანამშრომლობა 2007 წლიდან დაიწყეს. ამ დროის განმავლობაში „მაკლარენმა" 21 გამარჯვება მოიპოვა „სამეფო რბოლებში", 2008 წელს კი **ლუის ჰემილტონი** მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

*„Vodafone-ისა და „მაკლარენის" თანამშრომლობა წარმატებული გამოდგა როგორც სპორტული, ასევე მარკეტინგული თვალსაზრისით"*, - წერია კომპანიის პრესრელიზში.

კალათბურთი

## უეიდი კვირას დაბრუნდება

„მაიამი ჰიტის" ერთ-ერთი ლიდერი **დუეინ უეიდი** სავარაუდოდ კვირას დაუბრუნდება სანვრთნელ შეკრებას. კალათბურთელი ამჟამად ჩიკაგოშია, სადაც თავისი ორი შვილის მეურვეობის საკითხებს აგვარებს. სწორედ ამის შემდეგ შეუერთდება თავის გუნდს.

*„ვფიქრობ, ამ კვირის ბოლომდე ყველა კალათბურთელი მწყობრში იქნება. დუენი დაბრუნებისთანავე უპრობლემოდ შეეწყობა ჩვენს თამაშს"*, - განაცხადა „მაიამის" ახალწვეულმა **ლებრონ ჯეიმსმა**.

„ჰიტს" სამშაბათს უწევს რეგულარული ჩემპიონატის პირველი შეხვედრა „ბოსტონ სელტიქსის" წინააღმდეგ.

## ბოსტონმა ორი მოთამაშე დაითხოვა

რეგულარულის სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე „ბოსტონ სელტიქსმა" შემადგენლობიდან დაითხოვა მცველი **მარიო უესტი** და ფორვარდი **სტეფან ლასმე**.

გასულ სეზონში უესტი D-ლიგაში „მეინ რედ კლოსის" რიგებში თამაშობდა და საშუალოდ 13.7 ქულასა და 4.1 შედეგიან პასს აგროვებდა. ლასმემ შარშან თელ-ავივის „მაქაბიში" ითამაშა. ევროლიგაში მისი სტატისტიკა 6.5 ქულასა და 4.4 მოხსნას უდრიდა.

დოპინგი

# რუსეთში მარიხუანას მიეძალნენ

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტომ (RusADA) მარიხუანას მიღებაში ეჭვმიტანილი ორი ტრამპლინიდან მხტომელი ჩამოაშორა სანვრთნელ შეკრებასა და ტურნირებს. ორივე სპორტსმენი რუსეთის იუნიორთა ნაკრების წევრი იყო. როგორც RusADA-ში ამბობენ, უახლოეს დღეებში კიდევ ექვსი სპორტსმენის საქმეს განიხილავენ, რომლებიც ასევე მარიხუანას მიღებაში არიან ეჭვმიტანილები. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ამ ნარკოტიკის მოხმარებაში დაახლოებით 20 რუსი ათლეტი ამხილეს.

■ ■ ■

*„ამ მხრივ ჩვენი სახეობა პრობლემატურია*, - ამბობს რუსეთის ტრამპლინიდან ხტომისა და სათხილამურო ორჭიდის ფედერაციის ჩინოვნიკი. - *ჩვენთან მარიხუანას მართლა ეწევიან. სამი წლის წინ ორჭიდში ნაკრების წევრი დავსაჯეთ დისკვალიფიკაციით. ერთი წლის წინ, სხვადასხვა ნაკრების რამდენიმე წევრმა, გასაგები მიზეზის გამო, უარი თქვა ტესტების ჩატარებაზე. კიდევ კარგი, სკანდალი არ გახმაურდა - რაც არ უნდა იყოს, ოლიმპიადა იწყებოდა"*.

ბოლო წლებში მარიხუანა რუსეთში პოპულარობით მეორე დოპინგი გახდა ერითროპოეტინის შემდეგ. 2007-08 წლებში შიდა კონტროლისას 12 სპორტსმენი გამოიჭირეს. ისინი სპორტის სხვადასხვა სახეობას - რაგბის, ცურვას, ბიატლონს, ჭიდაობას, ფრისტაილსა და მძლეოსნობას წარმოადგენდნენ. RusADA-ს ამოქმედების შემდეგ ამავე მიზეზით კიდევ 6 ადამიანი ჩავარდა. უმეტესობა 23-წლამდე სპორტსმენები იყვნენ. „ეს არ არის მხოლოდ სპორტული პრობლემა. ეს არის ახალგაზრდობაში გავრცელებული სენი, - ამბობს ინოვაციური სპორტული ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელი **დავით ჩიჩუა**. - *2007 წელს მონაწილეობას ვიღებდი ლაბორატორიის შექმნაში, რომელიც ახალგაზრდა სპორტსმენებს ამოწმებდა. აქამდე ასეთი რამ არ არსებობდა. ახლა კვარტალში დაახლოებით 400 იუნიორს ვამოწმებთ და დაახლოებით ნახევარს დოპინგსინჯში მარიხუანას კვალი აქვს"*.

ჩვენ მიერ ნახსენები მხტომელებიც ახალგაზრდები არიან - 19 და 15 წლის.

■ ■ ■

მარიხუანა - ერთ-ერთი იშვიათი დოპინგია, რომლისთვისაც სასჯელის მინიმალური ვადაა გათვალისწინებული. *„კანაბოიდები იმ განსაკუთრებულ სუბსტანციებს მიეკუთვნება, რომლის გამოყენებისთვის მინიმალური ვადაა გათვალისწინებული. ხანდახან უბრალოდ გაფრთხილებით შემოიფარგლებიან ხოლმე*, - ამბობენ RusADA-ში. - *აქ შემდეგშია საქმე: არსებობს აკრძალული პრეპარატის სამი პარამეტრი - ორგანიზმისთვის ზიანის მიყენება, სპორტული შედეგის გაუმჯობესება და სპორტსმენის მორალურ-ეთიკური ნორმის დარღვევა. მარიხუანას შემთხვევაში საქმე არ ეხება სპორტული შედეგის გაუმჯობესებას. ამიტომაც, ჩვეულებრივ ნახევარწლიანი დისკვალიფიკაციით შემოიფარგლებიან"*.

■ ■ ■

მარიხუანას აღმოჩენის სიხშირე იმით აიხსნება, რომ მისი გამოყენებისთვის სპორტსმენი სასჯელს მხოლოდ მაშინ იღებს, თუ ნარკოტიკს უშუალოდ შეჯიბრების დროს აღმოაჩენენ. ტურნირებისგან თავისუფალ დროს - რამდენიც გინდა მოწიე. სწორედ ამ დროს დაიჭირეს 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი**, რომელიც ოლიმპიადის შემდეგ სტუდენტურ კამპანიაში ერთობოდა. მაგრამ ხანდახან გართობის მოყვარულებს ზედმეტი მოსდით და მარიხუანას კვალი ორგანიზმში შეჯიბრების დროსაც რჩება. ამის დადასტურებაა ბელარუსი **ანდრეი არამნოვი** - 2008 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში. *„როცა კანაბოიდებს შეჯიბრების დროს პოულობენ - ეს სრული იდიოტიზმია სპორტსმენის მხრიდან, სხვა სიტყვას ვერ მოუძებნი"*, - ამბობენ RusADA-ის სპეციალისტები.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ვიტალი კლიჩკოს ცხოვრება

**სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო საინტერესო ადამიანია - თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე, პოლიტიკოსი, ერუდიტი, მოჭადრაკე... უკრაინელის ცხოვრების შესახებ მისი ინტერვიუებიდან გაკეთებული მიქსტის დახმარებით შევიტყობთ.**


ვიტალი კლიჩკო

პატარაობისას ბაბუამ ანდაზა მითხრა, რომელიც დღემდე ჩემს ცხოვრებისეულ კრედოდ რჩება: „მთავარია გამარჯვებისკენ სწრაფვა!“ ეს ანდაზა ბაბუაჩემმა თავისი მშობლებისგან მოისმინა.

**ბავშვობაში ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი**, მაგრამ ჩემი მეგობრები ხუმრობენ - ერთხელ კლიჩკოსთვის ბურთისართმევა მოინდომეს და... ის მოკრივე გახდა.

**კრივი - ერთ-ერთი ყველაზე უხეში სახეობაა**, მაგრამ ეს სპორტი ყველაზე მეტად ჰგავს ცხოვრებას.

**ჩვეულებრივ, ყველაფერი ხუმრობაში გადამაქვს.** ჟურნალისტები მეკითხებიან: „საიდან პოულობთ ძალებს?“ ვპასუხობ: „საქმე ისაა, რომ მე უკრაინიდან ვარ. როცა ჩერნობილი აფეთქდა, იქვე ახლოს ვცხოვრობდით. ვფიქრობ, ატომური ენერგია მაქვს“.

დიდი ადამიანი დიდ საგნებს, დიდ ავტომობილებს თხოულობს. „ეკონომკლასის“ თვითმფრინავში ვერ ვეტევი - საჭიროა „ბიზნეს-კლასის“ ფართო სავარძლები. ხოლო იმის გამო, რომ ყველაფერი დიდი ორჯერ მეტი ღირს, შესაბამისად, გაორმაგებულად გვინევს მუშაობაც და ფულის შოვნაც.

**ჩემი პირველი პროფესია იყო - ექსკურსიამძღოლობა.** ჯერ კიდევ სსრკ-ის პერიოდში კიევში დავატარებდი მოსწავლეთა ჯგუფებს, რომლებიც მთელი საბჭოთა კავშირიდან ჩამოდიოდნენ.

**ახალგაზრდობაში ხშირად დავდიოდი მოდების ჩვენებებზე.** მოდა დიდად არ მაინტერესებდა, უფრო ლამაზ ქალებს ვაკვირდებოდი. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ჩვენებაზე გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე.

**კრივი ბიზნესისა და სპორტის ერთგვარი მიქსია**, თანაც წილი თანაბარია - ორმოცდაათი ორმოცდაათზე. რით განსხვავდება მოყვარული პროფესიონალისგან? მოყვარული შედეგისთვის იბრძვის, პროფესიონალი - შედეგისთვისაც და ჰონორარისთვისაც. ამით ის ოჯახს ინახავს.

**პროფესიულ კრივში მხოლოდ კარგი სპორტსმენობა არ არის საკმარისი** - მსახიობის თვისებებიც უნდა გქონდეს. ამის უამრავი მაგალითი არსებობს და მათგან ყველაზე თვალსაჩინოა - მუჰამედ ალი. მაგრამ მოკრივემ ზუსტად უნდა იცოდეს, სად მთავრდება შოუ და სად იწყება რეალობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სპექტაკლს, შესაძლოა, ნაღვლიანი დასასრული ჰქონდეს.

**პოლიტიკა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.** ის ტარაკანებით სავსე ქილას ჰგავს. აქ ბევრი იტყუება. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პოლიტიკოსები ერთმანეთის მიმართ აკრძალულ ილეთებს იყენებენ, ისინი ისევ ხვდებიან ერთმანეთს ამ ქილაში.

**დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი ადამიანის მთავარი მეტოქე - საკუთარი თავიც.** თუ ადამიანი დაძლევს შიშებს, ნეგატიურ ემოციებს - ეს უკვე გამარჯვებაა. გამარჯვება საკუთარ თავზე.

**არაერთხელ ჩამიდენია საქციელი სიგიჟის ზღვარზე.** მაგალითად, ჯამპინგი ვერტმფრენიდან. ამაზე ჩემმა ძმამ წამაქეზა: „მე გადავხტი, შენ შეგიძლია?“

**ძმის წინააღმდეგ რინგზე არასოდეს გავალ.** არასოდეს გვიჩხუბია და არც მომავალში გავაკეთებთ ამას. ყველას ჰყავს ადამიანი, რომელსაც განსაკუთრებულ პატივს სცემს და მასთან ერთად ცხოვრების დიდი ნაწილი აქვს გატარებული. მაგალითად, შეძლებთ დედასთან ან მამასთან კრივს ან საყვარელი ადამიანისთვის მუშტის სახეში გარტყმას?!

**ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოკრივეს დაემართოს - ბრძოლის წინა დღეს მომავალ მეტოქეზე ფიქრია.** უმჯობესია დაისვენო, გამოიძინო, კონცენტრაცია მოახდინო.

**ვოცნებობდი ტაისონთან და ფორმანთან ჩხუბზე**... არ გამოვიდა. მადლობა ლენოქს ლუისს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლამაც დამანახვა, რომ შემიძლია ნამდვილი კრივი და თანამედროვეობის დიადი მოკრივეების დამარცხება.

**მაქვს გარკვეული ცრურწმენები, რომელსაც ბრძოლის წინ ვიცავ.** მაგალითად, რინგზე გასვლამდე არასოდეს მივირთმევ ერთად მჟავე კიტრსა და რძეს.

**ბულგაკოვი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მწერალია.** მისი ზოგიერთი წიგნი რამდენჯერმე მაქვს გადაკითხული. მისი ნოველის („ძაღლური გული“) მიხედვით გადაღებული ფილმი უკვე გახდა კლასიკა და არც კი ვიცი, რამდენჯერ მაქვს ნანახი. რაც ყველაზე საინტერესოა, მასში ყოველთვის რაღაც ახალს აღმოაჩენ.

**ბევრი ლექსის ავტორი ვარ.** ვწერ ჩემთვის, ჩემი ახლობლებისთვის, რომლებსაც ეს ლექსები ეძღვნება, მაგრამ მზად არ ვარ მათ გამოსაქვეყნებლად.

**ფსიქოლოგი არ მჭირდება.** თუ ადამიანს სტაბილური ფსიქიკა აქვს, მისი ვარჯიში საჭირო არ არის. ნერვების მხრივ ყველაფერი წესრიგში მაქვს. ჩემს კარიერაში იყო შემთხვევა, როცა ბრძოლის წინ რომელიღაც ექსტრასენსი მომიახლოვდა. მან იმ ორთაბრძოლის წაგება მიწინასწარმეტყველა. „სახალხო მკურნალი“ თავიდან მოვიშორე, მაგრამ მაინც დავფიქრდი - იქნებ არ ღირდეს რინგზე გასვლა... ის ბრძოლა მოვიგე.

**კრივი ძალიან ჰგავს ჭადრაკს.** გარი კასპაროვის წინააღმდეგ 31 სვლა გავძელი და ერთხელ ქიშიც კი ვუთხარი, რის შემდეგაც, რა თქმა უნდა, მან დამამარცხა. მიუხედავად ამისა, ძალიან ამაყი ვიყავი იმით, რომ ყველა დროის საუკეთესო მოჭადრაკეს ღირსეულად ვეთამაშე.

**მაინცდამაინც არ მომწონს, როცა ჩემი მეუღლე ჩემს ბრძოლებს ესწრება.** ამის შესახებ ნატაშას ვუთხარი, მან კი მიპასუხა, რომ თუ დარბაზში არ შევუშვებ, ბილეთს მაინც შეიძენს და ტრიბუნაზე დაიკავებს ადგილს. ნატალიას მიაჩნია, რომ რთულ წუთებში ჩემს გვერდით უნდა იყოს.

**მთელი ჩემი სხეული ნაიარევებით არის დაფარული, ორმოცდაათი ნამდვილად იქნება.** ყველაზე დასამახსოვრებელია - ჭრილობა ტუჩის მარცხენა კუთხიდან მთელ ლოყაზე. მკაფიოდ მამჩნევია სახეზე. ეს იარა ხუთი-ექვსი წლის ასაკში მივიღე. მეგობართან ერთად „ვგიჟობდი“. შუშის კარს დავეჯახე და ნამსხვრევები ჩემსკენ წამოვიდა. ერთ-ერთი სახეში მომხვდა. ექიმი მალე ვერ მოვიდოდა, ამიტომაც ბებიამ ჩვეულებრივი ნემსითა და ძაფით გამიკერა ჭრილობა. ყოველგვარი ნარკოზის გარეშე.

**პლასტიკურ ქირურგს რეგულარულად ვსტუმრობ.** ჩვეულებრივ, ის ჩემთან რამდენიმე დღე მუშაობს ბრძოლამდე და ბრძოლის შემდეგ. კრივში ხშირია ჭრილობები, რის გამოც შეიძლება ბრძოლა შეწყვიტონ. ექიმის არაპროფესიული მუშაობის გამო, შესაძლოა, სახეზე ნაიარევი დაგრჩეს, რომელთანაც ნებისმიერი შეხება ქრონიკულ სისხლისდენას გამოიწვევს.

**იოცნებეთ**, რამდენად ფანტასტიკურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ თქვენი მიზანი და იბრძოლეთ მისი ასრულებისთვის. მეც ვაგრძელებ ოცნებას და ვცდილობ მათ რეალიზებას.

**ჩემი ოცნებაა** - ძმასთან ერთად გავინაწილო ოთხი ყველაზე პრესტიჟული საჩემპიონო ტიტული: თითოს ორი ქამარი გვექნება. თუმცა ის სიტუაციაც მაწყობს, თუ ვლადიმერი სამ ტიტულს დაისაკუთრებს, მე კი ერთი მექნება. ნებისმიერ შემთხვევაში, ოთხივე საჩემპიონო ქამარი კლიჩკოების ოჯახის საკუთრება იქნება.

**კარიერის დასრულების შემდეგ** ჩემს ძმას აბსოლუტური ტიტულის მოპოვებაში დავეხმარები, აგრეთვე გავაგრძელებ კომპანია K2 Promotions-ში მუშაობას. თუმცა არც პოლიტიკურ კარიერას დავივიწყებ.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2011** | |
| **UNDER 19** | |
| ესპანეთი-სომხეთი | 3:0 (1:0) |
| ლიტვა-ისრაელი | 0:1 (0:1) |
| **ევრო 2011** | |
| **UNDER 17** | |
| უკრაინა-სან მარინო | 1:0 (0:0) |
| მოლდოვა-ფინეთი | 0:2 (0:0) |
| ესპანეთი-რუსეთი | 2:1 (2:1) |
| ჰოლანდია-ლატვია | 1:0 (1:0) |
| **პოლონეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლკს-ოდრა | 2:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ცსკა-მილანი | 73:68 |
| ჟალგირისი-პარტიზანი | 73:62 |
| კახა ლაბორალი-მაკაბი | 94:78 |
| ბარსელონა-ციბონა | 80:66 |
| ვალენსია-პანათინაიკოსი | 56:72 |
| უნიკახა-შარლერუა | 84:73 |
| მონტეპასკი-შოლე | 76:44 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-სიბირი | 2:1 (ო) |
| ავტომობილისტი-აკ ბარსი | 4:3 |
| ბარისი-მეტალურგი (ნ) | 1:2 |
| იუგრა-ამური | 4:2 |
| **ნორვეგია** | |
| სტიერნენი-სტავანგერი | 3:4 |
| მანგლერუდი-სპარტა | 2:7 |
| სტორჰამარი-ვოლერენგა | 2:1 |
| ფრისკ ასკერი-რუსენბორგი ო.ტ. | 2-3 |
| ლორენსკოგი-ლილეჰამერი ო.ტ. | 5-4 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვაკეთი (U20)-კოშიცე | 0:3 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ილვესი-ესეტი | ო.ტ. 1:0 |
| კალპა-ბლუზი | 7:3 |
| კერპეტი-იუვიასკიულა | 1:2 |
| ტპს-ტაპარა | ო.ტ. 1:0 |
| ჰპკ-ლუკო | 4:6 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-სლავია | 2:0 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნასი-შელეფტეო | 2:1 |
| ლინჩოპინგი-ფერიესტადი | 2:4 |
| ლულეო-მოდო | 1:0 |
| სიოდერტალე-აიკ | 3:2 |
| ფრიოლუნდა-ტიმრა | 3:5 |
| ჰვ71-იურგორდენი | 2:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მოსკოვი** | |
| კრივოი-სებალიოსი | 5:7, 6:7 |
| სტახოვსკი-დოლგოპოლოვი | 2:6, 6:7 |
| ისტომინი-მატიო | 1:6, 7:5, 6:3 |
| გოლუბევი-კუნიცინი | 4:6, 5:7 |
| ცონგა-ტროიცკი | 6:3, 3:6, 5:7 |
| **ATP. სტოკჰოლმი** | |
| ბლეიკი-ბახმინგერი | 6:4, 3:6, 7:6 |
| ლუბიჩიჩი-კლემანი | 6:3, 6:4 |
| კამკე-დოდიგი | 1:6, 1:6 |
| ფედერერი-დენტი | 6:1, 6:2 |
| სიოდერლინგი-ბეკერი | 6:3, 6:3 |
| **WTA. ლუქსემბურგი** | |
| ვინჩი-ზახვალოვა | 7:6, 4:6, 7:6 |
| შნიდერი-კეოტავონგი | 5:7, 2:6 |
| ივანოვიჩი-პარა სატონხა | 6:4, 6:1 |
| კერბერი-ჰანტუხოვა | 3:6, 6:3, 6:1 |
| **WTA. მოსკოვი** | |
| კ. ბონდარენკო-კირილენკო | 0:6, 0:6 |
| დუშევინა-ვესნინა | 6:4, 6:2 |
| იანკოვიჩი-დიასი | 1:6, 2:6 |
| ჩაკვეტაძე-კორიტცევა | 6:1, 6:2 |

TV პროგრამა

**22 ოქტომბერი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:45** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ზენიტი-ჰაიდუკი.
**08:30** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. შერიფი-ბატე.
**10:15** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ატლეტიკო-რუსენბორგი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მეტალისტი-სამპდორია.
**14:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**14:10** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ნაპოლი-ლივერპული.
**15:55** ახალი ამბები.
**16:10** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ალკმაარი-დინამო (კ).
**17:55** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ზალცბურგი-იუვენტუსი.
**19:40** ახალი ამბები.
**20:00** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**20:05** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**20:55** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**21:50** საფეხბურთო პროგრამა.
**22:20** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:25** გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბაიერნი (LIVE).
**00:30** ახალი ამბები.
**00:50** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მანჩესტერ სიტი-ლეხი.
**02:40** გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბაიერნი.
**04:30** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**05:30** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ნაპოლი-ლივერპული.

**EUROSPORT**

**10:35** ზაფხულის ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პოლონეთი.
**11:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი. 1/8 ფინალი.
**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი. 1/4 ფინალი (LIVE).
**17:00** ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
**18:00** ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS140. კლიგენტალი. გერმანია.
**19:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი. 1/4 ფინალი.
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. გრან-პრი. აშშ.
**22:00** კრივი. ტურნირი Bigger's Better. მძიმე წონა. ნიქოზია. კვიპროსი (LIVE).
**00:00** პოკერი. კანი. საფრანგეთი.
**01:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. გრან-პრი. აშშ.
**02:00** ექსტრემალური სპორტი.
**02:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი. 1/4 ფინალი.

ფორმულა 1

# გაიცანით მიხაელ შუმახერი


მიხაელ შუმახერი

წელს, ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტებმა ერთნაირი კითხვები დაუსვეს პირველობის მონაწილეებს. ახლა ჯერი **მიხაელ შუმახერზე** მიდგა.

**- ჩვეულებრივ გაქვთ თუ არა სათადარიგო ვარიანტი, ერთგვარი „B გეგმა“? იტოვებთ თუ არა უკან დასახევ გზას?**

- არა.

**- რბოლების გარდა, რა განიჭებთ სიამოვნებას?**

- დღეს ამ გასართობს სკაიდაივინგი ჰქვია.

**- ყველაზე მეტად რისი ხილვა გსურთ ხუთშაბათს ბოქსებში მისვლისას?**

- ინჟინრების.

**- ვისთან შეხვედრაზე ოცნებობდით?**

- უკვე შევხვდი მას - ეს არის ჩემი მეუღლე კორინა.

**- რომელმა ფილმმა აგიჩუყათ გული?**

- ბოლოს ეს იყო - „მილიონერი ჯურღმულიდან“. კარგი ფილმია.

**- რისი გეშინიათ?**

- ადრე სიმაღლის მეშინოდა, მაგრამ ამან გაიარა.

**- ბოლოს რომელი წიგნი წაიკითხეთ?**

- სამუელ ბეკეტის რომელიღაც ნაწარმოები. სამწუხაროდ, ცუდად ვიმახსოვრებ წიგნებისა და ფილმების სახელწოდებებს.

**- თქვენი საყვარელი დასვენების სახეობა?**

- ერთი ჭიქა წითელი ღვინო და სიგარა.

**- ოდესმე თმა შეგიღებავთ?**

- რა თქმა უნდა. რატომაც არა?!

**- რომელი იყო თქვენი პირველი კომპაქტდისკი?**

- პირველი ფირფიტა იყო. ჰარდ-როკი თუ მეტალი.

**- გაქვთ თუ არა ტატუ ან პირსინგი?**

- მხოლოდ დროებითი.

**- რას ამბობდნენ თქვენზე სკოლის მასწავლებლები?**

- კარგს არაფერს.

**- ვინ იყო თქვენი კერპი ბავშვობაში?**

- რთული სათქმელია. ალბათ, არავინ.

**- გაქვთ თუ არა მავნე ჩვევა?**

- სიგარა? პოკერი? არ მგონია, ეს მავნე ჩვევა იყოს.

**- კოლექცია თუ გაქვთ?**

- საათების, თუმცა არც ისე მდიდარი.

**- მოგზაურობისას ყველაზე მეტად რა არ გყოფნით?**

- ჩემი ოჯახი.

**- როგორ ყავას ანიჭებთ უპირატესობას?**

- ცხელი რძით.

**- როგორ წარმოგიდგენიათ იდეალური კვირა დილა?**

- ხანგრძლივი საუზმე ოჯახის წრეში.

**- გაიხსენეთ თქვენი პირველი მანქანა.**

- ეს იყო FIAT 500. მანამდე კარტინგით ვერთობოდი.

**- ყველაზე უაზრო შეცდომა, რომელიც ოდესმე დაუშვით?**

- თავად აირჩიეთ.

**- რომელი კერძი გამოგდით ყველაზე უკეთ?**

- იტალიური პასტა.

**- ბოლოს როდის გამოხვედით წყობიდან?**

- 1998 წელს, სპაზე დევიდ კულტჰარდთან შეჯახებისას.

# კიმიმ სახლი გაყიდა და მანქანა დაამტვრია

ფინელმა **კიმი რაიკონენმა** თავისი ერთ-ერთი სახლი გაყიდა, რომელიც ციურიხის ტბის ნაპირას მდებარეობს.

მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონმა თავისი უძრავი ქონების საქმეები მსხვილ გერმანულ სააგენტო Engel & Volkers-ს გადააბარა, რომელმაც ამ მდიდრული სახლის გაყიდვა 3,6 მილიონ ევროდ შეძლო. სახლი, რომლის ფართობი 800 კვადრატული მეტრია, შვეიცარიის პრესტიჟულ რაიონში მდებარეობს, სადაც ფინელს შეძლებული მეზობლები ჰყავდა. კიმის ყოფილ რეზიდენციაში სამი სააბაზანო ოთახია, თანამედროვე საუნა, ფართო ტერასა, ორი ბუხარი და სატრენაჟორო დარბაზი.

რაიკონენი კვლავინდებურად შვეიცარიაში ცხოვრობს - მან 2009 წელს შეიძინა უფრო ძვირი მამული, რომელიც 30 მილიონ ევროდ არის შეფასებული. გარდა ამისა, ფინელმა ჯერ ვერ გაყიდა 500 კვადრატული მეტრი ფართობის სახლი, რომელიც ჰელსინკის ერთ-ერთ ძვირფას რაიონში მდებარეობს. როგორც ფინური პრესა წერს, ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ რაიკონენმა ფასი 12-დან 14.5 მილიონ ევრომდე გაზარდა.

■ ■ ■

რაც შეეხება კიმის სამომავლო კარიერას, მან ჯერ არ იცის, სად გააგრძელებს გამოსვლას. ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ რაიკონენის „სამეფო რბოლებში“ დაბრუნების შესახებ. ერთი პერიოდი ფინელი პილოტი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა „რენოსთან“, მაგრამ ბოლოს განაცხადა, რომ ფრანგულ საჯინიბოში გადასვლას არ აპირებს.

*„ამ მომენტისთვის ჯერ არ გამირკვევია ჩემი მომავალი კარიერა. რამდენიმე ვარიანტი მაქვს, მაგრამ არ ვჩქარობ გადაწყვეტილების მიღებას. კარგად უნდა მოვიფიქრო და შევაფასო შექმნილი სიტუაცია. ამის შემდეგ გაირკვევა ყველაფერი“*, - განაცხადა კიმი რაიკონენმა.

■ ■ ■

უახლოეს უქმეებზე რაიკონენს მონაწილეობა უნდა მიეღო ესპანეთის რალიში, მაგრამ ფორმულას ყოფილმა ჩემპიონმა რბოლისწინა პრაქტიკისას დააზიანა მანქანა და ეტაპი მის გარეშე ჩაივლის.

სამკილომეტრიან ღორღიან გზაზე კიმიმ მანქანა ვერ შეინარჩუნა, ამოტრიალდა და შედეგად, უსაფრთხოების სტრუქტურა დაზიანდა. მის გარეშე კი რაიკონენის „სიტროენს“ სტარტზე არ გაუშვებენ. საბედნიეროდ, კიმისა და მის შტურმანს დაზიანება არ მიუღიათ.


კიმის ყოფილი სახლი ციურიხში

# გავლენიანი ლუისი


ლუის ჰემილტონი

ჟურნალ Marketing Week-ის გამოკითხვით, „მაკლარენის“ პილოტი **ლუის ჰემილტონი** ბრიტანეთის ყველაზე გავლენიანი ადამიანების საუკეთესო ხუთეულში მოხვდა. რეიტინგის შესადგენად 2000 ადამიანი გამოიკითხა და სიაში მთელი მსოფლიოდან მოხვდნენ ცნობილი ადამიანები.

ამ მომენტისთვის სიაში პირველ ადგილს იკავებს ფეხბურთელი **დევიდ ბექჰემი**, მეორეზეა კომედიური დუეტი - Ant & Dec, მესამეზე გავიდა ავსტრალიელი მომღერალი **კაილი მინოუგი**, რომელსაც მოჰყვება ამერიკელი მომღერალი და მსახიობი **უილ სმიტი**. ჰემილტონი მეხუთე ადგილს იკავებს.

# ფოტოსესია ბერნისგან

კორეის უქმეების დაწყებამდე ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** ფოტოსესიაზე მიიწვია ტიტულის ხუთივე პრეტენდენტი **- მარკ უებერი, ლუის ჰემილტონი, სებასტიან ფეტელი, ფერნანდო ალონსო** და **ჯენსონ ბატონი.**

სეზონის ამ ფაზაში ყოველი რბოლა, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს, მაგრამ მანამდე, ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ეტაპით ადრე ხუთი პილოტი აცხადებს ჩემპიონობაზე პრეტენზიას და სწორედ ამ სიტუაციის დაფიქსირება სურდა ექლსტოუნს.


ბერნი და პრეტენდენტები

ჩოგბურთი

# როდიკი სახლს ყიდის


როდიკის სახლი

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **ენდი როდიკმა** გასაყიდად გამოიტანა თავისი ძვირფასი სახლი ქალაქ ოსტინში (ტექსასის შტატი).

2003 წელს როდიკმა ეს სახლი 2.15 მილიონ დოლარად შეიძინა, ახლა კი მას 3.75 მილიონად ჰყიდის.

*„სახლი 1998 წელს აშენდა. ის აღჭურვილია კინოთეატრით, ბიბლიოთეკით, პოკერის მაგიდით, აგრეთვე ბილიარდის ოთახით“*, - წერს ინტერნეტგვერდი Luxist. გარდა ამისა, სახლის უკანა მხარეს არის ჩოგბურთის კორტი და პატარა ყურე კატერის ნავსადგურით.

# მარია დიზაინერებში გაერია

რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** ახალგაზრდა დიზაინერთა დაჯილდოვების ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა. დიზაინერები CFDA-სა და Vogue-ის მოდური პროექტის მონაწილეები იყვნენ.

პროექტის შემქმნელების ჩანაფიქრით, ეს პრესტიჟული კონკურსი ახალ, ნიჭიერ მოდელიერებს ეძებს. გამარჯვებულები სოლიდურ ფულად თანხას იღებენ - 200-300 ათას დოლარს, ოღონდ იმ პირობით, რომ ამ ფულით ახალ კოლექციას შექმნიან. სპეციალურად შექმნილი კომისია მიღებული თანხის სწორად განაწილებას აკონტროლებს.

წელს ცერემონია ლოს ანჯელესში გაიმართა. სტუმრებს შორის ბევრი ცნობილი ადამიანი იყო - მსახიობები **აბიგეილ სპირსი, პერი რივერსი** და დიზაინერი **გრეგორი პარკინსონი.**


მარია შარაპოვა ცერემონიაზე

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**